

ISSN 1987-6874

სვეტიცხოველის ძეგლები



Svetitskhoveli



№1, 2023

ს ვ ე ტ ი ს ხ ო ვ ე ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2023





**საქართველოს საპატრიარქოს,
საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
სამეცნიერო საისტორიო შურონალი**

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის
მოადგილეები: დეკანოზი ლევან მათეშვილი
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო: დავით გურგენიძე
ზურაბ გასიტაშვილი
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
მაკა ხართიშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
გურამ ჯავახაძე

პასუხისმგებელი მდივანი:

ქეთევან მახაშვილი

© სვეტიცხოველი

სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
ISSN 1987-6874

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023.



ჟურნალ
„სვეტიცხოველი“, 1917 წლის დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმონაწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმებისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია





"მოწყალების საქმი გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აკადემიისა** და კომპანია **"მედიონსერვის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს **"თანადგომის დღე"**. თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა**. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

*უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოფენობის დღესასწაულზე*

*ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი*



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი
საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი
საქართველოს დამსახურებული მშენებელი
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი



აკადემიკოსს, საქართველოს რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს,
სტუ-ს რექტორს,
ბატონ დავით გურგენიძეს

თქვენო მაღალღირსებაჲ,
ბატონო დავით,

სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან მე-60 წლისთავს და ჩემთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ყველა თანამშრომელი და დოქტორანტი პატივისცემით გილოცავენ ღირშესანიშნავ იუბილეს.

არა მხოლოდ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება და სტუდენტი-ახალგაზრდობა, არამედ წმიდა ეკლესიაც მუდამ აღნიშნავს თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობასა და მაღალ პიროვნულ თვისებებს.

ნიშნად ამისა, საქართველოს უწმიდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოგანიჭათ ყველაზე მაღალი ღირსება და დაგაჯილდოვათ თქვენ და ჩვენი უნივერსიტეტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.

სტუ-ს თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი,
პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქს: (995 32) 98 71 14

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.

Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის შიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი





სარკვევო

ბიზანტიის ქართველი დედოფლის მართა-მარიაშის უცნობი წარწერა
სენტის ტაძარში
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე..... 13

შესავალი..... 13

დ. ბელეცკის შეცდომა ალანისთან დაკავშირებით 18

სენტის ტაძრის ბერძნული წარწერა მარია ალანელის, მისი მეუღლის იმპერატორ
ნიკიფორე გოტინატისა და შვილის, კონსტანტინე დუბას მოხსენიებით 22

„ეკსპროკრატორი“ მარია ალანელი..... 35

„ანაკოფია ალანიურთ“ – წყაროები ზღვისპირა ალანის შესახებ..... 41

სენტის, არხიზ-ზელენჯუბისა და შოანას ტაძრების აგება
აფხაზ მეფეთა მიერ..... 44

ალანის ეპარქიის გადასაცვლება მთის ალანიდან ბარის ალანიაში 48

კონსტანტინოპოლის საკათარქოს კველი აქტები დონისპირეთის
ალანის ეპარქიასთან დაკავშირებით..... 50

ალანური თუ სვანური ეკლესიები? 62

РАССЕЛЕНИЕ СВАНОВ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ ДО XIX ВЕКА 1 67

„ЗАБЫТЫЙ ГЕНОЦИД СВАНОВ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ 72

ИОГАНН АНТОН ГИЛЬДЕНШТЕДТ. ПУТЕШЕСТВИЕ ПО КАВКАЗУ.
Путешествие и наблюдения в Грузии в 1771 г. 73

შოანა – სვანების ეკლესია
Шоанинский храм 78

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-БАЛКАРСКИХ ОТНОШЕНИЙ 80

არქიტექტურისა და ქართული კულტურის მიტაცება 89

დასკვნა..... 95



აღბანეთი

აღბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეპლესიის იურისდიქცია კახეთსა და
ჰერეთში. თავი II

(გაგრძელება)

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე..... 100

კავკასიის აღბანეთი ვარდან არეველცის მიხედვით და
ქართველების არმენიზაცია ბოგარენასა და ბუბარქში..... 100

კავკასიის აღბანეთი 103

ბუბარქის ქართულობის შესახებ..... 108

КИРИОН I (ძვ.წ. 34) 109

„ქართლის ცხოვრებისა“ და „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები
კახეთის, კუხეთის, ჰერეთისა და კამბეჩანის შესახებ..... 112

ქართველი დელოფლების როლი ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ
ცხოვრებაში – დელოფალი მარიაში
მაია ქუთათელაძე 115

მიწისკვრიდან 30 წლის შემდეგ ანუ კიდევ ერთხელ რაჭის 1991 წლის
მიწისკვრის შესახებ
ნუგ ზარ (ზაზა) იაშვილი, ქეთევან მახაშვილი..... 120



ბიზანტიის ქართველი დედოფლის მართა-მარიაშის უცნობი წარწერა სენტის ტაძარში

მიტროპოლიტი ანანია ჯავახიძე

შესავალი

სენტის, არხიზ-ზელენჯუკისა და შოანას შესანიშნავი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიები ოდესღაც მდებარეობენ ისტორიული საქართველოს მიწაწყალზე აფხაზეთის ჩრდილო სამეზობლოში. ლ. ლავროვის გამოკვლევის თანახმად, მართალია, ამ ტერიტორიას „კავკასიის ალანია“ ერქვა, მაგრამ თათარ-მონღოლთა შემოსევების შემდეგ, მე-13 საუკუნედან ის დასახლებული იყო არა ალანებით, არამედ სვანებით, ვიდრე თითქმის ბოლო დრომდე. ლავროვის სიტყვით მონღოლთა მიერ ალანების დამარცხებისა და განდევნის შემდეგ კავკასიის ალანიის მიწაწყალი სვანებით იყო დასახლებული და აღნიშნულ შესანიშნავ ეკლესიებს პატრონობდნენ, მე-18 საუკუნეშიც კი ზოგიერთი ეკლესია კვლავ მოქმედი იყო და იქ ქართულენოვანი ლოცვა არ იყო შეწყვეტილი, ამიტომაც, მაგალითად, ამჟამად ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, შოანას ტაძარს „სვანების ეკლესიას“ უწოდებენ. კერძოდ, ყარაჩაელ-ბალყარულად „სუანა კილისა“, ხოლო ოსურად „სუანი უარსტირჯ“.

https://ru.wikipedia.org/wiki/Шоанинский_храм

სვანთა მიერ პატრონობის გამო გამო მიაღწია მე-19 საუკუნემდე შესანიშნავი სახით სენტის, არხიზ-ზელენჯუკისა და შოანას ეკლესიებმა, მათ პატრონობდნენ ქართველები და დანიშნულების შესაბამისად იყენებდნენ, მიუხედავად თემურლენგის, ყირიმელი ხანებისა თუ ადიღეური ტომების დევნისა ზოგიერთ ამ ეკლესიაში სანთელი არ ქრებოდა და ქართულენოვანი ლოცვა ბოლომდე ისმოდა. მე-19 საუკუნიდან კი რაც ამ ეკლესიებს რუსული ხელისუფლება დაეპატრონა, ყველა ტაძარში განადგურდა სიძველის ნაშთები, მათ შორის ქართული ნაკვლები,

იგულისხმება მათი შეღესვა, ანუ ძველი ფრესკების განადგურება, ამ ფრესკებზე კი უთუოდ იყო ქართული წარწერები, ისევე, როგორც ამ ეკლესიიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ სვანეთსა თუ აფხაზეთის ეკლესიებში არის ქართული წარწერები.

კავკასიის ალანიაში მე-19 საუკუნიდან სვანებოდ ნადგურდებოდა ქართული ნაკვლები, ისევე, როგორც ამჟამად ჩვენს თვალწინ ნადგურდება ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ასევე საინგილოსა და ლორე ტაძარში.

დანერგეს თვალსაზრისი, რომ თითქოსდა საქართველოს მეზობლად კავკასიის მთებში არსებობდა ძველი ალანიის ეპარქია, რომლის ეკლესიები არა ქართული, არამედ ალანური საეკლესიო არქიტექტურითაა ნაგები.

ასეთი მტკიცებანი ისე მრავალმხრივი, უხვი და მრავალფეროვანია, რომ თვით გამოჩენილი რუსი მეცნიერი ვ.ვ. ვინოგრადოვიც კი შემფოთდა, ის წერდა, „რუსი მეცნიერების მიერ გადაჭარბებით ფასდება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ბიზანტიური დომინანტობა და პირიქით არ სურთ ცნობა საქართველოს გავლენისა ამ რეგიონში“.

В 1988 г. опубликована статья В. В. Виноградова, критикующая автора этих строк за преувеличение «политико-конфессиональной доминанты Византии» на Северо-Западном Кавказе и за непризнание влияния Грузии в данном регионе (60, с. 162–169). 60. Виноградов В.В. О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X–XIII вв. «Мацне». Серия истории, археологии, этнографии и истории искусства. Тбилиси, 1988, 2. http://iratta.com/alans/1003-06_alanija_i_vizantija.html

ასეთი მიდგომის შედეგად ალანიის ეპარქიის ისტორიის მკვლევარები თვალს არიდებენ საისტორიო წყაროებს, მაგალითად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ძველ აქტებს ალანიათან დაკავშირებით.

მაგალითად, იმპერატორმა ალექსი კომნენმა 1081 წლისათვის გამოსცა ქრისტობული – სახელმწიფო ბრძანება, რომლის მიხედვითაც ალანიის ეპარქია



შეუერთდა სოტრიოპოლის საარქიეპისკოპოსოს.

„по хрисовулу императора Алексея Комнина (1180–1183 гг.) и акту Синода Алания была соединена с архиепископством Сотириуполя“
http://iratta.com/alans/1003-06_alanija_i_vizantija.html

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ რომ, ამჟამად რუსული ისტორიოგრაფია დარწმუნებით ნერგავს აზრს, რომ კავკასიის ალანიის ეპარქია წარმოადგენდა ძლიერ საეკლესიო ერთეულს და მასთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა ქართულ ეკლესიასა და კულტურას.

თუ ასე იყო, მაშინ ისმის კითხვა, რატომ შეუერთა ბიზანტიის ხელისუფლებამ ალანიის საეკლესიო ერთეული სოტრიოპოლის საარქიეპისკოპოსოს, თანდართული განმარტებით, რომ ალანიაში არ არსებობდა ქალაქები?

ეს კითხვა არსებითია, და ამ კითხვაზე პასუხი იქვე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტებშია მოცემული, მაგრამ როგორც წესი მას თავს არიდებენ, ანუ ჩქმალავენ რუსი მეცნიერები და მათი სეპარატისტი სატელიტები.

კონსტანტინოპოლის წმიდა სინოდის აქტებიდან ჩანს, რომ ის ალანია, სადაც მდებარეობდა ალანიის ეპარქია სრულიად განუვითარებელი იყო, მის ხალხს არა თუ დიდებული ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიების აგება, არამედ საცხოვრებელი სახლებიც კი არ გააჩნდა, მათ არ ჰქონდათ ქალაქები და სოფლებიც კი!

რატომ?

ამის მიზეზი იყო ამ ეპარქიაში მცხოვრები ალანების ნომადური („მწეხური“) ცხოვრება, ანუ აქაური ალანები მომთაბარე-მესაქონლეები იყვნენ, დროდადრო, წელიწადში რამდენჯერმე, საცხოვრებელ ადგილს იცვლიდნენ, ერთი ადგილიდან სხვა ადგილას გადაიოდნენ უკეთესი სამოვრისა და ასევე წყლის ძიებაში, ისინი კარვებში ცხოვრობდნენ, ამიტომაც არც ქალაქები, სოფლები და არც ქვის ეკლესიები გააჩნდათ. ამის შესახებ 1347 წლის წმ. სინოდის აქტი 114 წერს –

«определена состоять навсегда кафедрой Аланского архиеерея, так как митрополия сия не имеет собственной архиеерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867 .с. 447).

http://iratta.com/alans/1003-06_alanija_i_vizantija.html

კერძოდ 1347 წლის წმ. სინოდის აქტი 114 წერს – „იმპერატორის ქრისობულით ქ. სოტრიოპოლი განისაზღვრა ალანიის მღვდელმთავრის კათედრად, რადგანც მას ალანიაში არ გააჩნის საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ იქაური ხალხი მწეხურია (მომთაბარეა)“ (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867, с. 447).

იმპერატორი, რომელმაც სოტრიოპოლი ალანიის მღვდელმთავრის კათედრად გამოაცხადა იყო ალექსი კომნინი, ბიზანტიის ქართველი დედოფლის მართამარიამის ანუ მარიამ ალანელის შვილობილი.

„по хрисовулу императора Алексея Комнина (1180–1183 гг.) и акту Синода Алания была соединена с архиепископством Сотириуполя“

http://iratta.com/alans/1003-06_alanija_i_vizantija.html

სოტრიოპოლი მდებარეობდა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში, ტრაპეზუნტის რეგიონში, საქართველოს სამხრეთ საზღვართან ახლოს, დღევანდელ ლაზისტანში, ალანიიდან ძალზე შორს.

ამ ქრისობულსა და სინოდის მრავალ აქტში მითითებულია, რომ ალანიაში მღვდელმთავარს არ გააჩნდა საკუთარი საკათედრო ქალაქი, რადგანაც ამ ალანიაში საერთოდ არც კი არსებობდა ქალაქები, იქაური ალანების მომთაბარეობის გამო. ანუ ალანიაში არც XI ს. 80-იან წლებში და არც შემდეგ, მღვდელმთავარს არ გააჩნდა საკათედრო ტაძარი.

ასე გვამცნობს უეჭველი საისტორიო წყარო.



თუ ასე იყო, მაშინ არ მართლდებიან რუსი მეცნიერები და მათი სატელიტი ისტორიკოსები, რომელნიც საპირისპიროს გვიმტკიცებენ შესანიშნავი ქვის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიებით დამშვენებული დიდი და ძლიერი ალანიის შესახებ, რომელიც თითქოსდა ბიზანტიელებმა ბიჭვინთის სამღვდელმთავრო, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოც კი მიუერთეს.

აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ რუსი ისტორიკოსების ერთი გავლენიანი ნაწილი და შესაბამისად მათი კავკასიელი ისტორიკოს-სატელიტები ამკვიდრებენ მტკიცებას, რომ თითქოსდა აფხაზეთის საკათალიკოსო არა ქართული, არამედ ბიზანტიური საეკლესიო ერთეული იყო, იმდენად სუსტი, რომ ის ბიზანტიის ხელი-სუფლებამ მიუერთა ალანიის ეპარქიას.

ამგვარი მეთოდებით დაამკვიდრეს თვალსაზრისი, რომ თითქოსდა ბიჭვინთის საკათალიკოსო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. მაშინ როცა დაარსებისთანავე ის (აფხაზეთის ანუ ბიჭვინთის დაკათალიკოსო) ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო მცხეთის საკათალიკოსო, მათ აერთიანებდათ საერთო სჯულიკანონი, საეკლესიო სამართალი, ქართული ლიტურგიკული ანუ საღვთისმსახურო ენა, ამიტომაცაა აფხაზეთის საკათალიკოსოდან გამოსული უამრავი საბუთი მხოლოდდამხოლოდ ქართულენოვანი, ხოლო ეკლესიათა კედლების წარწერები ასევე ქართულენოვანი, აფხაზეთის საკათალიკოსოს ყველა ძველი ცნობილი ღვთისმსახური ქართული გვარების მატარებელია.

რაც შეეხება ალანიის ეპარქიას, როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ძველი აქტები ამტკიცებენ, რომ ალანიის მღვდელმთავარს არ გააჩნდა საკუთარი კათედრა, საკუთარი საკათედრო ქალაქი, იქაური ალანების ნომადური ცხოვრების ანუ მომთაბარეობის გამო. აღინიშნა ასევე ისიც, რომ რუსი ისტორიკოს-მკვლევარები საპირისპიროს ამტკიცებენ, რომ თითქოსდა ალანიის მღვდელმთავარს საუკუნეთა მანძილზე, მათ შორის თათარ-მონღოლთა

შემოსევების შემდეგაც, გააჩნდა საკათედრო ქალაქი-არზიზ ზელენჯუკი და საკათედრო ტაძარიც ამ ქალაქში. მაშასადამე ან რუსი მკვლევარები ცდებიან ანდა სინოდის აქტებია არასწორი.

სარწმუნოა სინოდის აქტები, რომ ალანიის მღვდელმთავარს ალანიაში ნამდვილად არ გააჩნდა საკათედრო ქალაქი, რადგანაც ქალაქი სოტერიოპოლი ტრაპეზუნტის ოლქში, ანუ ლაზიკაში რეალურად წარმადგენდა ალანიის მღვდელმთავართა კათედრას რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ასე, რომ ზოგიერთი რუსი ისტორიკოსის კვლევების უმთავრესი დასკვნები ალანიის ეპარქიის მიმართ არასწორია, თუმცა კი მათი ეს მტკიცებანი საყოველთაოდაა აღიარებული.

ჩვენი კვლევა განსხვავებულია, ის წარმოადგენს სიახლეს, კერძოდ, ალანიის ის ეპარქია, რომელსაც ეხება კონსტანტინოპოლის წმ. სინოდის ძველი აქტები, მდებრეობდა არა კავკასიის მთებში, ანაკოფიის მახლობლად, არამედ დონის სტეპებში, ყირიმის აღმოსავლეთ მხარეს.

აქ (დონისპირეთში, ყირიმის აღმოსავლეთ მხარეს) ალანიის ეპარქია დაარსებულ იქნა 1080-იანი წლების დასაწყისში იმპერატორ ალექსი კომნინის მიერ, კერძოდ კავკასიიდან აქ, დონისპირეთის სტეპებში მოხდა ალანიის ეპარქიის ადგილ-მონაცვლება (გადაადგილება) იმპერატორის (ალექსის) მიერ.

ეპარქიის ადგილმონაცვლება (релокация епархии – перемещение, переместиться), იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ასეთი ფაქტები არსებობდა.

ალანიის ბერძნული ეპარქიის ადგილმონაცვლების ძირითადი მიზეზი იყო დიდი პოლიტიკური ცვლილება, კერძოდ ანაკოფიის ციხექალაქი, რომელიც კავკასიის ალანიის ბიზანტიასთან დამაკავშირებელ საზღვაო პორტს წარმოადგენდა 1074 წლიდან საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, თვითონ ბიზანტიური არმია ამის პარალელურად მანასკერტის ბრძოლებში დამარცხდა თურქსელჯუკებთან და ბიზანტიას არაც ძალა და არც სურვილი გააჩნდა ანაკოფიისა და კავკასიის ალანიის გამო



დაპირისპირებოდა საქართველოს, ამასთანავე, ამ დროს, ბიზანტიის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას თითქმის წარმართავდა და აკონტროლებდა საქართველოს იმუჰამინდელი მეფის დაი მართა მარიამი (მარიამ ალანელად წოდებული). ამის გამო, 1074 წლიდან, კავკასიის ალანიის მიწაწყალი ანაკოფიასთან ერთად აღიარებულ იქნა ვითარცა საქართველოს სახელმწიფოსა (და მისი ეკლესიის) ნაწილი, ხოლო ალანიის ეპარქიას აქედან ადგილი მოუნაცვლეს და ის გადაადგილეს მახლობლად დონისპირეთის სტეპებში, როგორც აღინიშნა 1080-ინი წლების დასაწყისში.

ამ წლებში ალანიის ეპარქიის ადგილმონაცვლეობის ინიციატორი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფის გიორგი II-ის დაი, ბიზანტიის ცნობილი და გავლენიანი დედოფალი მარიამ ალანელი. ამის შემდეგ (ანუ 1080-იანი წლების დასაწყისიდან) ალანიის ყოფილი ეპარქიის მიწაწყალი ანაკოფიასთან ერთად გადავიდა საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის იურისდიქციაში, ხოლო დონისპირეთის ალანიის ეპარქია იმართებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, 1080-იან წლებამდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია წყვეტილებით მდებარეობდა კავკასიის მთებში ანაკოფიასთან ახლოს, ხოლო ამის შემდეგ, ანუ 1080-იანი წლებიდან ალანიის ეპარქიას ადგილი მოუნაცვლეს, ის გადაადგილებულ იქნა მახლობელ დონის სტეპებში, სადაც ალანები მომთაბარეობდნენ, ხოლო კავკასიის ალანია ამის შემდეგ საუკუნეთა მანძილზე შედიოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ანუ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში.

ჩვენი კვლევით, რომელიც აქვეა მოცემული, სენტის ტაძარის ვრცელი ბერძნული საქტიტორო წარწერა შესრულებულია ალექსი კომნინის წინამორბედი იმპერატორის ნიკიფორე ბოტინატისა და მისი მეუღლის მარიამ ალანელის დროს (1078–1080 წლებში და არა ნიკიფორე ფოკას დროს 963–969 წლებში), იმ მიზ-

ნით, რათა განემტკიცებინათ კავკასიის ალანიაში ბიზანტიური ეკლესიის გავლენა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ვითარება სწრაფად შეიცვალა (1071 წლიდან) ბიზანტიის საზიანოდ თურქ სელჯუკების გამარჯვებთა გამო.

ანაკოფიისა და მისი მიმდებარე კავკასიის ალანიის გადმოცემა ბიზანტიელთა მიერ არ წარმოადგენს გამონაკლისს, ამავე წლებში (1074 წლის შემდეგ) ბიზანტიამ სამხრეთ საქართველოს სანაპირო ციხე-სიმაგრეები და ციხე ქალაქები ტაოსა და „იბერიის თემში“ ასევე საქართველოს დაუბრუნა, იგივე პროცესი განხორციელდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, ანაკოფიასა და მათ შორის კავკასიის ალანიაშიც, ისინიც საქართველოს გადმოეცა, ამის გამო ალექსი კომნინის დროს, როგორც ითქვა ადგილი მოუნაცვლეს ალანიის ეპარქიას და ის კავკასიის მთებიდან გადაიტანეს ანუ გადაადგილეს დონის სტეპებში.

როგორც აღინიშნა, წინა იმპერატორს ნიკოლოზ ბოტინატს სურდა ალანიის ეპარქიის ყოფნა კავკასიის მთებში და შესაბამისი წარწერაც ამიტომ განხდა სენტის ტაძარში, მაგრამ შემდეგი იმპერატორის ალექსის დროს ვითარება მკვეთრად შეიცვალა და მან გადაწყვიტა ამ ეპარქიისათვის ადგილი მოენაცვლებინა და კავკასიიდან ის გადაეტანა დონისპირეთში.

აღსანიშნავია, რომ ეპარქიათა ადგილმონაცვლება არ იყო უჩვეულო საქმე, სხვა ეპარქიებსაც მოუნაცვლეს ადგილებდებარეობა, რაც განხილულია ქვემოთ.

სოტიროპოლთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, კავკასიის მთებიდან დონისპირეთში ალანიის ეპარქიის ადგილმონაცვლეობის გამო, წამოიშვა დიდი პრობლემა, რომლის გადასატრედად თვით იმპერატორის ჩართვა გახდა საჭირო. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ დონისპირეთში მომთაბარე ალანებს, თავის ქვეყანაში, ანუ დონისპირეთის ალანიაში არ გააჩნდათ ქალაქები, ანუ იქ არ არსებობდა ქალაქები მღვდელმტავერის კათედრისათვის, სწორედ ამიტომ განისაზღვარა ალანიის



მღვდელმთავრის კათედრა შორეული სოტირიოპოლი.

მომთაბარეებსა არ გააჩნდათ მუდმივი სახლები, ისინი ცხოვრობდნენ კარვებსა და იურტებში. ეს იყო გავრცელებული საცხოვრებელი, ადვილად გადასატანი კონსტრუქცია, რომლიც ადვილად იშლებოდა და ხელახლა იწყობოდა, მათ ხურავდნენ ტყავით ანდა სხვა მსუბუქი მასალით. აქაურ ალანებს, ისევე როგორც ძველად ჰუნებს, რადგანაც ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, არ გააჩნდათ ქალაქები და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

ამ ფაქტს ასახავს კონსტანტინოპოლის წმ. სინოდის ძველი აქტები, რომლის თანახმად, მომთაბარე ალანებს, მართალია მღვდელმთავარი ჰყავდათ, მაგრამ მისთვის ქალაქი არ გააჩნდათ, ამიტომაც ალექსი კომნინმა მათ, როგორს ითქვა გამოუყო ქალაქი ალანიიდან შორს ტრაპეზუნტთან ქ. სოტირიოპოლში.

მაშასადამე, კავკასიის ალანიიდან კათედრა კი არ იქნა გადატანილი სოტირიოპოლში, არამედ თვითონ ალანიის ეპარქიის ადგისმყოფელი იქნა მონაცვლებული კავკასიის მთებიდან დონისპირეთში, ხოლო კავკასიის ყოფილი ეპარქიის მიწაწყალი თავისი საეკლესიო ნაგებობებით გადავიდა საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში.

ამიტომაც, არასწორია „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ სტატია „ალანიის ეპარქია“, როცა წერს, რომ ალანიის ეპარქიის ცენტრი (კათედრა) მდ. ზელენჯუკის ხეობიდან (ქვემო არხიზის (ჩრდილო ზელენჯუკის) ტაძარიდან გადატანილ იქნა შორეულ ლაზიკაში, ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქ სოტირიოპოლში – „Между 1084 и 1105 гг. кафедра была перемещена с Кавказа на Черноморское побережье М. Азии в г. Сотириуполь“.

<https://www.pravenc.ru/text/64006.html>

პრავოსლავნაია ენციკლოპედიას ასეთი მიდგომა შეცდომაა,

სინამდვილეში წმ. სინოდის აღნიშნული აქტები ტერმინ „ალანიის“ ქვეშ გულისხმობს არა კავკასიის ალანიას, არა-

მედ ბარის ალანიას, ანუ მიწაწყალს დონის შესართავის სტეპებში.

1080-იანი წლების შემდეგ ალანიის ეპარქიის ქვეში იგულისხმება არა კავკასიის ალანია, არამედ დონისპირეთის ალანია, რომლის მმართველიც იჯდა ტრაპეზუნტთან ახლოს სოტირიოპოლში, შემდეგ ეს ეპარქია მიიერთა ტრაპეზუნტის მიტროპოლიტმა, 1461 წლის შემდეგ ალანიის მიტროპოლიტის ქალაქად განისაზღვრა ქ.სივასი, ძველი სევასტია.

ასეთ ვითარებაში საკითხავია კავკასიის ალანიის საეკლესიო სტატუსი.

ისმის კითხვა, იმის შემდეგ რაც იმპერატორმა ალექსი კომნინმა ადგილი მოუნაცვლა ალანიის ეპარქიას და ის კავკასიის მთებიდან გადაანაცვლა ბარის ანუ დონისპირეთის ალანიაში რა ბედი ეწია კავკასიის ალანიის მიწაწყალს, კერძოდ ვის საეკლესიო იურისდიქციას დაექვემდებარა.

1080-იანი წლებიდან კავკასიის ალანიის მიწაწყალი შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ანუ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. აღსანიშნავია, ისიც, რომ მონღოლების შემოსევის შემდეგ, რაც მათ ალანები გაანადგურეს კავკასიის ალანია დასახლებული იყო არა ალანებით, როგორც ამის შესახებ წერს შესანიშნავი რუსი მეცნიერი ლავროვი, არამედ სვანებით.

ყოფილი კავკასიის ალანიის მიწაწყალი თემურ ლენგის შემოსევამდე და დიდხანს მის შემდეგაც დასახლებული იყო არა ალანებით, არამედ სვანებით, შესაბამისად, უკვე მე-13 საუკუნიდან არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ეკლესიებს უვლიდნენ, პატრონობდნენ და მათში წირვა-ლოცვას ადასრულებდნენ მკვიდრი სვანები, ამიტომაც გადარჩნენ ეს ეკლესიები და მოაღწიეს დღევანდლემდე შესანიშნავი სახით, რადგანაც აქ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ქართულენოვანი ლიტურგი აღესრულებოდა, ამიტომაც მაგალითად შოანას ტაძარს „სვანების ეკლესიას“ უწოდებდნენ იქ ამჟამად მცხოვრები ხალხები.

აღნიშნული რუსი მეცნიერის ლ. ლავროვის კვლევით, ის მიწაწყალი,



რომელსაც ჩვენ კავკასიის ალანიას ვუწოდებთ, სინამდვილეში სვანებით იყო დასახლებული მონღოლებიდან ვიდრე მე-16-მე-17 საუკუნეებამდე. См. Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века // Краткие сообщения института этнографии АН СССР, Вып. X. М.-Л. АН СССР. 1950

1. დ. ბელეცკის შეცდომა ალანიასთან დაკავშირებით

ცნობილმა მკვლევარებმა დ. ბელეცკიმ და ა. ვინოგრადოვმა მსგავსი მიდგომით გამოაქვეყნეს ნაშრომი „სენტის ტაძრის ფრესკები და მე-10 ს.-ში ალანიის ქრისტიანობის ისტორიის პრობლემები“ (Белецкий Д.В., Виноградов А.Ю. "Российская археология", N1, 2005 ФРЕСКИ СЕНТИНСКОГО ХРАМА И ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ АЛАНСКОГО ХРИСТИАНСТВА В X В.* <http://librarius.narod.ru/sentin.htm>).

ნაშრომს პრეტენზია აქვს, რომ საკითხი გადაიჭრა სენტის ეკლესიის კედლის ბერძნული წარწერის მათეული ანალიზის შედეგად.



სენტის ეკლესია ჩრდილოკავკასიაში

ამჟამად „ალანურ ტაძრებს“ უწოდებენ ყარაჩაიში, ჩრდილოეთ კავკასიაში ზედ საქართველოს საზღვართან მდებარე მშვენიერ ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიებს არხიზ-ხელენჯუკში (სობლისში), შოანასა და სენტში. ამ უკანასკლის კედლის ბერძნულ წარწერაშია მოხსენიებული

ბიზანტიის სახელოვანი ქართველი დედოფლის, საქართველოს მეფე ბაგრატ მე-4-ის ქალიშვილის, დავით აღმაშენებლის მამიდის სახელი, რომელსაც ბიზანტიაში მარიამ ალანელს უწოდებდნენ, ხოლო საქართველოში მართა-მარიამს.

მიღებულია, რომ აქ ე.წ. კავკასიის ალანიის მიწაწყალზე ალანების სამეფო არსებობდა X-XII საუკუნეებში, რომელიც მე-13 ს. დასაწყისში მონღოლებმა გაანადგურეს, ალანები კი გაასახლეს.

მათ ეპოქაში ნაგებად მიიჩნევენ აღნიშნულ „ალანურ ტაძრებს“.

მათ შორის დ. ბელეცკი და ა. ვინოგრადოვი ზუსტად (965 წლით) ათარიღებენ სენტის ტაძარს და ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ტაძრები ბიზანტიელების აგებულია სენტის კედელზე აღმოჩენილი ბერძნული სამშენებლო წარწერის ანალიზის მიხედვით.

მათი დასკვნები საყოველთაოდაა გაზიარებული.

ჩემეული კვლევით კი, დ. ბელეცკისა და ა. ვინოგრადოვის ანალიზი უსაფუძვლოა, რისი დასაბუთებაც ქვემოთაა მოცემული.

სენტისა და სხვა აღნიშნული ტაძრების აგების ისტორიის კვლევა ძალაზე მნიშვნელოვანია ამ მიწაწყალზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის დასადგენად.

ამჟამად, არასწორი ანალიზით ასკვნინან თითქოსდა ეს ტერიტორია მუდამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა, ტაძრებიც თითქოსდა ნაგებია არა ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესაბამისად, არამედ ბიზანტიურისა და საერთოდ, თითქოსდა, ქართველებს არავითარი წვლილი არ მიუძღვით აქაურ საეკლესიო კულტურაში, ამიტომაც უწოდებენ ამ ეკლესიებს „ალანურს“.

ჩვენი კვლევით კი, რომელიც ქვემოთაა მოცემული, კავკასიის ალანია ანაკოფიასთან (წყაროებში ეწოდება „ანაკოფია ალანითურთ“) ერთად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში მცირე დროით იმყოფებოდა და ისიც



წვეტილებით, ბიზანტიური აგრესიის პერიოდებში, ხოლო, ძირითადად ის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

აღსანიშნავია, რომ მიწაწყალზე, რომელიც „აღანიის“ სახელით იყო ცნობილი მრავალი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა, ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული კულტურით, მაგალითად, არსებობდა კავკასიის ანუ მთის აღანია, საქართველოს (აფხაზეთისა და სვანეთის) უშუალო მოსაზღვრედ. თავისი განვითარების დონით ის წინ უსწრებდა მის მომიჯნავედ მდებარე ბარის ანუ სტეპების აღანიას.

ეს უკანასკნელი (ბარის აღანია) მდებარეობდა დონისპირეთის ვრცელ ვაკეზე, აქ მომთაბარეობდნენ აღანები, რომელთაც მწვემსური ცხოვრების გამო თავიანთ საქონელთან ერთად უხდებოდათ მუდმივი გადაადგილება, ამიტომაც არ გააჩნდათ ქალაქები, თანახმად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მრავალი აქტისა, რომელნიც ქვემოთაა განხილული.

მისგან (ანუ ბარის აღანიისაგან) განსხვავებით, მთის ანუ კავკასიის აღანიაში, (ანაკოფიის აღმოსავლეთით მთებში), არსებობდა მუდმივი დასახლებები, ციხე-ქალაქები და ეკლესიებიც.

ჩვენ ვიხილავთ მათი იურისდიქციის საკითხს. ამჟამად მიჩნეულია, რომ მთის აღანია მუდმივად კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ ეს ასე არ იყო.

კერძოდ, კავკასიის ანუ მთის აღანია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში თავდაპირველად შეიყვანეს მისი გაქრისტიანების შემდეგ დაახლოებით 916 წლიდან და ეს გაგრძელდა ვიდრე 931/932 წლამდე (აღანიიდან ბიზანტიელითა გაძევებამდე).

ამის შემდეგ (ანუ 931 წლიდან კავკასიის აღანიიდან ბიზანტიელ სასულიეროთა განდევნის შემდეგ) ის შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, ვიდრე 1032/3 წლამდე.

1032/3 წელს საქართველოს ქვრივმა დედოფალმა, აღანიის პრინცესა აღდემ,

„ანაკოფია აღანითურთ“ ბიზანტიას გადასცა. ეს გაგრძელდა ვიდრე 1074 წლამდე. 1074 წელს ანაკოფია ბიზანტიისაგან უკანვე დაიბრუნა საქართველოს სამეფომ, შესაბამისად, მალევე, 1080-იან წლებში მთის ანუ კავკასიის აღანია საბოლოოდ შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში.

მაშასადამე, დაახლოებით 914 წლიდან ვიდრე 931 წლამდე კავკასიის აღანია ანუ ანაკოფია-აღანითურთ ბიზანტიურ საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, 931-1032 წლებში ის აფხაზეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაშია, 1032-1073 წლებში კვლავ ბიზანტიის ეკლესიის წიაღში შედიოდა, ხოლო 1074 წლიდან კვლავ ქართული ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.

ამის ანუ 1074 წლის შემდეგ, აქაური ბერძენი სასულიერო პირები ან ქართული ეკლესიის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციას დაექვემდებარნენ, ანდა დატოვეს უკვე საქართველოს სამეფოში შემავალი მიწაწყალი. საფიქრებელია, რომ ისინი გადაიყვანეს იქვე, აღანიის სხვა ქრისტიანულ ნაწილში, უფრო, დონისპირეთის მომთაბარე აღანების ქვეყანაში, ანუ ბარის აღანიაში, რომელიც ბიზანტიას ექვემდებარებოდა.

ამის შემდეგ, 1074-1080-იანი წლებიდან, საუკუნეთა მანძილზე, კავკასიის აღანია თავისი სენტის, შონასა და არხიზ-ზელენჯუკის ტაძრებით მუდამ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა აქ მუსულმანური ტომების შემოსვლამდე.

ჩვენი წყაროები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის სამეფოს ცხუმის საერისთავოში შედიოდა ოლქი „ანაკოფია აღანითურთ“, აღანის ამ ნაწილში (ამ ოლქის ტერიტორიაზე) იღვა აღნიშნული სენტის, შონასა და არხიზის ტაძრები.

სწორედ ეს ოლქი (ანაკოფია-აღანითურთ) დაიბრუნა უკან საქართველოს სახელმწიფომ 1074 წლის მახლობლად, საფიქრებელია მარიამ აღანელის მეოხებით, რადგანაც ამ დროს ბიზანტიის ძალზე გავლენიანი დედოფალი მარიამი მფარველობდა თავის ძმას – საქართველოს მეფე გიორგის. ის და იმპერიის



ჯარების მთავარსარდალი გრიგოლ ბაკურიანის ძე ცდილობდნენ საქართველოს უკანვე დაბრუნებოდა ტაოსა და იბერიის თემის შესაბამისი ციხე-სიმაგრეები და მიწაწყალი. ეს მათ მართალაც შეძლეს აღნიშნულ 1074 წელს. ამავე გავლენით უნდა დაბრუნებოდა საქართველოს ანაკოფია-ალანითურთ, ანუ ანკოფიის დიდმნიშვნელოვანი ციხესიმაგრე მიმდებარე კავკასიის მთიანეთით, რომელსაც მთის ანუ კავკასიის ალანია ერქვა.

იმის შემდეგ რაც 1074 წელს საქართველოს სახელმწიფოს დაუბრუნდა ოლქი „ანაკოფია ალანითურთ“, იქ გატარდებოდა კარდინალური პოლიტიკური და ეკლესიური ცვლილებები.

მის გათავისუფლებას ბიზანტიისაგან და დაბრუნებას საქართველოს სახელმწიფოს წიაღში თან უნდა მოყოლოდა საეკლესიო იურისდიქციის ცვლილებაც, ანუ ეს ოლქი ეკლესიურადაც უკან უნდა დაბრუნებოდა აფხაზეთის საკათალიკოსო წიაღს, რაც განხორციელდა კიდევც.

კერძოდ იმპერატორ ალექსი კომნინის ეპოქის სანდო წყაროს ანალიზი აჩვენებს, რომ ეს საეკლესიო საკითხი ბიზანტიამ მოაგვარა ზოგადად ალანიის ეპარქიის ადგილის მონაცვლებით, კერძოდ ალანიის ეპარქია გადანაცვლებულ იქნა ალანიის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში, მთის ანუ კავკასიის ალანიიდან ბარის ანუ დონისპირეთის ალანიაში, აქ მომთავბარებოდნენ ალანები, შექმნილი ვითარების მათი მღვდელმთავრისათვის გამო გამოყოფილი იქნა ქალაქი სოტრიოპოლი, ალანის გარეთ, ტრაპეზუნტთან ახლოს, რაც ქვემოთაა აღწეილი.

опять по древнему оному церковному положению и обычаю и по предьявленным от него (Аланийского) Синодальным старобытным Актам, и данным на них хрисулам приснопомятных царей (Древние акты константинопольского патриархата, относящиеся к новороссийскому краю)

https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Byzan z/XIV/Akty_Novoross/text.htm

в нотичиях времени Андроника Палеолога говорится, что по хрисулу императора Алексея Комнина (1180–1183 гг.) и акту Синода Алания была ...

Так, в нотичиях времени Андроника Палеолога говорится, что по хрисулу императора Алексея Комнина (1180–1183 гг.) и акту Синода Алания была соединена с архиепископством Сотриуполя, но Причина объединения указана в акте 114 Константинопольской патриархии от 1347 г.: Сотриупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (41, с. 447).

В том же 1347 г. с Аланией была соединена митрополия Вичины — Бичвинты в Абхазии (42, с. 610). 42. Gelzer N. Ungedruckte und ungentigend veroffentliche Texte der Notitiae episcoratum. Miinchen, 1901

სინამდვილეში კი, ვიზინის სამიტროპოლიტო იყო არა ბიჭვინთა, არამედ მდებარეობდა თანამედროვე რუმინეთში,

Вичинское викариатство Румынской архиепископии в Америках Румынской Православной Церкви (недейств.)

Город Вичина , известен по Восточно-Римским источникам уже с XI века, и тогда, как и вся дельта Дуная, входил в состав империи, С конца XI века усилился приток кочевых тюркских племен в Подунавье, печенеги, а затем куманы (половцы), заполонили всю придунайскую низменность, а в середине XIII века край на более чем вековой период попал в состав монгольской Золотой Орды. В Вичине находилась ставка беклярибека эмира Ногая. Но византийское присутствие вероятно сохранилось, также как и Церковь.

В середине XIII века, когда Никейская империя поддерживала связь с устьем Дуная, и в Вичине известна православная епископия Константинопольской Церкви. В списке епархий времен императора Андроника II Палеолога (1282–1328) Вичинская епархия значиться митрополией, под 95 номером. С 1300 года есть данные и о Вичинских митрополитах.

<https://drevo-info.ru/articles/15172.html>



ამიტომაც არასწორია რუსი მეცნიერების დასკვნა ამ არასწორი განსაზღვრების საფუძველზე შედგენილი, რომ თითქოსდა ბიჭვინთის სამიტროპოლიტო ბიზანტიამ შეუერთა ალანიის ეპარქიას, ესაა აბსურდი, სრული გაუგებრობა, სინამდვილეში არა ბიჭვინთის, არამედ ვიჩინის სამიტროპოლიტო და ალანიის ეპარქია გააერთიანეს, ალანიის ეპარქია მოიცავდა დონისპირეთსა და ვრცელ მიწებს სტეპებში დონიდან ვოლგამდე და ასევე ზოგჯერ ალანიას მიაკუთვნებდნენ ყირიმის ნაწილს და ზღვისპირეთს დუნაის დელტამდე.

ამიტომ არასწორია Обратим внимание на то, что несмотря на подчинение Абхазии грузинскому царю Баграту III в 980 г. и утрату политической самостоятельности, христианские кафедры Абхазии остались под юрисдикцией Константинополя. Очевидно, подобное положение объясняется тем, что в сфере церковной жизни Византия полностью сохранила свое влияние, благодаря чему имела возможность по-прежнему осуществлять сношения с аланской церковью. Более того, есть факт, свидетельствующий о некотором упрочении позиций империи в Абхазии около середины XI в. В 1033 г. Византия из рук аланки Альды, жены абхазского владетеля Георгия I, получила в свое владение мощную крепость Анакопию близ Нового Афона, за что император пожаловал чин магистра сыну Альды Дмитрию (43, с. 503). Эти сведения согласуются с византийскими эпиграфическими памятниками из Анакопии (44, с. 17–30). Последние указывают на присутствие здесь греков до середины XI в. и использование Анакопии в качестве их опорного пункта в Абхазии

http://iratta.com/alans/1003-06_alanija_i_vizantija.html

კდეკ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ვიჩინის სამიტროპოლიტო დუნაისპირეთში არსებობდა და არფერი აკავშირებდა ბიჭვინთასთან სახელების მსგავსების გარდა, ამიტომ, არასწორია ვ. კუზნეცოვი, როცა წერს –

Решением патриарха и синода митрополия Вичины в 1347 г. была соединена с

Аланией под греческим именем Сотриуполь, в результате чего митрополит Вичины остался без средств Последнее обстоятельство указывает на то, что Вичинская митрополия была подчинена Алании. Это подтверждается и письмом митрополита Алании 1347 г., в котором он сообщает, что митрополии Алании и Сотриуполя недавно соединены, но он не знает, кого из своих предшественников посвятить законно в патриархи Где находилась Вичинская митрополия? Ю. А. Кулаковский локализовал ее в области Нижнего Дуная. Нам эта локализация представляется невероятной. Сам Ю. А. Кулаковский свидетельствует, что в нотициях времени Андроника Палеолога Вичинская митрополия значится рядом с Зихской, Боспорской и Сугдейской, т. е. на Кавказе.

О том же говорит и факт ее присоединения к Алании. Поэтому вполне обоснованной следует считать локализацию Н. Гельцера, отождествившего Вичину с Пителингом — Бичвинтой (грузинское название Пицунды; -

<https://ru.djvu.online/file/DZxYvAid1cHE>

L v.kuznecovi

საქართველოს მეფის დის, ბიზანტიის დედოფალ მარიამ ალანელის შვილობილის იმპერატორ ალექსი კომნინის ქრისობულით კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქიის ადგილსამყოფელი 1081 წლისათვის მონაცვლებულ იქნა და ის მთის ალანიიდან გადაადგილებულ იქნა ბარის ალანიაში, ანუ მთიდან გადანაცვლებულ იქნა დონისპირეთის სტეპებში აზოვის ზღვის მარჯვენა მხარეს (იხ. ჩემი „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“).

მაშასადამე, როგორც აღინიშნა, აქაური ალანები ანუ დონისპირეთის სტეპების ანუ ბარის ალანები მომთაბარეები იყვნენ, ამიტომ არ გააჩნდათ ქალაქები, შესაბამისად, იმპერატორის მიერ ალანიის მღვდელმთავრისათვის გამოყოფილი იქნა ქალაქი სოტიროპოლი ტარპეზუნტთან, რაც შეეხება მთის ანუ კავკასიის ალანიას, ის აღნიშნული 1081 წლიდან



დაუბრუნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს წილს ანაკოფიასთან ერთად.

იქამდე, 931 წლიდან ვიდრე 1032 წლამდე, როდესაც კავკასიის ალანია იმყოფებოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში აფხაზთა მეფეებმა აქ (ოლქ ანაკოფია-ალანიაში) ააგეს შესანიშნავი ტაძრები სენტისა, შოანასა და არხიზ-ზელენჯუკისა (აღნიშნული 931/2 წლიდან ვიდრე 1032 წლამდე შუალედში), ანუ ეს ეკლესიები ნაგებია ძირითადად მე-10 ს. მეორე ნახევარში არა ბიზანტიელთა, არამედ ქართველთა მიერ. საკითხი გამოწვლილვით ქვემოთაა მოცემული.

განვიხილოთ სენტის წარწერა, რომლის მიხედვითაც ის ხელმეორედ აკურთხეს, ანუ განაახლეს.

სენტის ეკლესიის ხელმეორე კურთხევასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რატომ გახდა საჭირო მისი ხელმეორედ კურთხევა ან განაახლება, რაც სენტის წარწერაშია აღნიშნული?

ამის მიზეზია ზემოთ აღნიშნული ფაქტები, რომ ქართველთა ანუ აფხაზ მეფეთა მიერ მე-10 ს-ში აგებული სენტის ტაძარი, სადაც ქართული წირვა-ლოცვა იყო გაჩაღებული, 1032 წლიდან ბიზანტიელთა ხელში გადავდა, ამიტომ, მათ (ბიზანტიელებმა) ამ ტაძრის მეორედ კურთხევა გადაწყვიტეს და იქ ქართულის ნაცვლად ბერძნულენოვანი მსახურება შემოიღეს, ვიდრე აღნიშნულ 1080-იან წლებამდე.

კერძოდ, მე-11 საუკუნეში, აღნიშნულ 1032 წლიდან, იმის შემდეგ რაც საქართველოს მეფის გიორგი I-ის მეუღლემ 1032 წელს აღდეგ ალანელმა ანაკოფია (და შესაბამისად მისი მიმდგომი ქვეყანა ანუ კავკასიის ალანიის ერთი ნაწილი) გადასცა ბიზანტიას, აქ, მე-10 ს-ში აფხაზ მეფეთა მიერ ნაგები სენტის ტაძარი ბიზანტიელთა ხელში აღმოჩნდა, და მათ იურისდიქციაში გადავიდა, ანუ ქართველთა ტაძარი ბერძენი სასულიერო პირების ხელში აღმოჩნდა, მათ კი საჭიროდ მიიჩნიეს ტაძრის ხელახლა კურთხევა იმპერატორ ნიკიფორესა და მარიამ ალანიის ეკსუსიოკრატორობის დროს.

2. სენტის ტაძრის ბერძნული წარწერა მარიამ ალანელის, მისი მეუღლის იმპერატორ ნიკიფორე ბოტინატისა და შვილის, კონსტანტინე ღუპას მოხსენიებით

სენტის ტაძრის ბერძნული წარწერა, ბელეცკისა და ვინოგრადოვის წაკითხვით, ასეთია –

+ Ένεκεν[ίσ]θ(η), ένεώσθ(η) ó να[δς] τ(ης)

ὑπεραγίας θ(εοτόκ)ου ἐπὶ βασιλ[είας] Νηκηφόρου, Βασιλ[είου] καὶ [Κωνσταντίνου

καὶ Δα(ν)ιδ ἑξουσιοκράτορ(ος) [Αλανίας κ(αὶ) Μαρίας ἑξουσ[η]οκράτ[ορίσσης] μ]ην(η) Ἀπρη(λίου) β´, ἡμέρᾱ ἀγ[ή]ου Α[ντιπάσχα (?)

δὴν χειρὸς Θεοδώρου, μητ[ροπο-] λ(ίτου) καθηγ(ασμένου) Ἀλανί(ας), ἀπ[ὸ] κ[τί-

σε(ως) κό(σμου) ἔτ(ους) ζσογ´. Ἀν[ε-] γράφε[το] δὴν χειρὸς [τοῦ] δεινός ἀποκρησ(ιαρίου) πατρ(ικίου).

ბელეცკისა და ვინოგრადოვის თარგმანი ასეთია –

+ Освящен, обновлен храм пресвятой Богородицы в царствование Никифора, Василия и Константина и Давида, эксусиократора Алании, и Марии эксусиократориссы 2 апреля, в день святой антипасхи (?), рукою Феодора, митрополита освященного Алании, от сотворения мира в 6473 г. Написано рукой имярек, апокрисиария патрикия.

ქართულად, ალბათ შეიძლება ასე ვთარგმნოთ – „იკურთხა, განაახლა ტაძარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა ბასილევს ნიკიფორესა და ბასილევს კონსტანტინეს მეფობისას ... დავით ალანიის ეკსუსიოკრატორისა და მარიამის ეკსუსიოკრატორობისას“

ბიზანტიის რომელი მმართველი მოიხსენება ამ წარწერაში ვითრაცა „ბასილევსი ნიკიფორე“? ანდა ვინ იყო „მარიამ ეკსუსიოკრატორი“ ?



ესაა უმთავრესი საკითხი ტაძრის წარწერის დათარიღებისათვის.

საკითხი იოლად, მაგრამ, მცდარად გადაჭრეს ბელეცკიმ და ვინოგადლოვმა, მათ უბრალოდ, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, გადაჭრით განაცხადეს, რომ სენტის ტაძრის წარწერაში ნახსენები იმპერატორი ნიკიფორე არის ნიკიფორე ფოკა – «Никифор император» – это, несомненно, византийский император Никифор II Фока (963–969)“- წერენ ისინი.

რატომ „несомненно“? რატომ არის უეჭველად სენტის წარწერაში ნახსენები „ბასილევსი ნიკიფორე“ იმპერატორი ნიკიფორე ფოკა და არა სხვა ამავე სახელის მქონე იმპერატორი?

ჩვენ კი ვფიქრობთ და ქვემოთ გამოკვლეულც გვაქვს, რომ სენტის წარწერის „ბასილევსი ნიკიფორე“ არის იმპერატორი ნიკიფორე ბოტინატი (1078–1081), რომელსაც ალანიასთან აკავშირებდა მისი ძალზე გავლენიანი მეუღლე, ცნობილი დედოფალი მარიამ ალანელი, ხოლო, ნიკიფორე ფოკას ალანიასთან არაფერი აკავშირებდა. ჩვენთვის ცნობილი მისი ბიოგრაფიის მიხედვით მას შეხება არ ჰქონია კავკასიის ალანიასთან, მხოლოდ მე-20 საუკუნეში დაუკავშირა ერთმანეთს ნიკიფორე ფოკა და „ალანია“ მეცნიერ ბელეცკის მცდარმა თეორიამ.

წარწერაში იმპერატორ ნიკიფორეს გარდა ნახსენებია მარიამი და ასევე დავითი, ბიზანტიური წოდებით „ალანიის ეკსუსიოკრატორი“

ბელეცკი და ვინოგრადოვი აცხადებენ, რომ მათ არ იციან თუ ვინ არიან ისინი და წერენ „Мария так же, как и Давид, не известна по письменным источникам. Скорее всего, эта эксусиократорисса была его женой“.

მე კი ვფიქრობ, რომ წარწერაში ნახსენები მარიამი არის ბიზანტიის დედოფალი მარიამ ალანელი, მეუღლე არა დავითისა, არამედ წარწერაშივე ნახსენები იმპერატორ ნიკიფორე ბოტინატისა. ხოლო წარწერაში იმპერატორის გვერდით ნახსენები „კონსტანტინე“ არის მარიამ ალანელის ვაჟი კონსტანტინე, რომელიც იმპერატორის თანამეფე იყო. **Βασηλ[είου] και**

[Κωνσταντίνου] ასეთად ის გამოაცხადეს იმპერატორ ნიკიფორე ბოტინატის მმართველობისას.

მარიამ ალანელის ვაჟი კონსტანტინე დუკა (1074–1095) ბიზანტიის იმპერატორების თანამეფე (ბასილევსი) იყო 1074–1078 და ასევე 1081–1087 წლებში. ის მარიამ ალანელს ჰყავდა იმპერატორ მიხეილ მე-7 დუკასაგან (პარაპინაკისაგან).

პორფიროგენეტ კონსტანტინე დუკას უდიდესი უფლებები გააჩნდა საიმპერატორო კარზე.

ვითარცა პორფიროგენეტი (პორფიროსანი), ის, დაბადებისთანავე, თავისი მამის მიხეილ VII დუკას თანამმართველად გამოაცხადეს.

მამის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც, ახლი იმპერატორის ნიკიფორე ბოტინატისა და დედოფალ მარიამ ალანელის ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, კონსტანტინეს კვლავ დარჩა იგივე უმაღლესი საიმპერატორო უფლებები.

ამ ფაქტის შესაბამისად, მისი ეს უფლებბრივი მდგომარეობა ასახა სენტის წარწერაში... **ἐπὶ βασιλ[είας Νικηφόρου, Βασηλ[είου] καὶ [Κωνσταντίνου]**

საფიქრებელია, რომ ჩამოთვლილი ტიტულები მარიამ ალანელმა თავის ვაჟს კონსტანტინეს მიანიჭა იმის აღსანიშნავად, რომ თავისი უფლებამოსილებას ალანიაზე გადასცა მას, მაგრამ ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების შემდეგ, უმემკვიდროდ დარჩენილმა მარიამ ალანელმა თავისი ეს უფლებამოსილება ალანიის მიმართ გადასცა თავის ძმის-შვილს დავით აღმაშენებელს, რომელსაც, მართლაც, მემკვიდრის სიტყვით, ოსი მეფეები დაემორჩილნენ, ვითარცა მონები

ანა კომნენას „აღექსიადიდან“ ისე ჩანს, რომ მარიამი და ირინა ალანელი დები იყვნენ (თუ ასე იყო ისინი ერთი მამის ანუ ბაგრატ მეოთხის შვილები ყოფილან), მაგრამ ამჟამად საქართველოში მიიჩნევა, რომ ის იყო ბაგრატ მე-4-ის ნახევარძმის დემეტრეს ქალიშვილი, ანუ მას მეფური წარმომავლობა ჰქონდა, ამასთანავე, ეს დემეტრე ოსებშიც მეფის ტიტულს ატარებდა. ბიზანტიური შეფასებითაც ირინე ალანელი იყო „ალანთა



მბრძანებლის“ ეკუსიოკრატორის ქალიშვილი. თუმცა რუსი მკვლევარები სხვაგვარად მიიჩნევენ ალანიაში ქართული ნაკვალევის მიჩქმალვის მიზნით.

ამჟამინდელ მკითხველს წარმოუდგენია, რომ კავკასიის ალანია იყო უცხო ქვეყანა, განშორებული ქართულ სახელმწიფოებრიობივ და კულტურულ სივრცეს, მაგრამ, ქართული წყაროების მიხედვით ანაკოფიის რეგიონს მოიცავდა ალანიის ერთი ნაწილი, რომელსაც ქართულად ერქვა „ანაკოფია-ალანითურთ“. წყაროს თანახმად, „ალანია“ ერქვა მიწაწყალს ანაკოფიის მიმდებარედ, ანუ ტერიტორიას აფხაზეთში მოქცეულს მდ. კლისურადან (ზოგჯერ მდ. ეგრისწყლიდან) ვიდრე ბზიბისწყლამდე, ჩვენ ამის შესახებ მითითებას გვაწვდიან წყაროები. მართლაც, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ანონიმ ავტორთან დაფიქსირებულია პასაჟი „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“;

ამ ცნობის მიხედვით, ალანთა ქვეყანას აფხაზეთი შემდეგში დაერქვა (იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1959, გვ. 15).

ვახუშტი ხშირად ახსენებს ოლქს „ანაკოფია ალანითურთ“, რაც ქვემოთაა განხილული.

საერთოდ, აფხაზეთა სამეფოს დაარსებამდე, VI–VII საუკუნეებში სახელი „ალანია“ ერქვა ქვეყანას მოქცეულს ეგრისწყალსა (ანდა მდ. კლისურასა) და ბზიბისწყალს შორის, ასე იყო მე-8 საუკუნემდე.

ორ ქართულ მდინარეს (კლისურასა და ბზიფისწყალს შორის) შორის მოქცეულ მიწაწყალს ეს სახელი (ალანია) ეწოდა ბიზანტია-სპარსეთის მომების დროს, რომელიც მე-6 საუკუნეში გაჩაღდა ლაზიკის დაუფლებისათვის (იხ. ჩემი წიგნი „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“).

ამ დროს ჩრდილოკავკასიის და დონისპირეთის სტეპებიდან ბიზანტიელებმა დამხმარე ძალები მოიშველეს ალანთა რაზმები, რომელთაც დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის ძლიერი მხარდაჭერით დაიკავეს რამდენიმე ციხექალაქი,

ხოლო ანაკოფიის ირგვლივ მთელი ოლქი, მასში შედიოდა ასევე არხიზ-ზელენჯუკ, შოანა, სენტის ოლქიც.

ამ უკანასკნელი ბიზანტიელები და ალანები დაინტერესდნენ აქ გამავალი საერთაშორისო-საქარავნო ანუ აბრეშუმის გზის გამო.

VI ს.-დან აქაურ მკვიდრ ტომებზე ალანთა გაბატონების შემდეგ, ქვეყანასაც ალანია ეწოდა, იგულისხმება, ოლქი „ანაკოფია ალანითურთ“, რომელიც მოქცეული იყო კლისურიდან ბზიფისწყლამდე და რომელშიც შედიოდა ციხე სობლისისა, ანუ არხიზ-ზელენჯუკ, სენტ-შოანას ოლქი.

ხაზართა გაძლიერების კვალდაკვალ დამპყობელმა ალანურმა რაზმებმა დატოვეს ეს ოლქი, მაგრამ, ტრადიციის შესაბამისად, ქვეყანას კვლავ ალანია ერქვა, ხოლო აქური ანუ ალანური ხალხი მხოლოდ სახელს ატარებდა ალანებისას, ტომობრივად კი ის ქართული იყო, ასეთი მძაფრი განცხადების გაკეთების უფლებას უპირველეს ყოვლისა იძლევა აქაური წარმომავლობის გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოლოგის იოანე ცეცეს ცნობა, რომ „ალანები, აბაზგები და იბერები ერთი ხალხია“, ერთი სისხლის მქონე. რაც 21-მე საუკუნის გენეტიკურმა კვლევებმაც დაადასტურა. ალანებდ სახელდებულ თანამედროვე ტომებს ბალყარებსა და ოსებს აქვთ იგივე გაპლოჯგუფი G2 და J2, რაც ზოგადად აქვთ ქართველებს, მათ შორის ასევე აფხაზეთელებსაც. ანუ იოანე ცეცეს ცნობა ამჟამადაც შეესაბამება რეალობას ამ მხრივ.

საერთოდ, ისტორიული ალანები თუკი ინდოევროპელ ხალხთა ჯგუფს განეკუთვნებოდა, მათი გაპლოჯგუფი უნდა ყოფილიყო არა G2, არამედ R1A.

G2 ქრისტიანი სვანებისა და გამუსულმანებული სვანების (ყარაჩაელები, ბალყარელები), და ასევე ზოგადად ქართველთა ერთერთი ძირითადი გაპლოჯგუფია J2-თან ერთად. სკვითების, სარმატების, შესაბამისად ალანების გაპლოჯგუფი კი იყო R1A.



ბიზანტიელი გამომჩენილი ფილოლოგი და მოღვაწე იოანე ცეცე, რომელიც ამ ტომს ეკუთვნოდა და მარიმ ალანელის შორეული ნათესავი იყო, წერდა – *Иоанн Цец - „иверы, авазги и аланы - один народ“* <https://www.phantastike.com › sarmatii › pdf>

იოანე ცეცე, როელიც წარმოშობით კავკასიელი იყო, თვის შრომებს წერდა სწორედ განსახილველ პერიოდში – მარამ ალანელის დროს, ის მუდამ ტრიალებდა ბიზანტიის იმპერიის ქართულ სამეფო წრეში და შრომები მიუძღვნა იოანე, ისააკ და ასევე, მანუელ კომნენოსს და მის მეუღლეს ირინეს, რომელნიც მარამ ალანელთან იყვნენ დაკავშირებულნი, ანუ ის კარგად იცნობდა ქართველებს, აბაზგებსა და ალანებს, თავისი დაკვირვებით დაადგინა რომ ეს სამი ეთნიკური ჯგუფი – ერთ ხალხს შეადგენდა, ის „ალანთა“ ქვეშ ამ შემთხვევაში გულისხმობდა არა ზოგადად მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ალანობას, არამედ, კონკრეტულად, „კავკასიის ალანებს“. ცხადია, ზოგადად ალანები მთლიანობაში სხვები იყვნენ, მაგრამ იოანე ცეცეს სწორედ კავკასიის ალანები, აბაზგ-აფხაზები და იბერ-ქართველები მიაჩნდა ერთ ხალხად. ცნობილია, რომ ალანებს ზოგადად ინდოევროპელებს მიაკუთვნებენ, მაგრამ, კავკასიის ალანები იოანე ცეცეს ცნობით ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ის მათ წრეში ტრიალებდა, თავის თვალთ ხედავდა და ამოწმებდა, რომ მაგალითად, მარამ ალანელი, ირინა ალანელი და სხვა კავკასიის ალანები ეთნიკურად ქართველები იყვნენ. იოანე ცეცე ამ თვალთხილულ ფაქტს აღწერდა თავის ნაშრომში, მსგავსადვე, მაგალითად მის ეპოქაში მოღვაწე უხტანესისა. მე-10 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი აფხაზთა სამეფოს უკიდურესი სიძლიერის ეპოქაში მოღვაწეობდა, და ის აფხაზეთს პირდაპირ უწოდებდა ქართველთა ქვეყანას. უხტანესი აღწერდა მათ ისტორიას და წერდა, რომ ივერები შავიზღვისპირეთში ჩამოსახლანაბუქოდონოსორმა, ეს ივერები გამრავლდნენ, გაძლიერდნენ და მათ ქვეყანას ამჟამად აფხაზეთი ეწოდება, ხოლო ეთნიკურად ისინი ქართველები არიანო.

მაშასადამე, ორი X–XI საუკუნეთა უცხოელი ავტორი თავიანთი ეპოქის აფხაზებს ქართველებად მიიჩნევდა, იოანე ცეცე კი კავკასიის ალანებსაც ქართველებად მიიჩნევდა.

როგორც ითქვა, მდ. კლისურიდან ვიდრე ბზიბისწყლამდე მოქცეულ ტერიტორიას მე-6 საუკუნედან ვიდრე მე-8 საუკუნემდე ზოგადად „ალანიას“ ანდა „ოსეთს“ უწოდებდნენ. ის მე-8 საუკუნიდან უკვე აფხაზეთის სამეფოს ნაწილად გადაიქცა და აფხაზეთი ეწოდა, მაგრამ ამ სამეფოს ცხუმის საერისთავოს ერთ ნაწილს ერქვა „ანაკოფია ალანითურთ“

ცხუმი-ალანითურთ ერთი საერისთავოში გააერთიანა აფხაზთა პირველმა მეფემ ლეონ მეორემ.

საერთოდ, თუ კარგად დავაკვირდებით ქართულ წყაროებს, მისი ძირითადი კონცეფცია ასეთია – აზო-ფარნაზის ეპოქიდან ქართლის სამეფოს საზღვარი დასავლეთის მიმართულებით უცვლელად გადიოდა შავ ზღვასა და მდინარე ეგრისწყალზე, შეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს ეს საზღვარი უფრო განივრცო და მდ. კლისურაზე იქნა გადატანილი. შესაბამისად მე-5 საუკუნედან საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის მდ. კლისურაზე გადიოდა.

მე-6 საუკუნის შემდგომ საზღვარი ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის კვლავ უკან გადაწეულა და ძველებურად მდ. ეგრისწყალზე დადებულა.

შესაბამისად ტრადიციული საზღვარი ქართლის სამეფოსა და „საბერძენთს“, შემდეგ კი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიას შორის გადიოდა ეგრისწყალსა და მდ. კლისურაზე.

მე-8 საუკუნისათვის ხაზართა ეპოქაში გაჩდა აფხაზეთი, ის თავდაპირველად ვახუშტის ცნობის მიხედვით მოქცეული იყო ხაზერითისწყალსა (მდ. ყუბანსა) და ბზიბისწყალს შუა.

ანუ აფხაზეთი თავდაპირველად ჩრდილოკავკასიაში მდებარეობდა, თავდაპირველად შედიოდა ბიზანტიურ სფეროში საერისთავოს სახით, ხოლო, შემდგომ ის იყო ხაზარეთის შავიზღვისპირა მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში.




მისი აფხაზთა ერისთავები თავდაპირველად, ქართული წყაროს ცნობით, ბიზანტიელებს ემორჩილებოდნენ, შემდეგ კი ხაზარებს, რაც რეალობასთან ახლოს უნდა იყოს.

მართლაც, რაც განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, აფხაზეთის პირველი მეფის ლეონ მეორის ადმინისტრაციული დაყოფიდან ჩანს, რომ საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო არ მოიცავდა ცხუმის ოლქის მიწაწყალსაც კი, ანუ ცხუმიც კი მის (აფხაზთა საერისთავოს) შემადგენლობაში არა შედიოდა.

მაშასადამე, მე-6 ს. შემდეგ ქართლის სამეფოში შედიოდა მიწაწყალი ვიდრე ეგრისწყალამდე (ანდა მდ. კლისურამდე), ხოლო აფხაზეთის საერისთავო მოიცავდა მიწაწყალს ბზიბისწყლიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე.

თუ ასე იყო, ისმის კითხვა, რა სახელი ერქვა ქვეყანას ეგრისწყალსა (კლისურასა) და ბზიბისწყალს შორის?



რუკა: აფხაზთა საერისთავო და ცხუმის საერისთავო (ანაკოფია - ბზიბისწყალამდე).



როგორც ზემოთ აღინიშნა, VI–VII საუკუნეებში ქვეყანას მოქცეულს ეგრის-წყალსა (ანდა მდ. კლისურასა) და ბზიბისწყალს შორის ერქვა სახელი „ალანია“, ზოგჯერ კი ოსეთი. ის, მე-8 საუკუნიდან, უკვე აფხაზეთის ნაწილად გადაიქცა და აფხაზეთი ეწოდა.

რასაც ადასტურებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ანონიმი ავტორი წინადადებით – „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“; ამ ცნობის მიხედვით, ალანთა ქვეყანას აფხაზეთი დაერქვა (იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1959, გვ. 15).

ამიტომ ცხუმი-ალანითურთ ერთი საერისთავოში გააერთიანა აფხაზთა პირველმა მეფემ ლეონ მეორემ.

ანუ აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შეიდა ალანიის ერთი ნაწილი, მოქცეული აღნიშნულ ეგრისწყალსა და ბზიბისწყალს შორის, ამ ოლქის მთავარი ქალაქი იყო ანაკოფია, ამიტომაც ოლქს ეწოდა „ანაკოფია ალანითურთ“.

ჩანს, უკვე იქამდე, აფხაზთა ერისთავმა ლეონ პირველმა განავრცო აფხაზთა საერისთავოს საზღვარი, გადმოლახა მდ. ბზიბისწყალი და ტერიტორია ბზიბისწყლიდან ეგრისწყლამდე შეიყვანა აფხაზთა საერისთავოში, ამ ტერიტორიული გაფართოების გარეშე ის გურანდუხტის შერთვის შემდეგ ქართლის სამეფოში შემაჯავალ დასავლეთ საქართველოზე ვერ განახორციელებდა თავის უფლებამოსილებას, რადგანაც გურანდუხტს წილი ოლქი იყო „ეგრისი, არგვეთი, თაკვერი, სვანეთი და გურია“. ამ ეგრისსა საზღვრავდა მდ. ეგრისწყალი (ანდა კლისურა, ხოლო აფხაზთა საერისთავოს თავდაპირველი საზღვარი იდო მდინარე ბზიფისწყალზე. ხოლო, აფხაზთა საერისთავოს თავდაპირველ საზღვარ ბზიფისწყალსა და კლისურას შუა იდო სხვა ტერიტორია, ალანია.

წყაროდან ჩანს, რომ მირ მეფის ქალიშვილ გურანდუხტსა და მეფე მირის ძმას არჩილს საუხუცესოდ ერგოთ დასავლეთ საქართველო „ეგრისი, არგვეთი,

თაკვერი და გურია“. ეს მიწაწყალი მდებარეობდა მდ. კლისურამდე.

როგორც ითქვა, გურანდუხტის მეუღლის ლეონის სამფლობელო (ანუ აფხაზეთის საერისთავო) იყო მიწაწყალი ყუბანიდან ვიდრე ბზიფისწყალამდე. ამ ტერიტორიებს შორის (ანუ ბზიბისწყალსა და კლისურას შორის) იდო ოლქი „ალანია“.

ლეონ ერისთავის დროს ამ ოლქის სტატუსი შეიცვალა, მოხდა პოლიტიკური სახეცვლილება, ეს „ალანია“ (ტერიტორია ბზიბისწყალსა და კლისურას შუა) მიუერთეს აფხაზთა საერისთავოს. შესაბამისად ალანიის ეს ნაწილი (მიწაწყალი ბზიბისწყალსა და კლისურას შუა) აფხაზეთად იწოდა, ამის შემდეგ შეეძლო ეთქვა მემეტიანეს – „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“.

ამ აზრს განამტკიცებს ცნობები ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლის შესახებ, აქ ნათქვამია, რომ ანდრია ქართლიდან ჯერ ოსეთში შევიდა, შემდგომ კი აფხაზეთში, ჩემეული კვლევით ეს ასე უნდა გავიგოთ – ანდრიამ გადალახა ქართლის (ეგრისის) მდინარეები ეგრისწყალი და მდ. კლისურა და შევიდა ალანიაში, ამის შემდეგ გადალახა ბზიფისწყალი და შევიდა აფხაზეთში, თუ ასე გავიგებთ ამ ცნობას, უფრო ლოგიკური გახდება მისი მარშრუტი, რადგანაც ამჟამად მიიხნევა, რომ ანდრია ქართლის შემდეგ ოსეთში შევიდა იქედან კი აფხაზეთში, რაც გაცილებით არალოგიკური მარშრუტია.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი სახელები, ტერმინები და ტოპონიმები წარსულში სხვა ტერიტორიებსაც ერქვა. მაგალითად, წყაროს მიხედვით, წმ. ანდრია თავდაპირველად შევიდა ქართლის ქვეყანაში და გადალახა მდინარე ფაზისი, ამ მდინარეს წმ. ექვთიმე მთაწმიდელი ჭოროხს უწოდებს („მიწიწინეს ქუეყანასა ქართლისასა... ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე“), ამ მდინარიიდან იწყებოდა სვანეთი, ანუ თანამედროვე გურია-იმერეთს ოდესღაც სვანეთი ერქვა („მიწიწინეს სვანეთისა ქუეყანასა...“), მართლაც მე-6 საუკუნეში ბიზანტია-სპარსეთის ომების დროს, ისინი



დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ სვანეთს“, რაც კარგად ჩანს, როგორც პროკოფი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის, ისევე სხვა ბიზანტიელი ავტორების შრომების განხილვისას (იხ. ჩემი წიგნი „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“). წმ. ანდრია პიველწოდებულის ცხოვრების მიხედვით წმ. მოციქული სვანეთიდან შესულა „ქვეყანასა ოსეთისასა“ ისმის კითხვა, რომელი ქვეყანა მოიაზრებოდა ამ ტერმინით – „სვანეთი“ ანდა „ოსეთი“?

ამ წყაროდან შეიძლება გვიგოთ, რომ ოსეთი (ალანია) რეგრქვა მიწაწყალს მდ. კლისურას იქით, ბზიბისწყლის მიმართულებით.

ანუ წმ. ანდრიას გადაულახავს მდ. ეგრისწყალი და მდ. კლისურა და შესულა ალანიაში (ანუ აფხაზეთის ალანიაში, მას ქართველები იშუამდ ოსეთს უწოდებდნენ), რომელსაც წყაროში „ანაკოფია ალანითურთ“ ეწოდება, და ამის შემდეგ გადაულახავს ბზიფისწყალი ანუ შესულა აფხაზეთში, აქედან კი ჯიქეთში.

მასასადამე ანდრისა მარშრუტია ქართლი (ჭოროხი, სვანეთი), ოსეთი და აფხაზეთი ანუ ჭოროხის შემდეგ დასავლეთ საქართველოს მიწაწყალს უწოდებდნენ სვანეთს, მდ. კლისურას იქით იყო ალანია (ანუ ოსეთი) და ამის შემდეგ აფხაზეთი, ანუ ექვთიმე მთაწმიდელს წმ. ანდია მოციქულის მიმოსვლის თარგმნის დროს გამოუყენებია წინა საუკუნეთა ანუ VI–VII საუკუნეების გეოგრაფიული ნომენკლატურა.

„მიიწივნეს ქუეყანასა ქართლისასა... ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე, ...მიიწივნეს სვანეთისა ქუეყანასა...ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოსეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი... წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა“.

<https://wikisource.org/wiki/ლეონტი-მროველი-„ცხოვრება-ქართველთა-მეფეთა“->(1955).

ასეთი ნომენკლატურა შეესაბამება ჩვენს კვლევას, რომ მდ.ეგრისწყალი (ან კლისურა) ერთმანეთისაგან ყოფდა იბერიასა (აქ სვანეთსა) და ალანიას (ანუ

„ანაკოფია-ალანითურთ“), როლის შემდეგაც იწყებოდა აფხაზეთი (კონკრეტულად კი აფხაზეთა საერისთავო ბზიფისწყლიდან ვიდრე ყუბანამდე), იქვე იყო ჯიქეთი.

ამის გარდა სხვა მრავალი წყაროს ცნობით აფხაზეთის სანაპიროს ტერიტორიას ოსეთს უწოდებდნენ, მაგალითად „ცხოვრება შვიდათ მოწამე ძმათა-ორიენტოსისა...“ და სხვა.

აი ეს „ალანია“, მიწაწყალი (ტერიტორია კლისურასა და ბზიფისწყალს შორის, კავკასიის ალანიასთან ერთად) არ ეთმობოდა ბიზანტიას, და მას ედავებოდა აფხაზეთა სამეფოს. აქ მდებარეობდა ანაკოფიის დიდი პორტი, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან შემომავალი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, ამ ალანიაში იდგენენ ცნობილი ტაძრები არხიზ-ხელენჯუისა, სენტისა და შოანასი.

ამიტომაც ეს ალანია სადავო იყო აფხაზ მეფეთა და ბიზანტიას შორის, აქ სურდა ნიკოლოზ მისტიკოსს თავისი ეპარქიის დაარსება, რისი ნებაც არ მისცეს აფხაზეთა (წყაროშია-ალანთა) მეფეებმა.

ამის საწინააღმდეგოდ, ანუ ბიზანტიის ეკლესიური ექსპანსიის გასანეიტრალებლად აფხაზეთა მეფეებმა ამ მიწაწყალზე დაარსეს ბიჭვინთის ქართულენოვანი საკათალიკოსო, აქ ააგეს ქართული წარწერებით დამშვენებული დიდებული ეკლესიები, მოქვისა, ლიხნისა და სხვა, რათა ბიზანტიური ბრწყინვალეობაც კი გადაეფარათ მორწმუნეთა გასამხნეველად. ეს ალანია გადასცა 1032 წელს აღდე დელოფალმა ბიზანტიას და დაიბრუნა გიორგი მეორემ, მარიამ ალანელის ძმამ, 1074 წელს. აქაური ალანების პრინცივები უნდა ყოფილიყვნენ ბიზანტიისა და საქართველოს ზოგიერთი დედოფალი.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ზოგადად ქართველობა აფხაზეთა მეფეებს თანამეტომედ და ეროვნულ წინამძღვრებად მიიჩნევდა, ხარობდა მათი წარმატებებით, და მათ ვახტანგ გორგასალსა და ეროვნული დიდების კორიფეებს ადარებდა. ეს სიყვარული იყო გულწრფელი, რაც ჩანს, იმით, რომ წერილობითი წყაროების



გარდა ამას ადასტურებენ ხალხური წარწერები ეკლესიების კედლებზე, მაგალითად, ერედვის ეკლესიის წარწერაში, სადაც განდიდებულია აფხაზთა მეფე კონსტანტინე, რომელსაც ნიკოლოზ მისტიკოსი ბერძენი სამღვდელთა დახმარებას ევედრებოდა, ის კი ბერძნულის ნაცვლად, ქართულ ეკლესიებს აგებდა ქართული წირვა-ლოცვით. მაგალითად ერედვის ეკლესიის წარწერიდან ჩანს, რომ აფხაზთა მეფე თავისი განმათავისუფლებელი ომებისას სწრაფი მარშებით, არწივსაა შედარებული, ამ წარწერით, აფხაზთა ეს მეფე კახეთ-ჰერეთში მნიშვნელოვანი ბრძოლის შემდეგ ცისკარზე ალავერდში მივიდა და ილოცა, სადამოს კი უკვე ბრეძაში იყო (ლისის ქედთან ახლოს), მალევე კი არწივის სისწრაფით, კვლამ ჩავიდა კახეთში და ვეჯინის ციხე გაათავისუფლა. ის ერედვის ანუ შიდა ქართლის ეკლესიის წარწერაში იწოდება წმიდა მეფედ, რომელიც „ღთივდამყარებულია“

ერედვის ეკლესიის რ. მეფისაშვილისეული წარწერა ასეთია – „სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა წმიდისა და ღმრთისმშობელისაითა, შეწევნითა წმიდისა გიორგისაითა ხელმწიფობასა ღმრთივდამყარებულსა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფეი გააქცია და მუნით მშვიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გადაჰხტა; მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დაღეწა; ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარეპისკოპოსობასა სანატრელისა ყუარყუარესა, ჯუართა მისითა, განზრახვითა ნიქოხელისა – სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისაითა, ძალითა, შეწევნითა მოყუასთაითა, მე თეოდორე თაფლაისძემან დავდე საძირკველი – წელნი იყუნენ ხვი, ქრონიკონსა რკვ“.

მაშასადამე, ქართლსა და კახეთში აფხაზთა მეფეები წმიდა მეფეებად, ანუ ამ ეპოქის ქართლ-კახეთის ხალხისათვის საყვარელ, საამაყო მეფეებად ითვლებოდნენ, და არა უცხო დამპყრობლებად.

იგივე ჩანს სხვა ხალხური (არაოფიციალური) წარწერებიდანაც, სამშვილ-

დიდან, კუმურდოდან და სხვა. მაგალითად, ქართლში ატენის წარწერაშიც აფხაზთა მეფე იქაური ხალხის მიერაა განდიდებული, ის სახალხო მეფეა. წარწერა ასეთია –

„ქ. სახელითა ღმრთისათა, მე გრიგოლ-მან მირიანის ყმა-მან თარხნის ძისა-მან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ ატენს სახლნი ქულბაქი მას ჟამსა ოდეს, აღიდენ ღმერთმან, ძლიერ-მან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქის აშენება გაუმარჯვა ღმერთ-მან და ბედ-მან მეფეთ მეფობისა მათისა-მან. ვითა სწადდა მეფობასა მათსა ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი სალოცველად ჰგიანმცა უკუნისამდე ძრეელი მეფეთა მეფე[მ] ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი“.

ეს უკანასკნელები ანუ ბაგრატ მე-4 იყო მამა მარიამ-მართა ბიზანტიის დედოფლისა, რომელსაც „ალანელს“ უწოდებდნენ. და ბიძა, მამის ძმა, ირინე ალანელისა. ხოლო გიორგი კურაპალატი, ძმა მართა-მარიამისა არის დავით აღმაშენებლის მამა.

იმის შემდეგ რაც ბიზანტიის ყოვლის შემძლე დედოფალმა „მარიამ ალანელმა“ სადედოფლო ტახტი დაიჭირა, უმალვე თავისი უახლოესი დიდმოხელის გრიგოლ ბაკურიანისძის ხელით თავის ძმას საქართველოს მეფე გიორგი მეორეს ანუ საქართველოს სახელმწიფოს გადასცა ყარსის ციხესიმაგრე, მიმდებარე ქვეყნით, და ამასთანავე ბიზანტიაში შემავალი იბერიის თემის უმეტესი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი თურქ-სელჯუკთა მიერ.

საერთოდ, იბერიის თემიდან გამოსული ჯარი, ანუ იბერიელი ჯარისჯაცები ქმნიდნენ 50 000 კაციან არმიას, ბიზანტიურ რეგულარული სამხედრო შენაერთს, რომელიც წარმატებით იკერიებდა თურქ-სელჯუკთა შემოსევებს, მარიამ ალანელის მამამთილმა, იმპერატორმა კონსტანტინე მე-10 დუკამ მთლიანად დაშალა იბერიის თემის 50 000-იანი არმია, ხარჯების შემცირების მიზნით, მაგრამ უიდიდესი შეცდომა დაუშვა, რამაც დაჩ-



ქარა ანდა გამოიწვია კიდევ დაცემა ბიზანტიის იმპერიისა.

„იბერიელების ჯარი“, ანუ იბერიის თემის რეგულარული არმა, დაიშალა, ამით თურქ-სელჯუკებს გზა გაეხსნათ ბიზანტიის დედაქალაქისაკენ, მაღევე 1071 წელს მანასკერტთან ბიზანტიის არმია სასტიკად დაამარცხა თურქ სელჯუკებმა, იმჟამინდელი იმპერატორი რომანოზ IV დიოგენე (1068–1071) წლებში კი, დაატყვევეს.

როგორც ითქვა, იბერიის თემის ჯერ კიდევ დაუპყრობელი ნაწილი გრიგოლ ბაკურიანის ძის ანუ მარიამ ალანელის ღვაწლით, საქართველოს დაუბრუნდა ანაკოფიის ციხექალაქთან ერთად,

ისმის კითხვა, თუ რატომ იყო დაინტერესებული ბიზანტიის ქართველი დედოფალი მარიამ ალანელი, რომ მის სამშობლოს უკან დაბრუნებოდა ისტორიულად ქართული მიწაწყალი ტაო-იბერიის თემსა და აფხაზეთ-აღმანიაში?

ამ მიწაწყლის იბერულობას მიუთითებდა ჯერ კიდევ სტრაბონი.

სტრაბონი წერდა – მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).

მაშასადამე, პარიადრეს კალთები (რომელიც ტრაპეზუნტიდან არზრუმის მიმართულებითაა განფენილი) ისტორიული ქართული მიწაწყალია, სტრაბონის ცნობით, კარენიტი ანუ არზრუმის რეგიონი იყო იბერიელებისა, ხალიბებისა, ხოლო, ტაო ხორძენას ნაწილი იყო, ხორძენა კი ჩვენი კვლევით განფენილი იყო არზრუმის ოლქიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის

შესართავამდე (იხ. ჩემი წიგნი „ქართული საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“), იბერიელების არაქსზე ცხოვრებას სტრაბონის გარდა აპოლოდორეც მიუთითებს, შესაბამისად იბერები ანისის ოლქის მკვიდრი მოსახლეობა იყო, რომელიც არმენიზაციის მძიმე პროცესის ქვეშ იმყოფებოდა სტრაბონისავე ცნობით (იხ. წერს, რომ არმენიელთა მიერ მიტაცებულ მიწის, იბერიისა და ქართული ტომების მიწაწყალზე უკვე მის დროს ერთი სომხური ენა იყო გაგრძელებული, ანუ არმენიის იბერია არმენიზაციის პროცესში იყო სტრაბონის ეპოქამდეც და ასევე ეს პროცესი გაგრძელდა სომხეთის გაქრისტიანების შემდეგაც, ეს მოსახლეობა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, ამის მიუხედავად, არმენიის განაპირა მხარეების იბერებმა გარკვეულწილად შეძლეს თვისი ქართული იდენტობის შენარჩუნება, იგულისხმება ტაო-ბასიანიას, არძრუმისა და მიმდებარე ოლქების ქართველობა, ამ ხალხს ბიზანტიელები „იბერებს“ უწოდებდნენ, ხოლო მათ ქვეყანაც „იბერიას“, ბასილი ბულგარმმუსვრელის ლაშქობას ამ ქვეყანაში „ომი იბერიასთან“ ეწოდებოდა და ამ მიწაწყლის დაპყრობის შემდეგ აქ იბერიის თემი დაარსა.

არ იყო შემთხვევითი, რომ მაგალითად ბიზანტიის სახელრო-ადმინისტრაციული ერთეულის „იბერიის თემის“ დედაქალაქები იყვნენ არზრუმი და ანისი და ორივე ამ ქალაქს მოიცავდა ქართული საეპისკოპოსოები. ამ ოლქებში ქართული საეპისკოპოსოების – ანელის, არზრუმელის, ვალაშკერტელისა თუ დადეშნელის მრევლი ის უძველესი ქართული მოსახლეობა იყო, რომელიც სტრაბონის მიერ აღწერილ პარიადრესა, კარენიტიდასა, ხორძენესა თუ გოგარენაში მკვიდრობა ძველთაგან.

(ჩვენ სტრაბონის მიერ ნახსენებ იბერიულ პარიადრეს კალთებს, ხორძენესა და გოგარენას ვუწოდებთ „ძველ, თავდაპირველ, ისტორიულ ივერიას და მას მივიჩნევთ „არიან-ქართლად“, ტერიტორიულად ის მოიცავდა მიწაწყალს შავი ზღვიდან, ტრაპეზუნტის სამხრეთიდან,



პარიადრეს მთიანეთის დასაწყისიდან, ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჩათვლით. ამ მიწაწყლის იბერებს არ გაუმართლა იმით, რომ სტრაბონის ცნობით ეს მიწაწყალი არმენიის მეფეებმა (არტაქსიამ და ზარიადრემ ძვ. წ. 190 წლისათვის) დაიპყრეს – ამის შემდეგ დაიწყო აქაურ ქართველთა არმენიზაცია. არმენიის გაქრისტიანების შემდეგ არმენიის იბერები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდნენ, ამიტომაც, მაგალითად ზოგიერთი კონსტანტინოპოლელი პატრიარქი, არმენიის კათალოკოსებს „სომეხთა და ქართველთა“ მწემსს უწოდებდნენ, ხოლო სომეხთა ზოგიერთ მეფეს „სომეხთა და ქართველთა მეფე“ ერქვა. ანტიოქიის პატრიარქიას ტიტულატურაშიც კი, დღემდე იხსენიება ივერია (полный титул: Егѳ Богѣственное Блаженство, Патриарх Великого Божия града Антиохїи, Сїрии, Аравїи, Киликїи, Иверїи, Месопотамїи и всего Востока).

ამ ტიტულში „ივერიის“ ქვეშ იგულისხმება არა თანამედროვე საქართველო, არამედ „არმენიის ივერია“ ანუ მიწაწყალი არზრუმიდან ვანის ტბამდე.

როგორც ითქვა, ამ მიწაწყალს ბიზანტიელებიც ივერიას უწოდებდნენ, ამიტომაც დაარქვეს თავიანთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქს – „იბერიის თემი“, მხოლოდ ქალკედონიტობის გავრცელების შემდეგ სომხებისაგან განსასხვავებლად და თავისი განსხვავებული იდენტობის შესანარჩუნებლად არმენიის იბერები მკაცრად ემხრობოდნენ ქალკედონიტობას, ისინი თავიანთ თავს მუდამ ქალკედონიტებად წარმოაჩენდნენ, რადგანაც თავისუფალი საქართველოს ანუ მცხეთის ივერიის ქართველობა ასევე მტკიცე ქალკედონიტი იყო, არმენიის ქართველობას თავიანთი ქალკედონიტობით თავის თავისუფალ ქვეყანასთან (მცხეთის ივერიასთან) სულიერი კავშირის გამოხატვა სურდათ.

კარტაშევის ეკლესიით, რომელიც განხილულია ჩემს წიგნშიც, აღმოსავლეთის მრავალი ხალხი ეთნიკური ნიშნითაც ირჩევდა სარწმუნოებრივ აღმსარებლობას. მსგავსადვე, არმენიის ქართველები უფრო

ეთნიკური ნიშნით უჭერდნენ მხარს ქალკედონიტობას, ამით თავიანთ იდენტობას განასხვავებდნენ სომხებისაგან, რომელნიც უფო მონოფიზიტობისაკენ იხრებოდნენ.

საბოლოო ჯამში, არმენიის იბერების ერთმა ნაწილმა მართლაც შეძლო ამ გზით გათავისუფლება სომხური საეკლესიო იურისდიქციისაგან.

არმენიის იბერების გათავისუფლება სომხური საეკლესიო უღლისაგან უკავშირდება მანასკერის 726 წლის სომხურ საეკლესიო კრებას, სადაც დაწყველეს ქალკედონიტები ანუ შესაბამისად არმენიის ივერები.

726 წლის ამ კრების ანათემებმა გამოაფხიზლა ტაოს, ბასიანის, არზრუმისა და მეზობელი თემების ქართველობა. მაგრამ, მათ თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდათ ურთულესი მდგომარეობიდან ანუ სომხური ეკლესიის უღლისაგან გასათავისუფლებლად, დაახლოებით 780 წლისათვის მათ, ჩვენი მოსახლეობით, იქაური, ქართული საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დაადგინეს სომხური ეკლესიისაგან საბოლოოდ გათავისუფლება, მათ (ტაოს, ბასიანის, არზრუმისა და მიმდებრე ოლქების იბერებმა) უარყვეს ეკლესიებში სომხურენოვანი ღვთისმსახურება, აღიდგინეს დედა ქართულ ენაზე მსახურება, მსგავსადვე იმისა, როგორც ერთი საუკუნით ადრე კირიონ კათალიკოსის დროს გუგარქის ქართველობამ ეკლესიებში აღიდგინა ქართულენოვანი მსახურება.

ეს იყო უდიდესი განმანთავისუფლებელი ნაბიჯი და სამწუხაროდ, ასეთი დიდი განმანთავისუფლებელი ნაბიჯის გადადგმა ვერ შეძლო ალბანეთის ეკლესიის მრევლმა, სადაც გაბტონებულმა სომხურმა ეკლესიამ აკრძალა ალბანურენოვანი მსახურება და დაადგინა სომხურენოვნება, ამის შესახებ წერს მოვსეს კალანკატუაცი, რომელიც იმასაც აღნიშნავს თუ როგორ გადაყარეს გაბტონებულმა სომხის მსახურებმა ალბანურენოვანი წიგნები ბარდავთან ახლოს გამავალ მდინარე ტრტუტში და საეკლესიო



კრების გადაწყვეტილებით დაადგინეს ალბანეთის ეკლესიებში სომხურენოვნება.

ანუ, 726 წლის შემდეგ, რაც სომხურმა ეკელიამ საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტობა, ხოლო ქალკედონიტები დაწყველა, არმენიის იბერიული მხარეების მკვიდრმა მოსახლეობამ ანუ იბერებმა თავი გაითავისუფლეს სომხური ეკლესიისაგან (უფრო 780 წელს), ანუ ქართველთა არმენიზაცია ამ ოლქებში შენეულა, უფრო მეტიც, ეკლესიურად გათავისუფლებულმა იბერებმა ტაოში დაარსეს სახელმწიფო – „ქართველთა სამეფო“.

სამწუხაროდ, ქართველთა სამეფო, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავდა არმენიის იბერიულ მხარეებს ტაოდან ვანის ტბამდე, სასტიკად დაამარცხა ბასილი ბულგარმმუსვრელმა და ამ მიწა-წყალზე დაარს იბერიის თემი.

აქაური „იბერიული ჯარი“ თურქსელჯუკებისაგან იცავდა ქრისტიანულ იმპერიას და ებრძოდა ქრისტიანობის მტრებს.

საბოლოოდ, 1074 წლისათვის ეს მხარეები საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად გადაიქცა მარიამ ალანელისა და გრიგოლ ბაკურიანის ღვაწლით, უფრო კი მარიამის ძმისშვილის დავით აღმაშენებლის დროისათვის.

(საინტერესოა, რომ შემდეგში კვლავ შეიცვალა აქაურ ქართველთა ბედი. არმენიის იბერია ანუ ყოფილი იბერიის თემის მიწა-წყალი თამარის დროს აღმოჩნდა მონოფიზიტი ზაქარია მხარგრძელის ხელში, რამაც ანისი ოლქის იბერიელების არმენიზაციის პროცესი ნაწილობრივ კვლავ გააგრძელა, ყოფილი იბერიის თემის მნიშვნელოვანი ნაწილი XIII საუკუნის 80-იან წლებში სამცხის სამთავროს ფარგლებში შედიოდა: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი, აჭარა, „კარული ქვეყანა“, (ყარსის რეგიონი) და სპერი. საბოლოოდ ყოფილი იბერიის თემის დიდი ნაწილი აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგოს ხელში, რომელიც თავიდან ქრისტიანული სახელმწიფო იყო. მისმა გამაჰმადიანებამ აქ გააბატონა ოსმალეთის სახელმწიფო, 1628 წელს ოსმა-

ლეთმა დაიპყრო სამცხე-საათაბაგო. ის იმპერიის რიგით საფაშოდ გამოცხადდა. 1795 წლამდე მას გამაჰმადიანებული ქართველები, ყოფილი მთავრები – ჯაყელი ფაშები განაგებდნენ.

ამ დროს განხორციელდა უდიდესი რელიგიური ცვლილებები, კერძოდ, ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი მოსახლეობის, კერძოდ კი ქართველი ქრისტიანების უდიდესი მასა შეიყავნა ე.წ. „სომხურ მილეთში“, იგივე არმენიულ მილეთში.

ოსმალეთში სომხური მილეთის შესახებ წერს სანდრო ბაკურაძე – „სულთნის ხელისუფლება, რელიგიურ და კულტურულ საკითხებში, არადომინანტ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა, რომელიც არ გახლდათ ტერიტორიული შინაარსის, შესაბამისად, აბრკოლებდა რაიმე სახის ფეოდალური ოპოზიციის წარმოქმნას. იმპერიის მოსახლეობა რელიგიის მიხედვით იქნა დაყოფილი და რელიგიური ჯგუფების ლიდერები ფაქტობრივ ეთნარქებად იქცნენ, რომლებიც თავიანთ სამწყსოებს სულთნის კარზე წარმოადგენდნენ. ხოლო დომინანტი რელიგიური ჯგუფის – მუსლიმების ლიდერი თავად სულთანი გახლდათ, რომელმაც, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, 1517 წელს, ხალიფის ტიტული მიიღო და მსოფლიო მუსლიმების ლიდერობაზეც განაცხადა პრეტენზია. თავდაპირველად ოსმალეთის იმპერიაში სამი ძირითადი არამუსლიმი მილეთი არსებობდა – ესენი იყვნენ

1. მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელთაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი მეთაურობდა და იმპერიის ყველა მართლმადიდებელ ქვეშევრდომს აერთიანებდა ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, დაპყრობილი ქვეყნების ავტოკეფალური ეკლესიები როგორც წესი უქმდებოდა და მათი ეპარქიები და ქონება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელში გადადიოდა.

2. ებრაელები, რომელთაც ხახამბაში მეთაურობდა და

3. სომხები, რომელთაც კონსტანტინოპოლის სომეხი პატრიარქი ედგათ სათავეში.



მიღეთის სისტემა, საშინაო საქმეებში რელიგიურ ჯგუფებს ფართო ავტონომიას ანიჭებდა; ისეთი საკითხები როგორც იყო ქორწინება, მემკვიდრეობის გადასაწილება და სხვა, როგორც წესი თემის შიგნითვე წყდებოდა და ცენტრალური სასამართლო სისტემა, რომელსაც სულთნის მიერ დანიშნული მუსლიმი მოხელეები განაგებდნენ, მხოლოდ ერთგვარი სააპელაციო ინსტანციის როლს ასრულებდა, რომელსაც მაშინ მიმართავდნენ, როცა სათემო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჰყოფნიდა პრობლემის გადაწყვეტას“

<http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2020/04/მიღეთიდან-ერამდე-ისლამი-და-თურქული-იდენტობა.pdf>

არმენიული ანუ ოსმალეთის სომხური მიღეთის ქართველობა (ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ქართველობა), როგორც ვახუშტი აღნიშნავს, „უპატრონობის“ გამო ერთმანეთს შორის გადაინაწილეს ოსმალეთის ბერძნულმა და სომხურმა მიღეთებმა, ბერძნულ მიღეთში ძირითადად შეიყვანეს ლაზები და მიმდებარე ქართველები, არმენიულ მიღეთში კი მესხეთის ანუ ყოფილი იბერიის თემის ერთი ნაწილის ქართველები, საერთოდ, რადგანაც ოსმალეთში არც არსებობდა „ქართული მიღეთი“, აღნიშნული ტერიტორიის ქრისტიანი ქართველობა იძულებული იყო მიკვდებოდა რომელიმე მიღეთს, მათ ერჩიათ სომხური მიღეთი, რადგანაც ბერძნული მიღეთი უფრო სასტიკად დევნიდა ქართულ (ლაზურ) ენას, მის გამოყენებას ოჯახებშიც კი, ხოლო სომხური მიღეთი ოჯახებში ქართული ენის გამოყენებას არ კრძალავდა, მაგრამ მათი არმენიზაციის პროცესი გრძელდებოდა, ისინი თავისებურად ითვისებდნენ სომხური ენის ელემენტებს, საბოლოოდ კი ამთ წიაღში ჩამოყალიბდა ე. წ. „ახალი სომხური ენის ადგილობრივი დიალექტი“, ნ. მარი და ასევე სხვები აღნიშნავენ, რომ ეს „ახალი სომხური ენა“ უფრო ახლოს იდგა კავკასიურ ანუ ქართულ ენასთან, ვიდრე ძველ სომხურ ენასთან. იგი საერთოდ დაშორებული იყო ინდოევროპული ძველი სომხური ენისაგან, ყოფილი იბერიის თემის ქართველობა, ანუ

ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობამ შეადგინა კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს ძირითადი სამრევლო, საბოლოოდ, ისინი ე.წ. სომხების გენოციდს შეეწირნენ 1914-იან წლებში, ანდა გადასახლდნენ უფრო სამხრეთით და საბოლოოდ გასომხდნენ).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ არმენიის ივერიის ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა იდენტობა, მათი უდიდესი ნაწილი გასომხდა, თვით სომეხი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, რომ ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ქრისტიანმა მოსახლეობამ შეადგინა კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს ძირითადი სამრევლო ნაწილი. საქმე ის იყო რომ კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოს დაარსებისას სომხების ძირითადი მასა ეკლესიურად უკვე ექვემდებარებოდა ექშიაძინის, იერუსალიმისა და კილიკიის სომხურ საკათალიკოსოებს, ასეთ დროს ახლადდაარსებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამრევლოდ კი გადააქციეს ის ქართველები, რომელიც ცხოვრობდა უკვე ოსმალურ ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მიწაწყალზე.

ჩვენში მიღებულია ტერმინები და სადავო არ არის, რომ ქართველთა ე. წ. „გათათრების“ გვერდით არსებობდა ტერმინიც – „გაფრანგება“ ანუ გაკათოლიკება, მაგრამ მეცნიერები არ ხმარობენ ტერმინებს „არმენიზაცია“, ანუ გასომხება, „გაბერძნება“ ანუ დენაციონალიზაცია ქართველთა გადაყვანისას კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში, „გააფხაზება“, რაც თვალხილული ფაქტია, ანდა „გაოსება“ (მაგალიტად ამჟამინდელ სამხრეთ ოსეთში ქართველების მასიური დენაციონალიზაცია), ანდა საინგილოსა და ყოფილ ჭარ-ბელაქანში ქართველების „გაღლეკება“. ამ საკითხების კვლევა ისტორიკოსთა გარდა მოეთხოვება ეთნოგრაფებსაც, მაგალითად ისინი უნდა დააკვრდნენ ამჟამად უცხოეთში გადასული თითქმის მილიონი ქართველის დენაციონალიზაციის პროცესს.

ასეთ საყოველთაო ფონზე უფრო გასაგებია ის ვითრება, რომელიც იყო



მეორე ათასწლეულის დადგომამდე არმენიის ივერიაში. აქაურ ქართველთა დენაციონალიზაციას აფერხებდა საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, რომელიც არმენიის ივერიას უშუალოდ ემიჯნებოდა ჩრდილოეთის მხრიდან.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებითაა დასაფასებელი ბიზანტიის ქართველი დედოფლის მარიამ-მართას ანუ ე.წ. მარიამ ალანელის ღვაწლი. მას ურთულესი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მუდამ ცდილობდა ყურადღება არ დაეკლო თავისი ძმის მეფე გიორგი მეორეს სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიისათვის.

საერთოდ, აღნიშნულია, რომ აჯანყებული სარდალი ნიკიფორე ბოტინატი ვერ მოიპოვებდა საიმპერატორო ლეგიტიმაციას კანონიერი დედოფლის მარიამ ალანელის გარეშე.

მართლაც მიხეილ დუკა დაამხო უზურპატორმა ნიკიფორე ბოტინატმა მარიამ ალანელის თანხმებით და მასთან თანხმობითვე დაიჭირა საიმპერატორო ტახტი, თანხმობის პირობა კი ეხებოდა მარიამის შვილს – კონსტანტინე დუკას.

საიმპერატორო ტახტზე ასვლის სანაცვლოდ მოხუცმა ნიკიფორე ბოტინატმა დაწერა ანდერძი, რომ მის შემდეგ იმპერატორი გახდებოდა კონსტანტინე დუკა, ამიტომაც ეწოდება სენტის წარწერაში კონსტანტინეს ბასილევსი.

მაშასადამე სენტის წარწერა შესრულებულია ნიკიფორე ბოტინატის დროს ანუ 1078–1081 წლებში და არა 965 წელს.

თვითონ ამ წარწერის რუსი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ წარწერის დათარიღებაში ერთერთი ასოს ამოკითხვა მათ ვერ შეძლეს. შესაბამისად, დათარიღების მათეული ახსნა ძალზე საეჭვოა, ამის მიუხედავად, თუკი გავზიარებთ მათეულ დათარიღებას, წარწერაში არსებული თარიღი „СОТВОРЕНИЯ МИРА В 6473 Г.“ მიუთითებს არა წარწერის შესრულების, არამედ ტაძრის აგების 965 წელს.

1081 წლის შემდეგაც, რაც ალექსი I კომნინმა ჩამოაგდო ნიკიფორე ბოტინატი, მარიამ ალანელი შეუთანხმდა ახალ მმართველს, რომ ის მხარს დაუჭერდა

დუკების დინასტიას. იგულისხმებოდა, რომ მარიამის შვილი კონსტანტინე დუკა ავიდოდა საიმპერატორო ტახტზე, ასევე, ალექსის შემდეგ.

ამ თანხმობის შესაბამისად მარიამის შვილმა კონსტანტინემ მიიღო უმაღლესი ტიტული იმპერატორის „თანამმართველი და მემკვიდრე“. ის ხელს აწერდა ყველა ოფიციალურ დოკუმენტს. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ვიდრე 1087 წლამდე, როცა დაიბადა ალექსი კომნინის ვაჟი იოანე, მაგრამ უმთავრესი მიზეზი იყო კონსტანტინეს მუდმივი ავადმყოფობა, მისი სუსტი ჯანმრთელობის მაღევე, 1095 წელს გარდაიცვალა.

სენტის ტაძრის წარწერაში მოხსენიებული კონსტანტინე დუკა სამი იმპერატორის თანამმართველი და მემკვიდრე იყო არა მხოლოდ მისი დედის, ბიზანტიის დედოფლის მარიამ ალანელის ავტორიტეტისა და გავლენის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ის იყო „პორფიროგენეტი“ ანუ დაბადებისთანავე ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის ლეგიტიმური პრედენდენტი.

საქმე ისაა, რომ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტს ძალზე ხშირად იჭერდნენ უზურპატორები, ძირითადად ჯარის მთავარსარდლები, რომელნიც თავიანთ თავს იმპერატორად აცხადებდნენ, ამიტომაც მათ უჭირდათ ტახტზე ლეგიტიმაციის მოპოვება, მათთან შედარებით სრულაიდ განსხვავებული იყო პორფიროსნების (პორფიროგენეტების) მდგომარეობა, მიღებული წესის თანახმად, მათ ტახტზე „უეჭველი“, კანონიერი უფლება გააჩნდათ „პორფიროგენეტობის“ გამო.

„პორფიროგენეტად“ ითვლებოდა იმპერატორის არა ყველა შვილი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც დაიბადებოდა მისი საიმპერატორო მმართველობის წლებში. ამასთანავე, ბავშვის დედაც, უნდა ყოფილიყო დედოფალი ანუ, იმპერატორის ოფიციალური მეუღლე. ის, ვითარცა კანონიერი მმართველი დედოფალი ვალდებული იყო ემშობიარა საგანგებო სახლში, რომელსაც „პორფირა“ ერქვა. ის იყო სასახლის ერთერთი ნაგე-



ბოზა, რომლის დარბაზი მოპირკეტებული იყო წითელი ქვით – პორფირით, მეწმული თეთრწინწკლებიანი მინერალით. საერთოდ, მეწამული ფერი – საიმპერატორო სიმბოლოდ მიიხსენიება. ამგვარად ნაშობ ბავშვს უფო მეტი უფლება ჰქონდა იმპერატორის სხვა შვილებთან, თუნდაც პირველშობილთან შედარებით, რომელიც არ იყო პორფიროსანი.

როგორც ითქვა საიმპერატორო ტახტზე ასვლა ოცნება იყო მრავალი უზურპატორისა, მაგრამ მათთან შედარებით ტახტზე ასვლის სრული უქვეყელი უფლება პორფიროსანს ენიჭებოდა. მას დიდი ლეგიტიმაცია გააჩნდა, მაგრამ რეალური გავლენის სფეროს სიმცირე ზოგჯერ აფერხებდა მათ წინსვლას.

მარიამ ალანელის ვაჟი კონსტანტინე დუკა მე-10 საუკუნეში ბიზანტიის ტახტის ყველაზე ლეგიტიმური, კანონიერი და უქვეყელი პრედენდენტი იყო თავისი პორფიროგენეტობის გამო. მაგრამ, ვინაიდან ის მცირეწლოვანი იყო მის საიმპერატორო უფლებებს მისი რეგენტი – დედა მარიამ ალანელი ახორციელებდა.

მარიამ ალანელი, კონსტანტინეს მცირეწლოვნობის დროს სახელმწიფოს მმართველად ითვლებოდა, რომელიც, დროებით, შვილის სრულწლოვანებამდე ახორციელებდა მონარქის უფლებამოსილებას, სახელმწიფოს მართავდა მონარქი-შვილის ნაცვლად.

მაშასადამე, დედოფალ მარიამ ალანელს თავისი შვილის კონსტანტინე პორფიროგენეტის გამო 1070/80-იან წლებში დიდი საიმპერატორო უფლებანი გააჩნდა, ამ მიზეზის გამო შეძლო მან ტახტზე ორი უზურპატორი იმპერატორის აყვანა, ნიკიფორე ბოტინატისა და ალექსი I კომნინისა.

ამ მიზეზების გამო ერთად მოიხსენებიან კავკასიის ალანიაში მდებარე სენტის ეკლესიის წარწერაში იმპერატორი ნიკიფორე ბოტინატი, მისი თანამმართველი კონსტანტინე დუკა და დედოფალი მარიამი, რომელსაც, ჩანს, „ალანიის ეკსუსიოკრატორის“ ტიტულიც გააჩნდა.

3. „ეკსუსიოკრატორი“ მარიამ ალანელი

სენტის ტაძრის ბერძნულ წარწერაში ნახსენებ „დავითს“ აქვს ტიტული „ალანიის ეკსუსიოკრატორი“, მაგრამ მარიამს ეწოდება არა „ალანიის ეკსუსიოკრატორი“ არამედ პირდაპირ – „ეკსუსიოკრატორი“. ამ ტიტულს აფხაზთა მეფეებსაც ანიჭებდნენ.

რომელი ტიტული ჰქონდა სამი იმპერატორის ზეობისას ბიზანტიის ყველაზე გავლენიან მმრთველ-დედოფალს მართამარიამს, ის ჩვეულებრივი ეკსუსიოკრატორი იყო თუ „ალანიის ეკსუსიოკრატორი“, როგორც ქვემოთაა გამოკვლეული ამ ტიტულებს (ეკსუსიოკრატორი) მართამარიამის გარემოში ატარებდა მრავალი დიდებული, მაგალითად მისი უახლოესი ნათესავის ირინა ალანელის მამა და სხვები.

იმის კითხვა, ჰქონდა თუ არა დედოფალ მართამარიამს ტიტული „ალანიის ეკსუსიოკრატორი“?

დავსვათ ასეთი შეკითხვა, ბიზანტიაში რატომ უწოდებდნენ დაბადებით ქართველს, საქართველოს მეფის ბაგრატ მე-4-ის ასულს მარიამ-მართა ბაგრატიონს – „ალანელს“?

ამ უცნაურ მოვლენას ხსნიან, თითქოსდა მას „ალანელს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ მას მრავალი ალანელი ემსახურებოდა, მაგრამ ეს ვერ ხსნის ფაქტს.

ვფიქრობ, რომ მარიამ-მართა ბაგრატიონს ალანელს უწოდებდნენ სწორედ იმის გამო, რომ მას მინიჭებული ჰქონდა მაღალი ტიტული „ალანიის ეკსუსიოკრატორი“.

რატომ მიანიჭეს მას ეს ტიტული?

მარიამ ალანელი იყო მემკვიდრე მისი დიდი დედის ბორენა ალანელისა, რომელიც საქართველოს დედოფალი იყო, მაგრამ იყო ალანიის მეფის ასული და შესაბამისად ალანიაში თავისი ქონება და მამულები გააჩნდა, ისევე, როგორც მარიამ ალანელის ბებიას აღდე ალანელს, მაშასადამე, მარიამ ალანელს თავისი დედის, ალანიის მეფის ასულ ბორენა ალანელის, დიდი ბებიის აღდე ალანელისა და სხვა



აღანელი დიდებულების მემკვიდრეობის გამო აღანიაში მამულები, ციხე-ქალაქები და დიდი უფლებები გააჩნდა

მართლაც, ბიზანტიის დედოფალ მართა-მარიამ ბაგრატიონს აღანიასთან აკავშირებდა მისი დედა, საქართველოს დედოფალი ბორენა აღანელი, შესანიშნავი ქართველი პოეტი ქალი, მუდამ საქართველოს ეკლესიის გაძლიერებისათვის მზრუნველი.

ქვემოთ განხილულია, რომ, ზოგადად, აღანიის პრინცესებს დიდი მემკვიდრეობით უფლებები გააჩნდათ, მაგალითად აღდე აღანელს, საქართველოს დედოფალს, იურიდიულ საკუთრებაში ჰქონდა ანაკოფიის ციხესიმაგრე – კავკასიის აღანიის პორტი, და მან, განაწყენებულმა იმით, რომ თავისი შვილი ვერ აიყვანა საქართველოს სამეფო ტახტზე – პირადი საკუთრება – ანაკოფიის ციხექალაქი და პორტი, ბიზანტიის იმპერიას გადასცა, თავისი მიმდებრე ქვეყნით ანუ „ანაკოფია-აღანითურთ“. შემდგომ მარიამ აღანელის ძმამ, საქართველოს მეფე გიორგი მე-2-მ, საქართველოს დაუბრუნა ანაკოფია, 1074 წელს, ეს მოხდა ეპოქაში, როდესაც მარიამ აღანელის ხელმწიფობრივი გავლენა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკაზე – ხენიტიში იდგა.

ჩანს, ფაქტი იმისა, რომ საქართველოს დაუბრუნდა „ანაკოფია-აღანითურთ“ განხორციელდა დედოფალ მარიამ აღანელის ნებით ანდა უზენაესი თანხმობით.

დედოფალ აღდეს მსგავსად, ბორენას, აღანიის პრინცესას, აღანიის მეფის ასულს და საქართველოს დედოფალს დიდი მიწები და სხვა მემკვიდრეობითი უფლება უნდა ჰქონოდა აღანიაში, რომელიც ალბათ თავის ქალიშვილს მარიამ-მართას გადასცა.

ჩანს, იმის გამო, რომ ბიზანტიის დედოფალს მარიამს აღანიაში მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა და შესაბამისად უფლებებიც გააჩნდა, ბიზანტიაში მიანიჭეს მაღალი ტიტული „აღანიის ეკსუსიოკრატორი“, თუმცა მას შეეძლო თავისი თავისთვის მიენიჭებინა კიდევ ეს

ტიტული თავის ქმრის ნიკიფორე ბოტინატის მეშვეობით.

ჩვენი ეს მოსაზრება შეიძლება უსაფუძვლოდ ჩანდეს, მაგრამ გაცილებით უსაფუძვლოა ბელეცკი, როდესაც ის სენტის წარწერაში მოხსენიებულ დავითსა და მარიამს ცოლქმრად მიიჩნევს ჯერაც გამოუქვეყნებელი ყარაჩაული თქმულების საფუძველზე, რომელიც პედაგოგ რ. ბატაშევს შეუკრებია. ამ ლეგენდის მიხედვით ვინმე დაუდხანი და მისი ცოლი მარიამი აღნიის მმართველები ყოფილან (ამსათან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ასეთი თქმულების არსებობა საეჭვოა, რადგანაც ათასი წლის წინანდელ წვრილმანებს ხალხის მესხიერება არ იმახსოვრებს).

ამ ზღაპარ-გადმოცემაზე დაყდნობით ტაძრის აგების დათარიღება ძალზე საეჭვოა, გაცილებით საფუძვლიანად მიგვაჩინია ჩვენი სხვა მოსაზრება, რომ წარწერაში მოხსენიებული დავითი შესაძლოა იყოს ბიზანტიის დედოფალ მარიამ აღანელის ძმისშვილი, ის იყო ბორენა აღანელის მეუღლის, მეფე გიორგი მე-2-ის შვილი პრინცი დავითი, რომელსაც შესაძლოა, ჯერ ჯიდევ უფლისწულს მისმა მამიდამ, ბიზანტიის დედოფალმა მართა-მარიამმა მოუხერხა დიდი ბიზანტიური ტიტულის „აღანიის ეკსუსიოკრატორი“-ის მინიჭება. ეს შეიძლება ყოფილიყო სიმბოლური გამოსატყულება იმისა, რომ დედოფალმა თავის ძმისშვილს საკუთარი დედისეული აღანური ქონება და უფლებები გადასცა.

დავით აღმაშენებელს ასევე კარგი ურთიერთობა ჰქონდა მარიამ აღანელის შვილობილთან იმპერატორ ალექსი კომნენთან, როგორც ამას მიუთითებს იერუსალიმის პატრიარქის ცნობა, რომელიც ქვემოთა მიმოხილულია. ასე, რომ დავით აღმაშენებელს ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა თავის მამიდა მარიამ აღანელთან და საიმპერატორო კართან. ამიტომ, როგორც ვთქვით, შესაძლოა მარიამ აღანელმა დავით აღმაშენებელს გადასცა თავისი აღანური მემკვიდრეობა, რაც



ალანიის ეკსუსიოკრატორის ტიტულით დაადასტურა.

მართლაც, თუ წარწერის დავითი მომავალი დავით აღმაშენებელია, მას ოსი მეფეები ემორჩილებოდნენ „ვითარცა მონები“, მისმა სამეფომ მალე მოიცვა ალანია.

მემატიანე აღნიშნავს – დავითი „შევიდა ოსეთში, შემოეგებნენ ოსეთის მეფეები და მათი მთავრები, როგორც მონები დადგნენ მის წინაშე“.

წყარო წერს – „შევიდეს ოსეთს და მოეგებნეს მეფენი ოსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“

<http://www.amsi.ge/istoria/qc/daviT2.html>

ეს ფაქტიც მიუთითებს, რომ შესაძლოა დავით აღმაშენებელს ასეთი ტიტული „ალანიის ეკსუსიოკრატორი“, ჰქონოდა ჯერ კიდევ გამაფებამდე ის ამ დროს იქნებდა 8–9 წლისა, ხოლო მისი მამიდა-შვილი კონსტანტინე დუკა 3–4 წლისა თუმცა ის უკვე თანამეფე იყო იმპერატორისა. იმ ეპოქაში ასაკს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, უმთვრესი იყო მათი სამეფო უფლებები და რეგალიები.

უფლისწულ დავითის ტიტული „ალანიის ეკსუსიოკრატორი“ ეთანადება მის სიჭაბუკის წლებში განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ, მის გამეფებამდე დადებითად შეიცვალა დამოკიდებულება ბიზანტიასა და საქართველოს შორის. სწორედ მისი უფლისწულობის დროს ბიზანტიამ საქართველოს გრიგოლ ბაკურიანის ხელით საჩუქრად გადასცა დიდი მოსაზღვრე კარის ქვეყანა და მიმდგომი რეგიონები, ამავე დროს, როგორც აღინიშნა, ბიზანტიამ საქართველოს დაუბრუნა ანაკოფიის უდიდესი ციხექალაქი, შესაბამისი მიმდგომი ქვეყნით ანუ მთის ალანიით.

ამის მიუხედავად მიიჩნევა თურქ-სელჯუკების შემოსევის გამო ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის ცვლილება, როდესაც იმპერიამ გადაწყვიტა საქართველოს სამეფოს გაძლიერება ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით. თუმცა საფიქრებელია ისიც, ეს მოხდა გრიგოლ ბაკურიანის ძისა და მარიამ ალანელის უთიერთსიახ-

ლოვით, მათ გადაწყვიტეს თავიანთი სამშობლოსათვის საქართველოსათვის მოსაზღვრე ქვეყნების უკან დაბრუნება.

ეს შეეძლო ბიზანტიის მართველ დედოფალს, რომელმაც საქართველოს უამრავი სიკეთე არგუნა.

საფიქრებელია, ისიც, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე 1074 წელს საქართველოსაკენ გამოემგზავრა ბიზანტიის დედოფალ მარიამის ბრძანებით. ამ დროს საქართველოს მართავდა მარიამის ძმა მეფე გიორგი მე-2 და გადასცა მას კარის (ყარის) ციხე-ქალაქი მიმდგომი ქვეყნებით, ამავე დროსვე ანკოფიის ასევე უდიდესი ციხექალაქის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში გააფიქრებინებს, რომ ეს ფაქტის უკანაც მარიამ ალანელის ღვაწლი იდგა.

ანაკოფია წყაროებში ხშირად მართლ არ მოიხსენიება, არამედ მოიხსენიება ალანიის ნაწილთან ერთად ტერმინით – „ანაკოფია ალანიურთ“.

როგორც აღინიშნა ცხუმის საერისთავოში შედიოდა მიწაწყალი ანუ ოლქი „ანაკოფია ალანიურთ“.

ამჟამად არასწორად განმარტავენ, რომ თითქოსდა ცხუმის საერისთავო მხოლოდ ალანიაზე ვრცელდებოდა, მაშინ როცა წყარო გარკვევით და ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ამ საერისთავოში შედიოდა „ანაკოფია ალანიურთ“.

საერთოდ, ალანიაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მრავალი ტერიტორიული ერთეულები არსებობდა თავიანთი მეფეებით, მათ შორის ერთერთი უნდა ყოფილიყო „ანაკოფია ალანიურთ“, რომელიც 1032 წელს ალდე დედოფალმა ბიზანტიას გადასცა, მაგრამ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში კვლავ შევიდა იმის შემდეგ, რაც ანაკოფია 1074 წელს საქართველოს სამეფოს დაუბრუნდა, ხოლო უფრო ადრე, ის 931–1032 წლებში, თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, ანუ მე-10 საუკუნის და მე-11 ს. 1/3 ის აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომაც შეძლეს აქ ქართული სტილის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიების აგება აფხაზთა მეფეებმა, სწორედ ამ პერიოდში, უმეტესად, მე-10 ს. მეორე



ნახევარში. თუმცა, როგორც ითქვა, შემდეგ ეს ოლქი აღდგე დედოფლის წყალობით ბიზანტიამ დაიჭირა. ალანის ამ ნაწილში ბიზანტიის გაბატონებისას ანუ 1032 წლისათვის აქ უკვე აგებული იყო აფხაზ მეფეთა მიერ სენტის, არხიზ-ხელენჯუკისა და შოანას ეკლესიები.

წყაროს ცნობას, რომ ანაკოფია ალანიასთან იყო დაკავშირებული, ადასტურებს არქეოლოგიაც. კერძოდ ანაკოფიაში აღმოჩნდა ბეჭედი, რომლის წარწერაშიც ალანიის მმართველის შვილის სახელი მოიხსენიება, რაც ალანიასთან ანაკოფიის კავშირს მიუთითებს.

ჩვენი მოსაზრებით მარიამ ალანელმა ალანიის ეკსუსიოკრატიის ტიტული მიანიჭა თავის ძმისწულს, მცირეწლოვან უფლისწულს დავითს. საფიქრებელია, რომ ის, ანუ შემდგომი დავით აღმაშენებელი, დედის მხრიდანაც ალანიასთან იყო დაკავშირებული. მის სამეფო ოჯახში (ამ პერიოდში) თითქმის ორი საუკუნის მანძილზე დედოფლებს ალანური წარმოშობა ჰქონდათ, თუ არას ვიტყვით თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანზე.

თუ უფლისწულ დავითს გამეფებამდე ნამდვილად გააჩნდა „ალანიის ეკსუსიოკრატიის“ ტიტული, ეს ნიშნავს, რომ მარიამ ალანელის დედოფლობისას ბიზანტიამ საქართველოს სამეფოს ანაკოფიასთან ერთად მიმდებარე მთის ალანიაც გადასცა, ისევე, როგორც ამავე დროს გრიგოლ ბაკურიანის ხელით გადაცა ყარსის ციხე-ქალაქი და მიმდგომი ქვეყანა.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ანაკოფიის მიმდგომი ქვეყანა მთის ანუ კავკასიის ალანია იყო.

„ანაკოფია ალანითურთ“ 1074 წელს საქართველოს სახელმწიფოს დაუბრუნდა. ეს ნიშნავს, რომ ანაკოფიის მოსახლდრე მთის ალანიაშიც მოხდა დიდი პოლიტიკური ცვლილება ეკლესიური იურისდიქციის თვალსაზრისით, 1074 წლის შემდეგაც, ჩანს 1081 წლამდე, მთის ალანია კვლავ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რჩებოდა, ამის სადემონსტრაციოლად გააკეთებული სენტის აღნიშნული

ბერძნული წარწერა, რომელიც უნდა დათარიღდეს 1074–1080 წლებით, ანუ ეს წარწერა 1081 წლამდე უნდა გაკეთებულიყო ნიკიფორე ბოტინატის მმართველობისას, ალექსი კომნინის გამეფებამდე.

მაშასადამე, ჩვენი აზრით სენტის ბერძნულენოვანი წარწერა განაცხადია იმისა, რომ 1074 წელს მომხდარი პოლიტიკური ცვლილების მიუხედავად კონსტანტინოპოლი თავის იურისდიქციაში ინარჩუნებდა ალანიის ამ ნაწილს 1081 წლამდე, ამის შემდეგ ალექსი კომნინის ქრისობულით ალანიის ეპარქიას ადგილი მოუნაცვლეს, მისი იურისდიქცია განივრცო ბარის ანუ დონისპირეთს ალანიაში, საკათედრო ქალაქად კი განესაზღვრა სოტირიუპოლი.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტებში მრავალჯერაა ნახსენები მომთაბარე ალანების ეპარქია, რომლის მღვდელმთავარსაც ვერ გამოუძებნეს საკათედრო ქალაქი ალანიაში, რადგანაც საერთოდ ამ ალანიაში არ არსებობდა ქალაქები, რადგანაც იქაური ალანები მიწაზე დამჯდარნი არ იყვნენ, რადგანაც მომთაბარეობდნენ საქონელთან ერთად, ანუ მწყემსური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. აქ კვლავ უნდა შევეკითხოთ რუს მკვლევარებს, თქვენი დაბეჯითებული მტკიცებებით ალანიაში, მაგალითად არხიზ-ხელენჯუკში თქვენ თვითონვე არქეოლოგიურად შეისწავლეთ ამ ეპოქის მრავალი დიდებული ნაქალაქარი, გრანდიოზული თავდაცვითი სისტემები, აღწერეთ შესანიშნავი აღნიშნული ეკლესიები, გამზადებული საეპისკოპოსო კათედრების სახით, აღვნიშნავთ, რომ აქაური მოსახლეობა მიწათმოქმედი იყო და ჰქონდათ ქალაქებისა და სოფლებით, ამავე დროს კი კონსტანტინოპოლის წმ. სინოდის აქტები მიუთითებს ზემოთ აღნიშნულს, რომ ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები მომთაბარე ანუ მწყემსური ცხოვრების გამო, რომ ამის გამო იმპერატორმა ალექსი კომნინმა ალანიის მღვდელმთავრისათვის საგანგებო ბრძანებით გამოყო ქალაქი თვით იმპერიის შიგნით, ალანიისაგან ტერიტორიულად ძალზე დაშორებულ ლა-



ზიკაში, ტრაპეზუნტთან ახლოს სოტი-რიოპოლი.

ჩენ ამ მოვლენას, როგორც აღვნიშნეთ ვხსნით ალანის აღნიშნული ტაძრების მომცველი ნაწილის საეკლესიო იურისდიქციის ცვლილებით, რაც სახელმწიფოთა შორის საზღვრების ცვლილება-სთან იყო დაკავშირებული. კერძოდ ანაკოფია-ალანითურთ, ანუ აღნიშნული მიწაწყლით დაუბრუნდა საქართველოს სახელმწიფოს 1074 წელს, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო იურისდიქციაც, ეს ვე მოხერხდა იმპერატორ კონსტანტინე ბოტინატის დროს, მაგრამ განხორციელდა მარიამ ალანლის შვილობილის, იმპერატორ ალექსი კომნინის დროს, უფრო 1081 წლისათვის. კერძოდ, სადავო მთის ალანია ეკლესიურად გადაეცა აფხაზეთის საკათალიკოსოს, კვლავ მარიამ ალანელის წყალობით, ხოლო ბიზანტიურმა ალანის ეპარქიამ სანაცვლოდ მოიცვა მომიჯნავე ტერიტორია დონის სტეპებში, სადაც კვლავ ალანური ტომები მომთაბარებოდნენ. ამ იურისდიქციატა ცვლილებების წლებში ან 1074 წლიდან ვიდრე 1081 წლამდე ჩანს დიდი ვნება-თაღვლების საგანი იყო ალანის იურისდიქციის საკითხი, ამის ასახვა უნდა იყოს სენტის ეკლესიის ბერძნული წარწერა.

კვლავ დაუბრუნდეთ ამ წარწერაში აღნიშნული სენტის ხელმეორე კურთხევის საკითხს.

სენტის ტაძარი თავდაპირველად, ცხადია, იკურთხა აგებისთანავე. ის, ჩვენი აზრით აიგო, როგორც ბელეცკიც აღნიშნავს, 965 წელს, ოღონდ არა მითიური ალანი არქიტექტორების მიერ, არამედ სტანდარტული ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესაბამისად აფხაზთა მეფე ლეონ III-ის მიერ, რომელმაც 964 წელს ააგო კუმურდო და ამავე წლებში მოქვი, სწორედ მოქვისა და კუმურდოს არქიტექტურის გავლენითაა ნაგები სენტის ტაძარი, სხვა მახლობელი ეკლესიების მსგავსად.

მეორედ ანუ ხელახლად კურთხევა ტაძრისა უნდა გამოეწვია იურისდიქციის ცვლილებას დედოფალ აღდეს მიერ ანაკოფიის ბიზანტიისათვის გადაცემის,

ანუ 1032 წლის შემდეგ, ანაკოფია-ალანითურთ, კვლავ ბიზანტიელთა ხელში აღმოჩნდა, შეიცვალა იურისდიქცია, სენტის ქართულენოვანი წირვა-ლოცვა ბერძნულმა ჩაანაცვლა, შეიცვალა სამღვდელეობა და იერარქია, რისი სიმბოლური ნიშანი იქნებოდა ტაძრის ხელმეორე ეკენია ანუ კურთხევა-განახლება.

მაგრამ სხვაა ხელმეორე კურთხევა და სხვაა ფატი იმისა თუ როდის, რომელ წელს წააწერეს ეკლესიის კედელს ამ ფაქტის აღმნიშვნელი ცნობა. ეს შესაძლოა მოხდა იურისდიქციათა ახალი ცვლილების 1074–1080 წლებში, როდესაც ერთი ((კონსტანტინოპლის კარი) არ თმობდა არსებულს და თავის უფლებას წარწერით გამოხატავდა, ხოლო მეორე (აფხაზეთის საკათალიკოსო) ცდილობდა ძველი სტატუსის აღდგენას.

ამიტომ შესაძლოა დაახლოებით 1080 წელს სენტის ტაძრის კედელზე ბერძნულად წააწერეს აღნიშნული ფაქტების ერთობა (ტაძრის აგება, მისი ხელმეორე კურთხევის ცნობა). ამ წარწერის დედანი ელექციის აზრით თავდაპირველად რაღაც მაგარ ლითონზე იყო დაწერილი და აქედან გადაიტანეს ტაძრის კედელზე საგანგებო კალიგრაფის ხელით.

კვლავ შევცადოთ ავხსნათ ეს მოვლენა –

1074 წელს ანაკოფიის მიმდებარე მთის ალანიდან ბიზანტიის გასვლას და მის საქართველოს სახელმწიფოში შეყვანას, უნდა მოყოლოდა ცვლილება საეკლესიო იურისდიქციის სფეროშიც და ასეც მოხდა, საბოლოოდ, მთის ალანია დაუბრუნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ანუ მასზე დაკარგა თავისი საეკლესიო უფლებამოსილება კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, 1074–1080-იანი წლები ჩვენ შეიძლება განვიხილოთ ვითარცა ჭიდილი ორი იურისდიქციისა, ერთი ცდილობდა მის შენარჩუნებას, მეორე კი ცდილობდა მის აღდგენას, რადგანაც ეს რეგიონი, როგორც აღვნიშნა იქამდე, ანუ ნახევარი საუკუნით ადრე 931–1032 წლებში აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა და ამ დროს აიგო კიდევ აღნიშნული ტაძრები.



1074–1080-იან წლებში სენტის, შონასა და არხიზ-ზელენჯუკის ეკლესიები დაუბრუნდა საქართველოს საეკლესიო წიადს უფრო ბიზანტიის ქართველი დედოფლის მარიამ ალანელის წყალობით. ასე გაგრძელდა დიდხანს, როგორც ითქვა, თემურ ლენგის შემოსევამდე და დიდხანს მის შემდეგაც.

საერთოდ, მარიამ ალანელის გარშემო თითქმის ყველა კავკასიური წარმოშობის დიდებულს „ეკსუსიოკრატორის“ ტიტული გააჩნდა, მაგალითად ასეთი იყო ირინე ალანელის მამა, თვითონ ირინა გახლდათ იმპერატორის ძმის მეუღლე და უახლოესი ადამიანი მარიამ ალანელისა.

თავის ჩანაწერებში ისტორიკოსი ვრიენიოსი აღნიშნავს, რომ ირინა ალანელის მამა ატარებდა ტიტულს „ალანიის ეკსუსიოკრატორი“.

მისი ცნობა სანდოა, რადგანაც ვრიენიოსი იყო ანა კომნენოსის ქმარი, თვითონ ანა კი იმპერატორ ალექსი კომნენის ქალიშვილი.

ირინა ალანელი იყო ანა კომნენის უშუალო ბიძოლა, ანას მამის ძმის – ისააკის მეუღლე.

მაშასადამე, სენტის ტაძარის წარწერაში ნახსენები ტიტული „ალანიის ეკსუსიოკრატორი“ მარიამ ალანელის გარემოცვაში ბუნებრივი იყო.

მარიამ ალანელის წინაპარ აბხაზთა მეფე კონსტანტინე მე-3-ს (899–929) აბაზგის ეკსუსიოკრატორს უწოდებს თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი 914–916 წლებში.

ასევე, აფხაზთა მეფე გიორგი მე-2-ს (929–960) იმპერატორი კონსტანტინე მე-7 პორფიროგენეტი უწოდებს „მაგისტრსა და აბაზგის ეკსუსიოკრატორს“.

აქედანაც, ჩანს, რომ მარიამ ალანელის გარემოში მრავალი დიდებული ტარებდა ამ ტიტულს, ამიტომაც ვფიქრობ, რომ წარწერაში ნახსენები მარიამ ეკსუსიოკრატორი (Ἐκσυσιοκράτορ) უნდა იყოს მარიამ ალანელი.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში საქართველოს მეფეებს დავით აღმაშე-

ნებელსა და ლაშა გიორგის „ალანთა მეფესაც“ უწოდებენ. ეს პატივი თავდაპირველად უნდა მიეღო დავით აღმაშენებელს, ჩანს მას მისმა მამიდამ იმპერატორის უფლებებით აღჭურვილმა მარიამ ალანელმა მიანიჭა ალანიის ეკსუსიოკრატორის ტიტული, ჯერ კიდევ სიყმაწვილისას, ტახტზე ასვლამდე, ხოლო შემდგომ, შესაძლოა ამ უფლების ძალითაც, ქართული წყაროს ცნობით, მას (დავით აღმაშენებელს) ოსეთის (ალანიის) მეფეები ემორჩილებოდნენ (ვითარცა მონები) ანუ ის ალანიის უმაღლესი მმართველი, რეალური ეკსუსიოკრატორი-ხელმწიფე იყო.

(В своих письмах, направленных Давиду I Строителю персидские шахи называют его «царь царей Абхаза, Шаки, Алана и Руса» 276. Вообще, По протоколу персидского двора к царю Абхазскому Георгию Лаша надлежало обращаться— «царь царей Абхаза, Шаки и Алана»). <https://caucasianculture.files.wordpress.com/2020/03/e18390e183a4e183aee18390e18396e18394e18397e18398e183a1-e18394e18399e1839ae18394e183a1e18398e18394e18391e18398.pdf>



4. „ანაკოფია ალანიურთ“ – წყაროები ზღვისპირა ალანიის შესახებ

ბატონიშვილი ვახუშტი თავის ნაშრომში საკმაოდ ხშირად ახსენებს ტერმინს „ალანს“ ანუ ალანიას. ის გულისხმობს კავკასიის ალანიის იმ ნაწილს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში ანკოფიის სიახლოვეს მდებარეობდა და რომელშიც შედიოდა სენტის, შოანასა და არხის ზელენჯუკის ეკლესიების სამრევლოები.

ჩვენ მას აფხაზეთის ალანიას ვუწოდებთ და ამ ოლქში მდებარეობდნენ არხიზ-ზელენჯუკის, შოანასა და სენტის ტაძრები, ხოლო მისი მმართველი ანუ ალანური იერარქია შესისხორცებული იყო აფაზეთის სამეფოსა და შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მმართველ იერარქიასთან.

საზოგადოდ, ადმინისტრაციის, ეკლესიის, ლიტურგიისა, სახელმწიფო და კულტურის ენას კი ამ დიდ ქართულ სამყაროში ქართული ენა წარმოადგენდა. ამიტომაც არიან, მაგლითად, ალანელი ბორენა დედოფალი, მარიამ ალანელი თუ დავით სოსლანი ქართულენოვანი მოღვაწეები სხვებთან ერთად.

„ანაკოფია ალანიურთ“ – ვახუშტის ცნობით, ცხუმის საერისთვოს ერთ-ერთ ძირითად ოლქს (ნაწილს) წარმოადგენდა, ანუ თავდაპირველად აფხაზთა სამეფოს ნაწილი იყო, შემდეგ კი გაერთიანებულ საქართველოსი, ამასვე მიუთითებს უცხოური წყაროც.

ვახუშტის ცნობით – „სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე წილნი, და მეფეთა ქართველთა თვთ განიკვდრეს“, ანუ ის არეალი, რომელსაც ვიკვლევთ, ვახუშტის ცნობით, ქართველ მეფეთა სამკვიდროს, ანუ საქართველოს ნაწილს შეადგენდა.

მისი ცნობა დასტურდება უცხო, კერძოდ, სპარსული წყაროებით, ეს წყაროები აღნიშნავენ, რომ ამ ეპოქის ქართველ მეფეებს ასევე „ალანიის მეფესაც“ უწოდებდნენ.

დიპლომატიური მიმართებებისა და დავით აღმაშენებელს ასევე „ალანიის

მეფეს“ უწოდებდნენ, არც ესაა გამონაკლისი, შემდგომი ასევე საერთაშორისო წრეები „ალანიის მეფეებად“ მოიხსენიებდნენ ლაშა გიორგის და, ჩანს, საქართველოს სხვა მეფეებსაც.

В своих письмах, направленных Давиду I Строителю персидские шахи называют его «царь царей Абхаза, Шаки, Алана и Руса» ... „По протоколу персидского двора к царю Абхазскому Георгию Лаша надлежало обращаться (за вычетом пышных восточных эпитетов и религиозных наречений) — «царь царей Абхаза, Шаки и Алана»

(თოღუა მ. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები // ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979, გვ. 9, გვ. 28).

კავკასიის ანუ მთის ალანიის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ანაკოფიასთან ერთად ცხუმის საერისთავოში შედიოდა, ვახუშტი შემდეგ წერს –

„ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის ემდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვლის სუანეთს, ალანსა და მას ქუეითთა ორს კავკას-შორისთა და მოერთვის აქა ჩდილოდამ ზღუასა“.

<https://wikisource.org/wiki/აღწერა-ეგრისის-ქუეყანისა,-ანუ-აფხაზეთისა,-ანუ-იმერეთისა>

დასავლით სუანეთსა და ოდიშ-შორისი კავკასი და ალანის საზღვარი. სიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდან ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, ჩვენი ფიქრით ეს ის ალანიაა, სადაც მოქმედებდნენ სენტის, არხიზ-ზელენჯუკისა და შოანას ეკლესიები და რომელიც ქრისტიანი ხალხით.

აქაური წარმოშობის ბიზანტიელი მოღვაწის იოანე ცეცეს თქმით ქართველთა ერთსისხლი, ნათესავი ხალხები იყვნენ აბაზგები და ალანები. იოანე ცეცესა ეს ტომები ერთ ხალხად მიანჩნია.

იოანე ცეცე კი, როგორც ითქვა, აქაური იყო და კარგად იცოდა აქაურთა ენა და წარმოშობა.

ალანური უმაღლესი არისტოკრატის თითქმის ყველა ცნობილი წარმომადგენელი, მათ შორის მარიამ და



ირინა ალანელები, მარიამ ალანელის დედა ბორენა, დედოფალი ალდე, ბურდუხანი, თამარ მეფის დედა და მეუღლე - დავით სოსლანი, იყვნენ ქართულენოვანი მოღვაწეები, პოეტები და ქართველი ლიტერატურული მოღვაწეები,

ალანის სენტიხა და შოანას ტაძრის მომცველ ქვეყნებს, ცეცეს მიერ აღწერილი ეთნიკური ერთგვაროვნების გამო, უფრო ხშირად სვანების მიწა-წყალსაც უწოდებენ, რის შესახებაც გამოკვლევა აქვს ლავროვს (Л. И. Лавров, РАССЕЛЕНИЕ СВАНОВ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ ДО XIX ВЕКА, Краткие сообщения института этнографии АН СССР, Вып. X. М.-Л. АН СССР. 1950).

ვახუშტის მტკიცება, რომ „სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე წილი“, მიუთითებს იმის შესახებ, რომ კავკასიის ალანები ვახუშტის მანდა არა სტეპების ალანების ანდა სარმატების შთამომავლებად, არამედ თარგამოსის ძის „კავკასოსისა“.

ეგროსი და კავკასოსი სისხლისმიერი ძმები იყვნენ, თარგამოსის სხვა შვილებთან ერთად, ანუ ვახუშტის ცნობა ასე ვთქვათ ეთანადება იოანე ცეცეს ცნობას აბაზგების, ალანებისა და იბერების ერთნათესაობის შესახებ.

აღსანიშნავია, მაგალითად, რომ ქართლის ცხოვრება სხვადასხვა წარმოშობის ხალხებად მიიჩნებს ოსებსა და კავკასიის ალანებს, მაგალითად, ამ წყაროს ოსები ხაზართა ანუ თურქულენოვანი ეთნარქის „უობოსის“ შთამომავლებად მიაჩნია, ხოლო, როგორც ითქვა, კავკასიის ალანები – თარგამოსის ძის „კავკასოსისა“, ანუ მიიჩნეოდა, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობის ხალხია. მაგრამ, მათგან კიდევ უფრო განსხვავდებოდა, თავისი კულტურის დონით „ანაკოფის“ ანუ აფხაზეთის ალანია, ის ქართული კულტურული წიაღის ნაწილი იყო და შესაძლოა ეთნიკურადაც ადგილობრივი წარმოშობისა.

ანაკოფის მხარის ალანები ქართველთა ეთნიკური მონათესავენი ყოფილან, ხოლო ოსებთან დაკავშირებით

მიიჩნევა, რომ ხაზარი (თურქულენოვანი) უობოსის შთამომავლება შეეერთა ჩრდილოკავკასიელ ქართველურ მოსახლეობას და ამის შედეგად ჩამოყალიბდა მონღოლებამდელი ოსი ხალხი.

მონღოლებმა, როგორც ალანები, ისე თურქულენოვანი ოსები გააქრეს ისტორიის ასპარეზიდან, მათ მიწაწყალზე კი თანდათან ჩამოსახლდნენ უფრო მეტედ შუა აზიიდან გამოსული მოთაბარეები, რომელნიც ნელ-ნელა ჩასახლდნენ ჩრდილო კავკასიის ყოფილ, უკვე გაუკაცრიელებულ ყოფილ ოსეთსა (შემდეგი ჩერქეზეთი) და ალანიაში (შემდეგი ბაყარეთი).

თემურ ლენგის შემდეგ ამ არეების ეთნიკური სახე რამდენჯერმე შეიცვალა. კერძოდ შუაზიელი მომთაბარეები მალე შეცვალეს ადიღებმა, ანუ ოქროს ურდოს ბეგლარბეგის ედიღეს (ადიღეს, Эмир Едигей), მიერ ჩრდილო კავკასიაში ჩამოყვანილმა ულუსმა, შემდეგში ამ მხარეებში დამკვიდრდნენ ყირიმის ხანების მიერ შემოყვანილი თურქულენოვანი მომთაბარეები.

ჩრდილოკავკასიის ოსეთი ერქვა შემდეგდროინდელ ჩერქეზეთს. ის მონღოლური გაუკაცრიელების შემდეგ დაუსახლებელი იყო, მაგრამ მალე შეიცვალა მისი დემოგრაფიული სახე, უფრო მეტად თემურ ლენგისა და თოსტამიშთან მებრძოლი ედიღეს (ადიღეს) შემდეგ.

ამ გაუკაცრიელებულ ოსეთში ჩასახლდა ჩანს ინდოევროპული ენის მატარებელი ტომი და ახალ ხალხსაც, მიწაწყლის სახელის მიხედვით ქართველებმა ოსები უწოდეს, მათ დაიპყრეს დვალეთი და დიგორი, ამი შედეგად მოახდინეს კავკასიელი დვალებისა და რაჭულ-სვანური წარმოშობის დიგორელების ასიმილაცია.

საერთოდ, ამ მხარეებში ალანთა ხსენება მონღოლების შემდეგ შეწყდა, აღსანიშნავია, რომ ყოფილი კავკასიის ალანიის მეზობლად მცხოვრებ ხალხებს ახსოვდათ, რომ ამ მიწაწყალს საზოგადოდ ალანია ერქვა, ამიტომაც იქ შემდეგში, მე-15 საუკუნის შემდეგ, ყირიმის



ხანის აქ ლაშქრობისას ჩასახლებულ დონელ მიმთაბარე თურქულენოვან ტომს (ბალყარელებს) ადგილის სახელის მიხედვით, მაგალითად მეგრელები ალანებს უწოდებდნენ, რაჭველები კი ოსებს, სვანები სავიარებს. თვითონ ის ხალხიც კი, რომელსაც დღეისათვის ჩვენ ოსებს ვუწოდებთ, სახელ „ოსებს“ – უწოდებენ არა საკუთარ თავს, არამედ ამ ბალყარელებს.

მაგალითად ყველაზე ცნობილი დედოფალი მარიამ ალანელი, სინამდვილეში საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ქალიშვილი, მისი დედა ბორენა ალანელი საქართველოს დედოფალი, ქართულენოვანი პოეტი ქალი, რომელიც ზრუნავდა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, ბორენა დედოფალმა თავის ქალიშვილ მარიამ ალანელთან ერთად არა მხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც კი დაარსა ქართული სასულიერო კერები, ერთერთი ცნობილია, იერუსალიმის სიონის უბნის მონასტერი კაპათა, ქართული მწიგნობრობის სახლოვანი კერა, მასთან დაკავშირებით ბორენა დედოფალს, ვითარცა ქართული კულტურის სფეროს სახელოვან წარმომადგენელს მოიხსენიებს ქართული ხელნაწერის „წიგნი სინას მთის მარტვილობაზე“ გადამწერი. დედოფალი ბორენა ქართველი პოეტი ქალი იყო, რადგანაც ქართულ ენაზე წერდა.

კავკასიის ალანიიდან გამოსული მოღვაწეები ქართული კულტურის ბუნებრივი წარმომადგენლები იყვნენ. მათთვის უცნობი იყო ე.წ. ალანური საეკლესიო კულტურა, რადგანაც, ზოგადად, ასეთი კულტურა არ არსებობდა.

კავკასიის ალანიაში, მის მეზობელ სვანეთსა, აფხაზეთსა და საერთოდ, სრულიად საქართველოში ლიტერატურა, არქიტექტურა, მხატვრობა, საეკლესიო მუსიკა-გალობა და კულტურის სხვა ელემენტები – მხოლოდ ქართული და ქართულენოვანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 1032 წლიდან ანაკოფია და შესაბამისად კავკასიის ალანიაც მიტაცებული იყო ბიზანტიელების მიერ, ამ ფაქტს გავლენა არ მოუხდენია კავკასიის ალანიის სამეფო ზედაფენის ქართულ ორიენტაციაზე, ანაკო-



ფიის ბიზანტიელთა ხელში გადასვლიდან 2 წლის შემდეგაც კი ალანის მეფე საქართველოს სამეფო კარს უადრესად დაუმოყვრდა, და პრინცესა ბორენა ალანელი საქართველოს დედოფლად იქცა, 1034 წელს ის ცოლად შეირთო საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ.

ალანის მეფის ურდურეს ასული ბორენა როგორც ითქვა, მუდამ ქართულენოვანი შემოქმედი და საქართველოს ეკლესიის უმაღლესი მფარველი იყო, თავის ქალიშვილ მარიამ ალანელთან ერთად.

ჩანს ბორენას ალანიაშივე ასწავლიდნენ ქართულ მწიგნობრობას, უფრო სწორად ის ამ ენით აღიზარდა, ისევე როგორც, ზოგადად, აფხაზეთისა და სვანეთის ოჯახებში ქართულენოვანი მწიგნობრობა – განათლების უმაღლეს საფეხურად მიიხსენიოდა.

ქართული ენა და კულტურა მთელი კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სოციალურ ინსტიტუტებს მოიცავდა, არა მხოლოდ კავკასიის ალანის არსებობისას, არამედ მის შემდეგაც.

ბორენა ალანელზე უფრო ადრე, დაახლოებით 1014 წელს, კავკასიის ალანის მეფის ასული ალდე საქართველოს დედოფალი გახდა, მას იმედი ჰქონდა რომ თავის ძეს დემეტრე უფლისწულს მამის მეფე გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ (1027) საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანდა, მაგრამ შიდადინასტიურ ომში გაიმარჯვა მისმა ძმამ ბაგრატ IV-მ, რომელიც მეფე გიორგის პირველი ცოლიდან ჰყავდა.

ანაკოფია ალდეს პირდი საკუთრება იყო, მას უშუალოდ სახმელეთო გზით უკავშირდებოდა კავკასიის ალანია, ალდეს სამშობლო.

განაწყენებულმა დედაშვილმა ანაკოფია და შესაბამისად კავკასიის ალანია აღარ დაუთმეს ბეგრატ IV-ს, და 1032/3 წელს ის გადასცეს ბიზანტიას. შესაბამისად, საქართველოს სამეფომ ანაკოფია თავისი მიმდგომი კავკასიის ალანიით დაკარგა.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1074 წლამდე, როდესაც საქართველომ

უკანვე დაიბრუნა ბიზანტიისაგან ანაკოფია და შესაბამისად კავკასიის ალანია. ასეთი პოლიტიკური ცვლილება საფუძვლად ედო საეკლესიო იურისდიქციის ცვლილებას, კერძოდ, კავკასიის ალანია 916 წლიდან 931 წლამდე ბიზანტიურ იურისდიქციაში იმყოფებოდა, ანუ მისი გაქრისტიანებიდან ვიდრე ალანთა მეფის მიერ ბიზანტიელ სასულიერო პირთ გაძევებამდე, ამის შემდეგ კავკასიის ალანია შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ანუ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, რაც საეკლესიო ქართულენოვნებას გულისხმობს, ვიდრე 1032/3 წლამდე, ალდეს მიერ ანაკოფიის გადაცემამდე.

აი, ამ პერიოდში, ანუ 931 წლიდან ვიდრე 1032 წლამდე კავკასიის ალანიაში აფხაზეთა მეფეებმა ააგეს ცნობილი ჯვარგუმბათოვანი ტაძრები, ანუ ძირითადად მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში.

1032/3 წლის შემდეგ კავკასიის ალანია ანაკოფიასთან ერთად კვლავ ბიზანტიურ საეკლესიო დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, ამის გამო ბიზანტიელებმა ხელახლა „აკურთხეს“ აღნიშნული ტაძრები, რასაც სენტის ეკლესიის ბერძნული წარწერის ცნობაც მიუთითებს მისი ხელმეორე კურთხევის შესახებ.

ბიზანტიელთა ხელში ეს ტაძრები იყო დაახლოებით 1032/3 წლიდან ვიდრე 1081 წლამდე, როცა კავკასიის ალანია, ჩვენი ვარაუდით, მარიამ ალანელის დიდი შეწევნით, დაუბრუნდა ქართულ იურისდიქციას.

საიმპერატორო კარმა ადგილი მოუწოდებდა ალანის ეპარქიას – ალანის ეპარქია კავკასიის მთებიდან გადაადგილებულ იქნა ველის ალანიაში, ანუ მახლობლად, დონისპირეთის სტეპებში. ეპარქიის ადგილმონაცვლეობის მთავარი მიზეზი იყო ბიზანტიის იმპერიის სასტიკი დამარცხება 1071 წელს თურქ-სელჯუკებთან და ამის გამო საჭიროება იმისა, რომ საქართველოს სამეფოსათვის ბიზანტიას უკანვე დაებრუნებინა მიტაცებული ტერიტორიები, არა მხოლოდ ტაო-ბასიან-არზრუმის მიმართულებით, არამედ ანაკოფია-მთის ალანის მიმართულებითაც.



საქართველოს მეფეს გიორგი მე-2-ს, შეიძლება ითქვას, მისმა დამ, ბიზანტიის დედოფალმა უშუალოდ მომლა და ამ დიდი მოვლენის აღსრულებისათვის გამოყენებული იქნა საქართველოს მეფის დის ბიზანტიის დედოფალ მარიაამ ალანელის დიდი გავლენა საიმპერატორო კარზე.

იმის შემდეგ რაც მან თავის შვილობილი ალექსი კომნენი საიმპერატორო ტახტზე აიყვანა, ეს საკითხი გადაიჭრა, ალექსი კომნენმა გამოსცა ქრისობული, რომლის ძალითაც ალანის ეპარქიის საკათედრო ქალაქად განისაზღვრა სოტერიოპოლი ტრაპეზუნტთან ახლოს ლაზიკაში, რადგანაც ალანის ეპარქიის ახლი ტერიტორია ეკუთვნოდა მომთაბარე ალანებს, რომელთაც არ გააჩნდათ ქალაქები ათავინთი მწყემსური ვცოვრების გამო. დაახლოებით 1081 წლიდან კავკასიის ალანის მიწაწყალი მუდმივად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მის გაწარმარებამდე და შემდეგ გამუსულმებამდე, სტეპებიდან იქ შემოსული ტომების გამო.

კულტურის ერთიანობის გამო ქართული და ალანური სამეფო ოჯახები შექვემდებარებული და შერწყმული იყო, ამის გამო უცნობია რომ რაიმე სახის კონფლიქტი ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოსა და კავკასიის ალანის შორის, პირიქით, კავკასიის ალანია ქართული სამყაროს ბუნებითი ნაწილი გახდა, ვიდრე მონღოლების შემოსევამდე.

ზოგადად მონღოლების შემოსევას ემსხვერპლა დონისპირეთის ანუ ველის ალანია, აქაური ალანები თურქულენოვანი ხალხი უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიყვებით არაბული და ასევე ქართული წყაროებიც, რომელიც ოსების წინაპრებს საზართა წინაპრებთან აკავშირებდა.

ეს ხალხი იქცა მსხვერპლად მონღოლებისა, მაგრამ იმავე მონღოლებამ ჩანს შუა აზიის სტეპებიდან შემოიყვანეს სულ სხვა წარმოშობის ალანები ანუ ქართულად ოსები, რომელთანაც წინააღმდეგობას და კონფლიქტებს აღწერენ მატიანეები.

მაშასადამე, მონღოლების ეპოქაში გამოიკვეთა ორი სხვადასხვა წარმოშობის ოს-ალანები, პირველები იყვნენ მონღოლების დაუძინებელი მტრები, თურქულენოვანი ხალხი, რომელნიც ემსხვერპლენ მონღოლებთან წინააღმდეგობას, მეორე ტიპის ალანები, ჩანს იყო ირანულენოვანი შუააზიელი მომთაბარეები, მონღოლების მეგობრები, მათ მონღოლები იყენებდნენ დაპყრობილი ტერიტორიების ასათვისებლად, ანუ იმის შემდეგ რაც მონღოლები რომელიმე ოლქს დაიპყრობდნენ, ისინი გადადიოდნენ სხვა ოლქების დასაპყრობად, ხოლო დაპყრობილ ოლქში აბატონებდნენ ამ თავის მომხრე ალანებს, მათ ევალებოდა დაპყრობილი ტომების სრული დამორჩილება.

ასეთი ოს-ალანები ჩაასახლეს მონღოლებმა ჩერქეზეთის მხარეს, ასევე საქართველოშიც. საქართველოდან ისინი გიორგი ბრწყინვალემ გააძევა, ხოლო ჩრდილო კავკასიის დედაეთსა და დიგორში მათ ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, გაბატონდნენ აქ და მოახდინეს დეალებისა და სვანი დიგორელების ასიმილაცია-გაოსება. დედაეთის საკითხს კარგად იხილავს ვახუშტი ბატონიშვილი.

კავკასიის ალანის სამეფო ოჯახიდან იყო ზემოთ აღნიშნული ბორენა, ბაგრატ IV (1027–1072) მეუღლე და საქართველოს მეფის გიორგი II -ის (1054–1112) დედა და დავით აღმაშენებლის ბებია. ის იყო ალანთა მეფის ურდურეს ქალიშვილი, დორდოლელის დაი.

ხოლო მარიამი ქართული საეკლესიო კულტურისათვის მზრუნველი მოღვაწე ათონის მთაზე თუ წმიდა მიწაზე.

მეორე ოსი დედოფალი აღდე საქართველოს მეფის გიორგი I-ის მეუღლე იყო, ხოლო ბურდუხანი – თამარ მეფის დედა, თუ არას ვიტყვით ასევე საქართველოს სახელმწიფოსათვის თავდადებულ თამარის მეუღლე დავით სოსლანზე.

„წარავლინა სარწმუნო კაცები, მოუხმო ყიფჩალებს. ყიფჩალებმა სინარულით მიიღეს მოწვევა, მაგრამ ითხოვეს ოსებისაგან მშვიდობის გზა. ამისათვის



წაბრძანდა მეფე ოსეთში, თან წაიყვანა გიორგი ჭყონდიდელი – მწიგნობართუხუცესი, კაცი სრული სულისა და ხორცის ყოველი სიკეთით, თანააღზრდილი, ყოველი საქმის და ღვაწლის თანაგამკაფველი.

შევიდა ოსეთში, შემოეგებნენ ოსეთის მეფეები და მათი მთავრები, როგორც მონები დადგნენ მის წინაშე. აიყვანეს ორივე მხრიდან მძევლები – ოსებიდან და ყივჩაღებიდან და ასე ადვილად შეარიგა ორივე ტომი. ჩამოაგდო მათ შორის სიყვარული და მშვიდობა. აიღო დარიალის, ოსეთის კარის და კავკასიის მთის ციხეები. შექმნა გზა მშვიდობისა. გამოიყვანა ყივჩაღთა დიდი სიმრავლე“.

<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/patriarc/document/>

კავკასიის ალანიის ზედა ფენის კულტურა და ენა ქართული იყო, რასაც მოყვანილი მაგალითიც აჩვენებს, არავითარი ოსური ლიტერატურა ანდა ალანური საეკლესიო არქიტექტურა არ არსებობდა ისტორიულად, ის ახლახან ჩვენს თვალწინ „ჩამოაყალიბეს“ მოსკოველმა და სეპარატისტმა მეცნიერებმა.

ამ ფონზე ცინიკური გავლენიანი რუსი მეცნიერების ის გამოკვლევები, რომელნიც კავკასიის ალანიის საეკლესიო წარსულს სევესება და ამ დროს ისინი ცდილობენ სიტყვა „ქართველიც“ კი არ ასხენონს, და იძულებულები არიან მის ნაცვლად „ზაკავკასიელს“ წერენ.

მაგალითად, ერთი მკვლევარი წერს – „Считается, что эти сооружения «обнаруживают явные связи с восточновизантийским (малоазийским) зодчеством», но при этом не исключается и причастность мастеров к закавказской (სიტყვა ქართველს არ ხმარობს) традиции (Кузнецов, 1977, с. 115-116; Перфильева, 1992, с. 200).

ალანიის ამ მკვლევართა შორის სახლოვნად თვლება ბატონი კუზნეცოვი, რომელიც ფაქტობრივ შეცდომებს უშვებს, მაგალითად ამარიამ ალანელი მიაჩნია ოსთა მეფე დორგოლელის შვილად და წერს –

„– Сам он (Дургулель Великий) был женат на Борене, дочери грузинского царя. А дочь Дургулеля и Борены Мария была

замужем за двумя византийскими императорами. Она была какой-то ослепительной красавицей, ее так и называли в письменных источниках – Мария Аланская. Она даже упоминается в византийской книге «Алексиада». Вот такой была Алания в XI веке. Тогда же там искали возможность создать свою письменность – на основе греческого алфавита. Вот если бы они создали письменность и она у них прижилась... Там, где появляется письменность, варвар кончается – начинается цивилизация! Подробно на сайте Это Кавказ:

<https://etokavkaz.ru/istoriya/tainy-alanskogo-tcarstva>

ეს რუსი მკვლევარები არ იცნობენ ქართულ ლიტერატურას, საისტორიო წყაროებს, კულტურას, რომლის ცოდნის გარეშეც შეუძლებელია კავკასიის ალანიის კულტურის ისტორიის გამოკვლევა.

Владимиров отмечал, что кресты «носят следы многочисленных поновлений». На самом деле, их частично перекрывает побелка с росписью следующего этапа. (სენტი სულ მცირე ოთხჯერ მოიხატა, ალანები უკვე გამქრალი ხალხი იყო, მაშ ვინ ხატავდა Исследователь опубликовал прориси крестов, отличающихся друг от друга по форме и декорации (Владимиров, 1902, с. 11, рис. 8). Видимо, это ошибка – судя по сохранившимся фрагментам, оба изображения совершенно идентичны. Подобные богато украшенные «триумфальные» кресты (т.н. stuces gemmatae) на характерном трехступенчатом монументальном основании являются распространенным мотивом в византийском искусстве начиная с доиконаборческих времен.

К первому этапу декорации относится и строительная надпись (см. ниже), датирующая как сам храм, так и первый слой росписи. Забегая вперед, укажем, что этот первый слой относится к 965 г.

ეს დათარიღება არასწორია, უნდა იყოს 1080-იანი წლები, რადგანაც სენტი ბიზანტიელთა ხელში იყო 916–931 და 1032–1074/80 წლებში, ხოლო 932–1031 წლებში ის იყო აფხაზ მეფეთა ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, ეს იურისდიქცია დაირღვა 1032 წელს



აღდე დედოფლის დაღატის შედეგად, როცა მან ანაკოფია და შესაბამისად კავკასიის ალანია ბიზანტიელებს გადასცა და ქართული იურისდიქცია აღსდა 1074 წელს ანაკოფიაში და თანდათანობით კავკასიის ალანიაში. ამ ფაქტმა ბიზანტიის მმართველობაში წამოჭრა საკითხი, რომ აღგილი მოენაცვლებინათ ტავიანთი ალანი ეპარქიისათვის და გადაეტენათ ის დონის სტეპებში, სადაც მომთაბარებოდნენ ბიზანტიური ორიენტაციის ალანები, პრობლემას ქმნიდა ის საკითხი, რომ ალანიის ეპარქიის იერარქისათვის დონის ალანიაშიარ გამოიძებნა ქალაქი კათედრისათვის, რადგანაც იქაური ალანები მომთაბარული ცხოვრების გამო აქ არ არსებობდა ქალაქები, ამიტომაც ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გადაწვიტეს ალანიის იერარქისათვის საკათედრო ქალაქად გამოიყოთ სულსხვა რეგიონში მდებარე სოტერიოპოლი, ტრაპეზუნტის რეგიონსი, ლაზიკაში.

სავარაუდოდ 1081 წლისათვის ალანიის ეპარქიას აღგილი მოუნაცვლეს და კონსტანტინოპოლმა თავისი ალანიის ეპარქია აქედან გადაიტანა დონის სტეპებში, რასაც კონსტანტინოპოლის სინოდის აქტებიც მიუთითებს.

1080-იანი წლებიდან ვიდრე თემურ ლენგის შემოსევამდე და მის შემდეგც მე-18 საუკუნეშიც კი სენტი მოქმედი ეკლესია იყო არა ალანებისათვის არამედ აქ მცხოვრები სვანებისათვის, რომელთა საეკლესიო ენა ყოველთვის ქართული იყო. ანუ ის აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა მე-11 საუკუნიდან.

სესაბამისად სენტის ეკლესია აიგო პირველ პერიოდში ანუ 931-1032 წლებში, აფხაზ მეფეთა მიერ, .

ამ შუალედში, ანუ მე-10 საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული აფხაზეთში მოქვის ტაძარი, რომელიც ააგო აფხაზთა მეფე ლეონ მე-3-მ დაახლოებით 957-969 წლებში.

შესაბამისად მისი სტილი არის ტიპური ქართული ჯვარ-გუმბათოვანი, ასეთი სტილის ეკლესიები საქართველოში ასეულობითაა, ხოლო ბიზან-

ტიაში თითებზეა ჩამოსათვლელი. ამის მიუხედავად მოსკოველი მეცნერებმა მთელ მსოფლიოში მტკიცედ დანერგეს მოსაზრება, რომ კავკასიის ალანიის ეკლესიები თითქოსდა განსაკუთრებული ე.წ. ალანურ-აფხაზური არქიტექტურითაა ნაგები, მაშინ როცა აფხაზეთი საეკლესიო არქიტექტურა ტიპური ქართულია, და ის არქიტექტურა, რომელსაც ამჟამად აფხაზურად მოიხსენებენ სწორედ თვითონვე წარმოადგენს ტიპურ ქართულ არქიტექტურას.

სენტი, იმის შემდეგ რაც ის ააგეს აფხაზთა მეფეებმა ჩანს არ იყო მოხატული, როდესაც ის 1031/2 წლიდან გადავიდა ბიზანტიურ იურისდიქციაში, შესაბამისად აქაურ ალანიის ეპარქიაში ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება გაჩაღდა, ვიდრე 1074 წლამდე, ვიდრე ანაკოფიის საქართველოს სამეფოში დაუბრუნებამდე. ანაკოფიის ბიზანტიელთაგან გათავისუფლების შემდეგ დაღვა საკითხი, რათა კავკასიის ალანია კვლავ დაბრუნებოდა ქარტული ეკლესიის წიაღს, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს. ამ დროისათვის ბიზანტიის გავლენა კავკასიის ალანიაში სრულიად მინიმალური იყო, ის ბიზანტიას ანაკოფიის მეშვეობით უკავშირდებოდა. ბიზანტიისათვის ნათელი გახდა, რომ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, როცა ის სასტიკად დამარცხდა თურქ-სელჯუკებთან ომებში, უმჯობესი იყო კავკასიაში ჰყოლოდა ძლიერი მოკავშირე საქართველოს სამეფოს სახით, კერძოდ კავკასიის ალანია ბიზანტიამ ეკლესიურადაც დათმო, მან გადაწვიტა, რომ კავკასიაში კვლავ შეენარჩუნებინა ალანის ეპარქია, მაგრამ არა კავკასიის ალანიაში, არამედ დონისპირეთის ალანიაში, კერძოდ რეგიონში აზოვისზღვისპირას, დონის სტეპებში, ყირიმის აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ დროისათვის ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე გავლენიანი პოლიტიკოსის მარიამ ალანელის ხელშეწყობით ავიდა ალექსი კომნენი. მისი ქრისობულით ალანიის ეპისკოპოსის საკათედრო ქალაქად დაღვენილი იქნა სოტერიოპოლი.



დასკვნა

1071 წელს მანასკერტის ბოლოში თურქ სელჯუკებთან ბიზანტიის არმიის დამარცხებამ მთლიანდ შეცვალა კონსტანტინოპოლის სამეფო კარის დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ.

თუ იქამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე, ბასილი ბულგართმშუსვრელი იმპერიის უზარმაზარი ლაშქრით შემოესია საქართველოს და ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი მიწაწყალი, სადაც თავისი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი „იბერიის თემი“ დაარსა, ახლა უკვე, 1074 წელს ბიზანტიამ უკანვე დააბრუნა აღნიშნული თემის ნაწილი, ასევე მიტაცებული დიდი ციხე-სიმაგრეები და ციხე-ქალაქები, მათ შორის აფხაზეთში ანაკოფიის ციხე-ქალაქი.

სამეფოს უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ანაკოფიის ციხე-ქალაქი საქართველოსაგან ბიზანტიის იმპერიამ მიიტაცა 1032 წელს მეფე გიორგი I-ის ქვრივის აღდე ალანელის დალატის შემდეგ.

კავკასიის ალანია, რომლის მეფის ქალიშვილიც იყო საქართველოს ქვრივი დედოფალი, უშუალოდ ემიჯნებოდა ანაკოფიის მიწაწყალს.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით „ანაკოფია ალანითურთ“ ერთიან ადმინისტრაციულ ოლქს წარმოადგენდა და შედიოდა ცხუმის საერისთავოს შემადგენლობაში.

ზოგადად ალანები მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა წარმოშობისა და ენის მქონე ტომების კოლგლომერატს ერქვა. ისინი ვრცელ მიწაწყალზე ალტაიდან ვიდრე დუნაისპირეთამდე იყვნენ განსახლებულ ერმანეთისაგან დამოუკიდებელი ჯგუფების სახით, მათ შორის კავკასიაშიც.

მე-ნ ს.-ში, ლაზიკისათვის ბიზანტია სპარსეთის ომების დროს, მეზობელი ალანების რაზმები ბიზანტიელებმა მიიმხრეს და სპარსელებთან ომებში იყენებდნენ დასავლეთ საქართველოში.

ამდროს ალანებმა ზოგიერთი ციხე-სიმაგრე დაიჭირეს, მაგრამ ხაზართა გაძლიერების შემდეგ მე-7 ს.-დან მათი დატოვება მოუხდათ, მაგრამ VIII-X სს.-ში მიწაწყალს ანაკოფიის მთებთან მათი სახელი შემორჩა და მას ქართულ წყაროებში ალანია, ანუ „ანაკოფია ალანითურთ“ ერქვა.

კავკასიის ალანია მოიცავდა ცნობილი ტაძრების არხიზ-ხელენჯუკის, სენტისა და შოანას მიმდებარე მიწაწყალს, აქ გადიოდა საერთაშორისო ე.წ. აბრეშუმის გზა, რომელის უმთავრეს პუნქტსა და საზღვაო პორტს წარმოადგენდა ანაკოფიის ციხე-ქალაქი, რომელიც ბიზანტიას ზღვით უკავშირდებოდა.

საერთაშორისო სავაჭრო გზითა და საზღვაო პორტით გამდიდრებული ეს რეგიონი (ანაკოფია-ალანითურთ), მუდამ ბიზანტიის დაინტერესების სფეროს წარმოადგენდა. ამიტომაც სადავო იყო საქართველოს სახელმწიფოსთან.

როგორც აღინიშნა, 1074 წლის შემდეგ, რაც საქართველომ ბიზანტიისაგან უკანვე დაიბრუნა ანაკოფია, „კავკასიის ალანიის“ პოლიტიკური ბედიც გადაწყვეტილი იყო, ისიც, როგორც ვახუშტი თავისი წიგნის საგანგებო თავში „ალანთათვის“ აღნიშნავს, „გაისაკუთრეს საქართველოს მეფებმა“.

ამის შემდეგ, არა თუ კავკასიის ალანია, არამედ უფრო ვრცელი ჩრდილოკავკასური ოსური ოლქები თავიანთი „მეფეებითა და მთავრებით“, როგორც „დავით აღმაშენებლის ცხოვრება“ აღნიშნავს, სრულებით ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს.

დავით აღმაშენებელი იყო ბიზანტიის სახელგანთქანი დედოფლის მართა-მარიამის იგივე მარიამ ალანელის ძმის შვილი, სწორედ მართა-მარიამის ბიზანტიაში დედოფლობის დროს დაიბრუნა საქართველომ ანაკოფია. მარტივად თუ ვიტყვით, ბიზანტიის გავლენიანმა დედოფალმა თავის ძმას, საქართველოს მეფე გიორგი მე-2-ს დაუბრუნა დიდი ციხე-ქალაქი.

1065 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ (1059-1067) მართა უფლისწული საქართველოს მეფეს ბაგრატ IV



(1020–1072) თავისი ძის, მიხეილის საცოლედ სთხოვა. ქორწინების შემდეგ მართას მარიამი დაარქვეს. 1074 წელს წყვილს მემკვიდრე, კონსტანტინე დუკასი-პორფიროგენეტი შეეძინა.

1078 წელს იმპერატორი მიხეილ დუკა პარაპინაკი აიძულეს ბერად აღკვეცილიყო და იმპერატორად ნიკიფორე III ბოტანიატე (1078–1083) გამოაცხადეს. მარიამი ბოტანიატეს ცოლად გაჰყვა იმ პირობით, რომ კონსტანტინეს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადებდა. იმპერატორი დაჰპირდა, მაგრამ შემდეგ სიტყვა არ შეასრულა.

1081 წელს ალექსი კომნენოსმა, დედოფალ მარიამის დახმარებით, ტახტიდან ჩამოაგდო ნიკიფორე ბოტანიატე და გამეფდა. ალექსი კომნენოსი დედოფალმა იშვილა იმ პირობით, რომ მის ვაჟს, კონსტანტინეს თანაიმპერატორად გამოაცხადებდა. ალექსიმ, პირობისამებრ, მიიწვია მარიამის შვილი თანამმართველად (1081–1092 წწ.), თავისი ასული ანა მიათხოვა და ტახტის მემკვიდრედაც გამოაცხადა. მაგრამ მას შემდეგ, რაც კომნენოსს ვაჟი – მემკვიდრე შეეძინა, კონსტანტინე მეუღლეს გააშორეს, საიმპერატორო პატივს ჩამოაშორეს. მხოლოდ 1096 წელს, როცა კონსტანტინე დუკასი-პორფიროგენეტი გარდაიცვალა.

შესაძლოა ანაკოფიის ციხე-ქალაქის გათხრისას არქეოლოგთა მიერ ნაპოვნი ბეჭედის წარწერა „ეკსუსიოკრატორი ალანისა კონსტანტინე“ ეკუთვნოდეს კონსტანტინე დუკასს, მარიამ ალანელის შვილს.

ჩვენი მოსაზრებით, მარიამ ალანელს, ისევე, როგორც მის დედასა და დიდ ბებიას აღდე ალანელს ანკოფიასა და კავკასიის ალანში ეკუთვნოდათ გარკვეული ქალაქები და ციხესიმაგრეები, ამის საფუძველზე მარიამ ალანელს უნდა ჰქონოდა წოდება ეკსუსიოკრატორი, ხოლო მის შვილს – კონსტანტინეს, ვითარცა მის მემკვიდრეს – ალანის ეკსუსიოკრატორის წოდება.

„в нижних слоях завалов и обрушений башни были обнаружены византийские

фоллисы, фрагменты моливдовулов, милиарисий Константина IX Мономаха (1042–1055), милиарисий Константина X и Евдокии (1059–1067), серебряные подражания куфическим дирхемам, а также медная вислая печать с именем и титулом эксусиократора Алании Константина“,

Vyzantyskaia_moneta_v_Srednem_Podneprovje_ros.pdf

სწორედ ამ წოდებით უნდა იყოს მოხსენებული სენტის ტაძრის წარწერაში მარიამ ალანელი და მისი შვილი კონსტანტინე. ხოლო ამ წარწერაში ნახსენები ნიკიფორე ბასილევსი არის არა ნიკიფორე ფოკა, როგორც ამჟამად მიიჩნევა, არამედ იმპერატორი ნიკიფორე ბოტინატი, მეუღლე მარიამ ალანელისა,

ἐπὶ βασιλ[είας

Νηκηφόρου, Βασιλ[είου] καὶ [Κωνσταντίνου

καὶ Δα(υ)δ̄ ἐξουσιωκράτορος] [Αλανίας

καὶ(αι) Μαρίας ἐξουσι[η]οκράτ[ο]ρίστου

მაშასადამე, სენტის ტაძარში, ჩვენი კვლევით გვაქვს წარწერა ბიზანტიის დიდი დედოფლის მარიამ ალანელის, საქართველოს მეფის ასულის, მოხსენიებით.

17.11.2022



„ოდეს აბრაჰამს ესტუმრა სამებაი წმიდაი“ – ლიხნის ფრესკა. ლიხნის ტაძრის ფრესკული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს 1066 წელს ჰალეს კომეტის გამოჩენის შესახებ: „ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ხქდო, ქორონიკონსა სჰდ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ღწ, აპრილსა თუესა, ვარსკულავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვიღიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი, მოკიდებით მასვეა. ესე იქმნა ბზობითგან აღვსებამდის“. ლიხნის ტაძრის ამ წარწერაში მოხსენიებული მეფე ბაგრატ გიორგის ძე არის ბაგრატ IV (1027–1072 წწ.).

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ლიხნის-ტაძარი>



სამწვერისი



სენტის ტაძარი – სამწვერისის ასლი
Церковь Самцевриси.
Надпись из церкви упоминает Константина III.



სენტის ტაძარი
Сентинский храм. Алтарь. Май 2018г.
Сентинский храм, вид сверху. Май 2018г.



სენტის ტაძარი
Сентинский храм, Нижняя Теберда Подробно на сайте Это Кавказ:
<https://etokavkaz.ru/istoriya/tainy-alanskogo-tcarstva>



ალბანეთი

ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეპლუსის
იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში

თავი II
(გაგრძელება)

კავკასიის ალბანეთი ვარდან არეველცის მიხედვით და ქართველების არქონიზაცია ბოზარენასა და ბუზარში

ამჟამად სხვადასხვა წყაროებით ცნობილი „გოგარენა“ და „გუგარქი“ ერთ ქვეყანადაა მიჩნეული და ითვლება, რომ ბერძნული წყაროების გოგარენა იგივე გუგარქია. მაგრამ ამ მოსაზრებისაგან განსხვავებით, ჩვენი კვლევით, რომელიც ქვემოთაა მოცემული, გოგარენა და გუგარქი სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ. ერთი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ხოლო მეორე – გოგარენა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და მოიცავდა იმ ტერიტორიას, რომელსაც ჩვენ „ისტორიულ ჰერეთს“ ვუწოდებთ, ანუ შაქის ოლქს. მას, ადგილობრივები მართლაც მოიხსენებდნენ სახელით „გარგარი“. ვარდან არეველცი შაქის ოლქს „გარგართა ქვეყანას“ უწოდებდა. სიტყვა „გარგარი“ უნდა იყოს სიტყვა „გოგარის“ ვარიაცია. სტრაბონსაც იბერების ქვეყანა „გოგარენა“ მტკვრის იქით, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ეგულებოდა, რასაც ქვემოთ ვეხებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ალბანეთის შესახებ საუკეთესო ცნობებს იძლევა ვარდან არეველცი, მე-13 ს-ის ისტორიკოსი, რომელიც კახეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ ცნობილ წანარებს ქართველენოვან ტომს უწოდებდა, ანუ ქართველებად მიიჩნევდა. წანარების მეომრული სულისკვეთების

დამსახურება იყო, რომ კახეთმა არაბებთან ომების დროს ქართული სახე შეინარჩუნა, კახეთს უშუალოდ გააჩნდა საზღვარი ისტორიულ ალბანეთთან, ამიტომ საინტერესოა ვარდან არეველცის ცნობები ალბანეთის შესახებ. ბოლო დროს ისტორიკოსი გურამ გუმბა საინტერესო გამოკვლევით შეეხო ამ საკითხს – [http://lraber.asj-oa.am/4623/1/1986-9\(64\).pdf](http://lraber.asj-oa.am/4623/1/1986-9(64).pdf)

ვარდან არეველცი, ანუ ვარდან აღმოსავლელი (1198–1271), იგივე „ვარდან დიდი“ მე-13 ს-ის სომეხი ისტორიკოსი, გეოგრაფი, ფილოსოფოსი და მთარგმნელია. დაწერა ისტორიული კრებული – „მსოფლიო ისტორია“, იძლევა ცნობებს წანარებისა და ალბანეთის შესახებ.

გურამ გუმბა წერს, რომ დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით, ვარდანის დროინდელი „შაქი“ ქართული პროვინცია იყო. „მის (ვარდანის) დროს „შაქი“ წარმოადგენს ჩვეულებრივ აღმოსავლურ ქართულ პროვინციას“.

ვარდან არეველცის დროს, ანუ მე-12 საუკუნის დროიდან, შაქი შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში (არეველცი წერდა – „ვრკანების ქვეყანა განფენილია კასპიის ზღვამდე“). გ. გუმბას კვლევით, მ. ხორენაცი და საერთოდ შესაბამისი სომხური წყაროები თანამედროვე შირვანის ვაკეს, ისევე როგორც მტკვრის მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროს მხარეს „გარგართა ველს“, „გარგარების სამთავროს“ უწოდებენ, და მას ეთნონიმ „გარგარით“ ნაწარმოებ სახელიად მიიჩნევენ. («Гаргарацик это есть



«Шаки») 5 9, то есть современный Шаки (или Албания в 3 списках) это – древняя страна гаргаров – Гаргарацк. https://www.academia.edu/37299273/кавказская_албания_по_ашхарацуйцу_вардана_вардапета_xiii_в.

ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემი დასკვნა, რომ „გარგარების ქვეყანა“, ანუ შაქის ოლქი, უნდა იყოს სტრაბონის „გოგარენა“, მდებარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გოგარენა თავდაპირველად იბერიის ოლქი იყო და მისგან მიიტაცა არმენიამ ძვ.წ. მე-2 საუკუნეში, რის შემდეგაც დაიწყო აქაური გარგარების, ანუ აქაური იბერების – ქართველურენოვანი ტომის არმენიზაცია, შემდეგ ის შეიყვანეს ალბანეთის სახელმწიფოში, საბოლოოდ, ახ.წ. მე-4 საუკუნის შემდგომ გარგარების დიდი ნაწილი გადასახლებულან მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს, ამ დროს მათი დიალექტი შეცვლილა სომხურისა და ალბანურის გავლენით და ჩამოყალიბებულია ახალ ენად. მაშტოცის დროისათვის, ალბათ, ის უკვე ჩამოყალიბებული იყო დამოუკიდებელი სახით. 165 მტკვრის მარჯვენა მხარის გარგარელთა ენა მესროპ მაშტოცის დროს საფუძველი გამხდარა ალბანური სამწერლობო ენისა. მაგრამ შაქის ოლქში დარჩენილ გარგარებს, ქართულენოვნება შეუნარჩუნებით, რაც საფუძველი გახდა წმ. დინარა დედოფლის საეკლესიო-ადმინისტრაციული რეფორმისა, როცა მან ჰერეთის, ანუ შაქის ოლქის საეკლესიო და ადმინისტრაციულ ენად ქართული გამოაცხადა.

მაშასადამე, ვარდან არეველცის ცნობიდან გამომდინარე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე, ანუ შაქის ოლქი არის სტრაბონისეული გოგარენა, იგივე გარგარეთი, გარგარების ქვეყანა, ესაა ჰერეთი.

რაც შეეხება გუგარქს, ის სხვა მხარეს მდებარეობდა. სომხური გეოგრაფიის ცნობით, გუგარქი იყო ქართველთა ქვეყანა, ანუ ქვეყანა ქართველთა მმართველობით და ის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარეობდა.

ქვეყნებს უტიდან ვიდრე ტაშირის, თრიალეთის, არტაანისა და კლარჯეთის ჩათვლით ქართველთა ქვეყნებად თვლიდ-

ნენ. მას ქართველები ფლობდნენ მე-7 ს-ის სომხური გეოგრაფიის მიხედვით.

კერძოდ, სომხური გეოგრაფია წერს – „Гугарк, к западу от Ути, имеет 9 областей, которыми владеют грузины: 1. Дзорпор, 2. Цобопор, 3. Колбопор, 4. Ташир, 5. Трелы, 6. Кангары, 7. Артаган, 8. Джавахи, 9. Кларджи. В этой провинции встречаются: аналут, дерево хачар, айва и бук.

Тайк, рядом с Гугарк, богатый крепостями и замками, имеет 9 областей. 1. Ког, 2. Бердац-пор, 3. Партизац-пор, 4. Чакс, 5. Буха, 6. Окаге, 7. Азорд, 8. Ка-пор, 9. Асьяц-пор“.

<http://vehi.net/istoriya/armenia/geographiya/04.html>

სომხური სუფიქსი „პორ“ (ფორი) უდრის ქართულ ტერმინს „ხევი“, ამიტომაც შესაძლოა „ძორპორი“ ნიშნავს „ჯვრის ხევს“, ის ცოფიხევთან, კოლბიხევთან, ტაშირთან, თრიალეთთან, კანგართან, არტაანთან, ჯავახეთთან და კლარჯეთთან ერთად კვლავ ქართველთა გამგებლობაში ყოფილა უსასტიკეს მე-7 საუკუნეშიც კი, როდესაც მტრები, ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლესა და შემდეგ არაბების ჩათვლით, საქართველოს აჭრიდნენ ისტორიულ მიწა-წყალს (შესაძლოა, ეტიმოლოგიურად „პორ“ დაკავშირებული იყოს ქართული სიტყვა ფორესთან, რაც ადგილს, ფართობს ნიშნავს).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მტრები ამ საუკუნეში სომხურ ეკლესიასთან კავშირსა და უნიას ქმნიდნენ. ასეთი იყო ჰერაკლე კეისარი, რომელმაც ზღვისპირა კლარჯეთი – ლაზიკა (შემდგომდროინდელი ლაზისტანი) მიიტაცა, ამ იმპერატორის მსგავსად არაბებიც კი სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებას ცდილობდნენ.

თვით ისლამის ფუძემდებელმა მუჰამედმა გადასცა სიგელი მფარველობისა სომხურ ეკლესიას, ამ სიგელის არსებობას ადასტურებდნენ სხვა ხალიფები და ლიდერები არაბული სამყაროსი მე-7 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე. ეს სიგელები შემონახულია და ამ სიგელებმა რეალურად დაიცვა სომხური ეკლესია არაბთა ძალადობისაგან, რასაც „თავის მხრივ, არაბობისას სომხური ეკლესიის



იერარქები აქტიურად იყენებდნენ მეზო-166 ბელი კავკასიური ქალკედონიტური, მათ შორის ალბანური და ქართული ეკლესიების დევნა-შევიწროებისა და მისი მრევლის მისაკუთრებისათვის. როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მოვსეს კალანკატუაცი კარგად აღწერს, თუ როგორ გაანადგურა სომხურმა ეკლესიამ ალბანური ეკლესიის ავტოკეფალია მე-7 საუკუნეში არაბული ლაშქრის გამოყენებით. ასეთ დროს ქართული მმართველობის შენარჩუნება ისეთ ოლქებში, რომელნიც გუგარქში შედიოდნენ ძალზე ძნელი იყო, თუმცა შემდგომ, არაბობის დროს გაგრძელდა ამ ქართული ოლქების არმენიზაცია, ისევე, როგორც არმენიზებულ იქნა ალბანელები.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტრაბონისეული გოგარენა მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს, ხოლო გუგარქი, გარდმანი, საკასენა და სხვა ოლქები – მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს. ეს უკანასკნელნი ტაოსთან ერთად შედიოდნენ სტრაბონისეულ ხორძენას ოლქში.

შესაბამისად, ხორძენა გადაჭიმული იყო ზოლს სახით დაახლოებით ამჟამინდელი არზრუმიდან ვიდრე მტკვრამდე, ხოლო მტკვრის იქით მდებარეობდა გოგარენა.

ყველა ეს ოლქი იბერებს ეკუთვნოდა ძვ. წ. მე-2 საუკუნემდე სტრაბონის ცნობით. ეს ქართული მხარეები მიიტაცა არმენიამ და ყველა ამ ოლქში დაიწყო ქართული მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლებად წარმატებული იყო, რადგანაც იბერია საკმაოდ ხშირად უკან იბრუნებდა ამ მხარეებს. მოსახლეობის გაქრისტიანების შემდეგ უკვე არმენიაში მცხოვრები მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ანუ იბერები, ქაღლები თუ მოსინიკები ძირითადად სომხური ეკლესიის მრევლად იქცა, მაგრამ აქაც მეტ-ნაკლები ხარისხით, მაგალითად, ეპისტოლეტა წიგნის მიხედვით გუგარქის ვრცელი ქვეყანა, თავისი 9 ოლქით (აღნიშნული ძოროხევი (ჯვარის ხევი?), წობოხევი, კოლბოხევი, ტაშირი,

თრიალეთი, კანგარი, არტაანი, ჯავახეთი და კლარჯეთი, ანუ მიწა-წყალი გარდმანიდან ვიდრე თითქმის შავ ზღვამდე (Дзоропор, 2. Цобопор, 3. Колбопор, 4. Ташир, 5. Трелы, 6. Кангары, 7. Артаган, 8. Джавахи, 9. Кларджи) შედიოდა საქართველოს პატრიარქ კირიონ კათალიკოსის იურისდიქციაში, მე-6 ს-ის ბოლოს. ასეა თვით სომხური წყაროების მითითებით (ეპისტოლეტა წიგნში გუგარქი ერთმნიშვნელოვნად ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაშია). სომხური წყაროები ასევე მიუთითებდნენ, რომ ქართლის კათალიკოსი ასევე იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი.

რადგანაც გუგარქი შედიოდა ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში, შესაბამისად, იქ ძველთაგანვე იყო ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, რომელიც, თვით ეპისტოლეტა წიგნის ირიბი ცნობით, შეიცვალა სომხურენოვანით დაახლოებით, წმ. შუშანიკის ეპოქაში. თავდაპირველად ცურტავში სომხურენოვნება დაწერგილა წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში ეპისტოლეტა წიგნის ცნობით. ქართულენოვნების შეცვალა სომხურენოვნებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-6 საუკუნეში.

გუგარქში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა შეიცვალა სომხურენოვანი ღვთისმსახურებით მას შემდეგ, რაც სპარსეთმა მე-6 საუკუნეში გააუქმა 167 ქართული სახელმწიფოებრიობა და დევნა დაუწყო საქართველოს ქალკედონურ ეკლესიას, ამავე დროს, ის კავკასიის დაპყრობილ ნაწილში ღიად უჭერდა მხარს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას. გუგარქში ქართული ენა იღვევებოდა ისევე, როგორც მეზობელ ალბანეთში – ალბანური ენა.

ალბანეთშიც და ქართლშიც, როგორც სპარსელები, ისე არაბები ხელს უწყობდნენ ეკლესიებში სომხურენოვნების დანერგავს, ამას მიუთითებს ალბანეთთან დაკავშირებით მოვსეს კალანკატუაცი, ხოლო ეპისტოლეტა წიგნი უფრო ადრე მიუთითებდა, რომ კირიონმა აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება გუგარქის ქართველობას მხოლოდ ბიზანტიის საზღვრის მცხეთასთან მიახლოების შემ-



დევ, რაც მას საპატრიარქო ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

დამპყრობელმა სპარსეთის იმპერიამ მე-7 ს-ის დასაწყისში კირიონი დასაჯა სომხური მხარის დაბეზღებით, რომ ის მხარს უჭერდა ბიზანტიელებს, შემდეგ, მე-8 ს-ის დასაწყისში, მსგავსადვე, არაბებმა დასაჯეს ბოლო აღბანელი პატრიარქი იმავე მიზეზით, რომ ის მხარს უჭერდა ბიზანტიელებს. შესაბამისად, საბოლოოდ აიკრძალა აღბანურ ეკლესიებში აღბანური ენის გამოყენება, ანუ აღბანეთში მოხდა ის, რაც ერთი საუკუნით ადრე გუგარქში, როცა აქ ქართულენოვნება მე-6 ს.-ში ჩაანაცვლა სომხურენოვნებამ. კირიონი შეეცადა ქართულენოვნების აღდგენას გუგარქში და შეძლო კიდევ, თუმცა, როგორც ითქვა, საპატრიარქო ტახტი დაკარგა.

შედარებით სხვაგვარი იყო ვითარება გარდმანსა და შაქში.

ეკლესიური თვალსაზრისით, გარდმანისა და შაქის ოლქები არმენიზაციას განიცდიდნენ, ხოლო პოლიტიკურად ისინი აღბანიზაციის პროცესში იმყოფებოდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოლქების მრევლზე გაბატონდა ანდა გაბატონებას ცდილობდა სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია, ხოლო პოლიტიკურად ეს ოლქები აღბანეთში შედიოდნენ. შესაბამისად, ზედა ფენა და მოსახლეობაც აღბანიზაციის პროცესში იყვნენ. ამ დროს გაუქმებულა აქ საქართველოს ეკლესიის აგარაკის ეპარქია. აგარაკი ამჟამად ორი დასახლებაა, ერთი ამჟამინდელი სომხეთის სამხრეთში, გარნისთან, ხოლო მეორე – ჩრდილოეთით, ახტალასთან. მე-8 საუკუნისათვის გაუქმებულა გარნისთან მდებარე აგარაკის ეპარქია, ხოლო ახტალასთან მდებარე აგარაკის ეპარქია მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მე-19 საუკუნეშიც კი.

მე-7 საუკუნიდან გარდმანის ოლქის ქართველობაც ძალზე ცდილობდა ქალკედონიტურ ბიზანტიასთან კავშირს, რასაც მოჰყვა გარდმანის დედოფლისა და აღბანეთის კათალიკოსის დასჯა სომეხი იერარქების დაბეზღებით არაბთა სარდლობის მიერ.

მე-10 საუკუნეში დინარა დედოფალმა აღუდგინა გარდმანის მეზობელი შაქის ოლქს ქართულენოვნება, ანუ ჰერეთის მკვიდრ მოსახლეობას, ამის შედეგად შაქი ეკლესიურად დაუბრუნდა მშობლიურ ქართულენოვან სამყაროს, მაგრამ საბოლოოდ, პოლიტიკურად, გუგარქიცა და შაქის ოლქიც ანუ გარგართა ქვეყანა (გოგარენა) საქართველოს დაუბრუნდა დავით აღმაშენებლის შემდეგ.

კავკასიის ალბანეთი

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>

კავკასიის ალბანეთი კავკასიის ალბანეთი – (ქართ. – რანი; სომხ. – ალუანქ; სირ. – არან; არაბ.-სპარს. – არ-რანი) ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო კავკასიაში, რომლის ტერიტორია დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ აზერბაიჯანისა და დაღესტნის რესპუბლიკის (რფ) სამხრეთ ნაწილს. ანტიკური ეპოქის ავტორები (სტრაბონი) აღბანელების განსახლების არეალად წარმოადგენენ კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე მოქცეულ ტერიტორიას. შემდგომ საუკუნეებში წყაროები არ იძლევიან საშუალებას, ერთმნიშვნელოვნად დადგინდეს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც მათი განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I–II სს.). ძვ. წ. II ს-ში ალბანეთის 26 ტომის გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

I–II სს. ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მათი დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღწევდა. ამ ადგილამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან რანის ოლქის საზღვრებია.

პლინიუს მცირის მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქა-



ლაქი – კაპალაქი – კასპიის ზღვასთან ახლოს მდებარეობდა (ეს არ უნდა მივიჩნიოთ ამჟამინდელ ქ. ყაბალად, რომელიც ისტორიული ჰერეთის ოლქში მდებარეობს). ძვ.წ. I ს-ში ქართლის სამეფომ ალბანეთისგან დაიბრუნა ჰერეთი.

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით გადაინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდგომდროინდელი რანი იქცა. ამის შემდეგ ალბანეთად, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია იწოდებოდა, რომელსაც ქართველები რანს უწოდებდნენ. სავარაუდოდ, კასპიისზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული. ამ მოსახრებას მხარს უჭერს მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამოწმებული აგათანგელოზის ცნობები იმის თაობაზე, რომ **წმ. ნინომ** იქადაგა **ქართველთა** შორის „ვიდრე მასქუთებამდე“: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოდღრა... მან იქადაგა **სახარება** კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და 169 კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“, მასქუთებამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდა. შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით, ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV ს. წმ. ნინოს ქადაგების დროს.

სომხური წყაროებით, ალბანეთად უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა, კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. შემდგომდროინდელი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშნულ,

მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ, მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.


ეთნოდემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში, ანუ კასპიისპირეთში, მასქუთების ჩასახლებამ. ალბანური მოსახლეობა ორად გაიყო: ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი – ჩოლის რეგიონში, კავკასიის მთებისაკენ. მათ ლფინებს, ჭილბებსა და სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. ამავე დროს, ეს პოლიეთნიკურობა იქცა იმის მთავარ მიზეზად, რომ ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა ყველასთვის ერთი საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ალბანეთის ეკლესია ერთ-ერთი უძველესი იყო კავკასიაში. ტრადიციით, ქრისტიანობა აქ მოციქულთა მოწაფემ, ელისემ (ელიშემ) იქადაგა. მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა: პირველი გადმოცემის თანახმად, ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ იერუსალიმიდან (სომხეთის გვერდის ავლით) განმანათლებელ ელისესგან, რომელიც იყო უფლის ძმის, იაკობის მოწაფე. ეს ვერსია მიუღებელი გახდა VII ს-ში, მას შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა. მეორე, ახალი ვერსიით, ელისე იყო სომხეთის განმანათლებელ წმ. მოციქულ თადეოზის მოწაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს; კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მოწაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა **ეპისკოპოს** იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის **ციხესიმაგრესთან** ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყო „მასქუთების მხარეში“. მოციქული ელისე, რომელიც წამებით აღსრულებულა, იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ. ორივე ვერსიას



გადმოგვცემს მოგეს კალანკატუაცის (VII ან X ს.) „აღვანთა ქვეყნის ისტორია“.





სპარსეთი ცდილობდა, კავკასიელ ქრისტიანებში **ზორთასტრიზმი** დაენერგა. ამ მხრივ სპარსული პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა შაჰ იეზდიგერდ II-ის დროს, რასაც მოჰყვა კავკასიელ ხალხთა მძლავრი ანტიირანული **აჯანყება (450–451)**. აჯანყების მეორე ეტაპზე ალბანელებმა შეძლეს ჩოლის (ჩორის) გადასასვლელის დაჭერა კასპიისპირზე, მაგრამ მალე სპარსელებმა დაქირავებული ჰუნ-ონოგურების დახმარებით მოახერხეს ალბანელთა წინააღმდეგობის გატეხა და მათი დამარცხება. 462 წ. მათ გააუქმეს ალბანეთის სამეფო და შექმნეს სამარხპანო, რომელშიც შევიდა ალბანეთის კასპიისპირა პროვინციები, ასევე არცახი, უტიკი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყლის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით ჰერეთთან (ყაბალის რეგიონი) ერთად.

ალბანეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სპარსი მარხპანებიც 30 წლის განმავლობაში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ისხდნენ. არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს. უსაფუძვლოა ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცება, რომლებიც ალბანეთს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II-ის ნათესავმა, ვაჩაგან III-მ (487–510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო. 551 წ. ალბანეთის ეკლესიის მეთაურმა მიიღო **კათალიკოსის** ტიტული. პირველი კათალიკოსი იყო 172 აბასი, რომლის კათედრა პარტავში მდებარეობდა. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, ალბანეთში იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: პარტავის, ჩოლის, კაპალაკის, ამარასის, ხაშუს, ტალაძანკის, შაქისა და სალიანის.

ვაჩაგან III-ის გარდაცვალების შემდეგ ირანელებმა ისევ სამარხპანო შექმნეს, რომელშიც ჰერეთიც შედიოდა. სამარხპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთად მოიხსენიებს. VI ს. ალბანეთი ქართლსა და სომხეთთან ერთად

სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII ს. ბოლოსათვის კი – არაბებისა.

VII ს. ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640–680) ისევე, როგორც მისი მემკვიდრე ვარაზ-თრდატი, მართლმადიდებლები იყვნენ, ამის გამო 705 წ. ვარაზ-თრდატი ქრისტიანობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) უშუალოდ ხალიფატის შემადგენლობაში შეიყვანეს. კერძოდ, სახალიფოს იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც არმენია ერქვა და რომლის ცენტრი იყო ქ. დვინი. დვინის სომხური საკათალიკოსო გაძლიერდა და ახლა ალბანეთის ეკლესიასაც აკონტროლებდა, როგორც არმენიაში შემავალი ერთ-ერთი ოლქის ეკლესიას. არმენიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) თითქმის IX ს. ბოლომდე დარჩა. არაბებმა, რომლებიც ბიზანტიის საპირისპიროდ, სომხეთში **მონოფიზიტობას** მფარველობდნენ, აიძულეს ალბანელები, სომხური აღმსარებლობა გაეზიარებინათ. VII ს. ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაცის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური, ანუ ქალკედონური მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია, რასაც მოსახლეობის ნაწილის ისლამიზაცია ერთვოდა.

მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, „ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი, გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზ-თრდატის მეუღლე. სომხეთის კათალიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსმა მისწერა: სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა



კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და აღბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება. სომეხთა კათალიკოსმა მოუწოდა **ამირას**, რომ აღბანელი ქალკედონები დაესაჯა, რაც ამირამ სიამოვნებით აღასრულა და სომეხთა კათალიკოსს შეატყობინა, რომ აღბანეთში გაგზავნა დიდძალი **ჯარი**, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონი აღბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია – ამ მეომრებმა „... ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი აღვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ“. იმავე წერილში არაბი ამირა სწერს სომეხთა კათალიკოსს: „ჩვენი მსახური შენ წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით 173 გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მემამბოხეთა შეურაცხყოფა“.

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა აღბანეთში, ქ. პარტავში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ აღბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული კათალიკოსი დაიშალა, მაგრამ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათალიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მიძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“. სომეხმა მღვდლებმა არაბებთან ერთად აღბანთა კათალიკოს, ნერსესის ქალკედონური აღბანური წიგნები, რომლებითაც სავსე იყო **ზანდუკი**, წყალში ჩაყარეს. დევნის ამ ეპოქაში გადარჩა მხოლოდ ის აღბანური წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც **ლტოლვილმა** აღბანელმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. **სინას მთის** წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი აღბანური ხელნაწერები მიუთითებს არა აღბანელი ბერების „ქარ-

თიზაცია-გაქართველებას“, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც აღბანეთიდან ლტოლვილი აღბანელი ქალკედონი ბერები თავიანთი აღბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, როგორც **მართლმადიდებლურ** კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღბანელთა კათალიკოს ნერსესის მსგავსად მკაცრად დაისჯებოდნენ.

ამ მოვლენების შემდეგ აღბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ აღბანეთის კათალიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათალიკოსის მიერ. „აღბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ აღბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში, ის კათალიკოსად არ ჩაითვლება“, – აღნიშნულია მ. კალანკატუაციის თან. ეს პირობა დაიდო პარტავის კრებაზე, რომელსაც სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა სომხური წელთაღრიცხვით 148 წ. (699) (სხვა ცნობებით, პარტავის კრება გაიმართა 706 წ.).

მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის აღბანეთის ეკლესიის მამამთავრებს. ამ და სხვა წყაროებით დგინდება აღბანეთის კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგი სომხეთის საკათოლიკოსოს დაქვემდებარებაში შესვლამდე: აბასი (551–595), ვირო (595–629), ზაქარია (629–644), იოანე (644–671), უხტანესი (671–683), ელიაზარი (683–689), ნერსესი (689–706).

აღბანეთის საკათალიკოსომ, როგორც სომხური ეკლესიის ადმინისტრაციულ-სტრუქტურულმა ერთეულმა, იარსება 1815 წლამდე. XIV ს. ბოლოდან კათალიკოსების რეზიდენცია იმყოფებოდა არცახში არსებულ განძასარის მონასტერში. ე.წ. აღბანეთის „ივერიის“, ანუ ჰერეთის, მოსახლეობა ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდა. კახეთისა და ჰერეთის საზღვარი გადიოდა თანამედროვე ქ. ყაბალისა და ვარდაშენის შუა ქედზე, რომელსაც დღესაც „ქართველთა მთა“ (გურჯი დადი) ეწოდება. მიტრ. ანანია (ჯაფარიძე) <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კაკვა> სიის აღბანეთი



„პრავასლაგნაია ენციკლოპედიის“ 34-ე ტომშია გამოქვეყნებული), საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი გუგარქის მრევლისათვის სომხურენოვნება დაინერგა ძირითადად მე-6 საუკუნიდან. ქართლის სამეფოს გაუქმებისა და კავკასიური სახელმწიფოების დაპყრობის შემდეგ. ეს საკითხი მოკლედია განხილული სტატიაში „კირიონ I“, რომელიც „პრავოსლაგნაია ენციკლოპედიამ“ დაბეჭდა.

КИРИОН I (პა.ტ. 34)

[Кирон; груз. კირიონ, კირონ], католикос Картли (Мцхетский) (ок. 599–614/616) Грузинской Православной Церкви (ГПЦ). Имя К. отсутствует в грузинских источниках, содержащих сведения о предстоятелях ГПЦ, в частности в грузинской летописи «Мокцеваи Картлисай» (Обращение Картли), где помимо других данных приведены списки грузинских католикосов. Поэтому долгое время К. не был включен в офиц. списки предстоятелей ГПЦ, где под Кирионом I подразумевался **Кирион II**, под Кирионом II – **Кирион III (Садзаглишвили)**.

Сведения о К. содержатся в основном в арм. источниках (в сочинении арм. историка Ухтанеса «История Армении», «Книге посланий», сочинении Мовсеса Каланкатуаци «История страны Алуанк», сочинении Ованнеса Драсханакертци «История Армении»), а также в антимонафизитском трактате грузинского церковного деятеля Арсения Сапарского (Сапарели) «О разделении Грузии и Армении» и сочинении грузинского царевича Вахушти Багратиони «История царства Грузинского». В последнем К. назван также Симеоном (Вахушти Багратиони. История царства Грузинского // КЦ. 1973. Т. 4. С. 120. Примеч. 2).

Согласно сведениям Ухтанеса, К., по происхождению грузин, был родом из с. Скутри (Сакудрия) (близ совр. Ахалкалаки) южногруз. исторической пров. Джавахети. В юношеские годы он «пришел в страну Ромейскую», т. е. в Византию, и жил в греч. части Армении – в Никополе в пров. Колония близ Трапезунда, где проживало много грузин (лазы и калды (халибы)). Владая арм. и груз. языками, К. в совершенстве изучил здесь греческий язык и «их злое (халкидонское.- Авт.) учение» (Ухтанес. 1975. С. 21). Грузины также составляли основную часть населения и соседних

провинций Тао (арм. Тайк) и Басиани (арм. Басен), поэтому К., как видно, решил остаться в этом регионе и переехал после получения образования в Двин. Тао и Басиани в тот период входили в состав Армении и относились к юрисдикции Армянской Апостольской Церкви (ААЦ); между ней и ГПЦ существовало каноническое общение, и этнические грузины этих областей составляли паству и клир ААЦ. По сведениям Ухтанеса, К. принял хиротонию, занял кафедру Айратского епископа ААЦ и 176 стал настоятелем кафедрального монастыря в Двине. Через 5 лет он вернулся на родину и был избран католикосом Картли (Там же. С. 21–23). По сведениям арм. историка католикоса Ованнеса Драсханакертци, в кон. VI в. К., «согласно прежним законам», был возведен в сан католикоса «иверов, гугаров и эгров (лазов – в визант. источниках.- Авт.)» (Ованнес Драсханакертци. 1984. С. 55). По мнению груз. историка И. А. Джавахишвили, эта дефиниция позволяет определить границы юрисдикции Картлийской Церкви (древней ГПЦ) не только при К., но и в более раннее время: «Гугарети принадлежала пастве католикоса Картлийского. Упоминание Кириона католикосом Мег-рельским означало, что паства Картли, т. е. католикоса Мцхетского, была в Западной Грузии и границы Католикосата были расширены в Лихт-Имерети (т. е. доходили до границ Чёрного м.- Авт.). Политическому объединению Западной и Восточной Грузии предшествовал и готовил почву начавшийся намного раньше процесс объединения Церкви» (Джавахишвили. 1960. С. 341–342).

К. управлял ГПЦ в период обострения борьбы между Ираном и Византией, в церковной сфере это выражалось в противостоянии монофизитства, поддерживаемого персами, и дифизитства. К. выражал приверженность решениям Халкидонского Собора 451 г., проводил национальную религиозную политику и сыграл важную роль в вопросе политической ориентации Грузии на Византию. Взойдя на престол Предстоятеля ГПЦ, К. содействовал возвращению представителей разных конфессий в Православие. Он отправил посла в Иерусалим и Рим, чтобы узнать мнение глав этих Церквей о необходимости повторного крещения несториан, желающих воссоединиться с Православием. Сохранилось ответное письмо папы Римского Григория I (Gregorius I,



Рара (Magnus). 1902. С. 24–26, 575–577). Следуя рекомендациям папы, К. принял в Православие покаявшихся сирийцев-несториян и даже хиротонисал некоторых во архиереев. Тесную связь поддерживал К. с Иерусалимом, особенно во время прений с монофизитами.

Политика К. спровоцировала раскол ГПЦ и ААЦ. Эпоха его правления в контексте отделения ААЦ от православных Церквей описана в трактате «О разделении Грузии и Армении». На Двинском Соборе 554–555 гг., созванном арм. католикосом Нерсесом II Багревандци, ААЦ отвергла решения Халкидонского Собора (подробнее см. в ст. Двинские Соборы Армянской Апостольской Церкви (VI–VIII вв.)). Как указано в источнике, «в связи с этим вся Картли и четвертая часть Армении отделились от рукоположения армянским духовенством. А эры и сивнийцы одно время отделились, но потом опять воссоединились с ними» (Арсений Сапарели. 1980. С. 27). Как считают некоторые историки, под «всей Картли» подразумеваются исторические провинции Тао, Басиани и прилегающие к ним регионы; под «четвертой частью Армении» – пров. Айрарат с окрестными территориями (Ананя (Джапаридзе), митр. - 2011. С. 122). Они опираются на сведения Арсения Сапарели: «Попросил Авраам у Кириона эту епархию (Цуртавскую.- Авт.), но он не дал, и увеличилась вражда между ними. Созвал Авраам священнослужителей Араарата и сказал им: или отрекитесь от Халкидонского Собора, или изыдите из нашего владычества... Католикос Авраам силой изгнал священнослужителей – Иоанна, предстоятеля святой соборной Церкви, а также Ошакана, Эливарда, Арамунта, Гарниса из всех монастырей всего Араарата» (Арсений Сапарели. 1980. С. 22–30). Другие исследователи (Алексидзе и его последователи) понимают под Картли Вост. Грузию. На основании того что Басиани, согласно «Книге посланий», являлась мощным центром монофизитства даже при византийцах (с 591), Тао не входила в состав Картли до 1-й пол. VIII в., а Айрарат с центром в Двине был владением арм. католикоса, под «четвертой частью Армении» они подразумевали Четвертую Армению.

Прения между ААЦ и ГПЦ продолжались неск. десятилетий. Решения Халкидонского Собора поддерживали К., Эретский

(Херетский) католикос Абас (551/2–595/6) (глава Церкви в **Албании Кавказской**) и еп. Сюникский. К. сместил с кафедры Цуртавской епархии приверженца решений Двинских Соборов еп. Моисея, которого ранее, взойдя на престол католикоса, сам и хиротонисал. Арм. католикос Авраам I Албатанеци (606/7–610/5) «просил его кафедру» у К., т. е. вел переговоры о передаче Цуртавской епархии в ведение ААЦ. К. ответил отказом, «и углубились распри между ними». Следующий арм. католикос, Комитас I Алцеци (610/5–628), передал в ведение албан. католикоса 7 епархий и т. о. вернул Церковь в Албании Кавказской к монофизитству. Также он пожаловал епископу Сюникскому право ношения креста, возвратив его в лоно ААЦ (Там же. 1980. С. 78).

В «Книге посланий», где также повествуется о церковном разделении в Закавказье, собрана переписка между К. и участниками межцерковного спора. Важное место в тексте отводится еп. Цуртавскому Моисею и истории Цуртавской епархии, расположенной в Квемо-Картли (арм. Гугарк). Убедившись в приверженности К. к решениям Халкидонского Собора, еп. Моисей, названный во 2-м письме «епископом грузин», покинул епархию и перешел в Армению (Книга посланий. 1968. С. 2, 12, 15).

После самовольного ухода еп. Моисея из епархии последовала переписка К. с представителями ААЦ (католикосом Мовсесом II Еливандеци (574–604), наместником арм. католикоса Вртанесом Кердоллом, католикосом Авраамом I) и арм. светских властей (ставленником персид. шаха в вопросах упорядочения церковных дел в Армении Врканским марзпаном Смбатом Багратуни), где К. доказывал правомочность своей внутренней и внешней политики. Оппоненты обвиняли главу ГПЦ в притеснении еп. Моисея, в упразднении армяноязычного богослужения, установленного в Цуртави вмц. Шушаник, а также в приверженности К. к «ромеям (т. е. византийцам.- Авт.), которые приняли Халкидонский Собор» (Там же. С. 67). Особенно непримиримо выступал против позиции К. католикос Авраам I.

Однако К. убедил Смбата Багратуни в своей лояльности к Ирану, а также отверг обвинения в отмене арм. богослужения: «Мы богослужение (на арм. языке.- Авт.) не отменяли, но тот, кто поставлен (нами.- Авт.)



епископом, знает и грузинскую, равным образом и армянскую грамоту, и богослужение совершается на обоих языках» (Книга посланий. 1968. С. 70, 78; Ухтанес. 1975. С. 125, 153). Груз. историки считают, что К. ввел груз. богослужение в Цуртавской епархии (Джавахишвили) или лишь в той ее части, к-рая была населена 178 армянами (Алексидзе). Однако, по мнению груз. церковных историков, К. восстановил в регионе древнюю практику богослужения на груз. языке, что было ранее отменено под давлением персид. властей.

После продолжительной переписки с К. разочарованный своей неудачей католикос Авраам I издал окружное послание, обращенное ко всем армянам, в котором сообщил о разрыве с ГПЦ, выразил приверженность к монофизитству и осудил халкидонство, «достигшее Картли и Албании, где его приняли и укоренили. Кирион изгнал епископа Цуртавского из-за православной веры... восстав против нас, изменил армянское богослужение». Он советовал пастве не молиться с грузинами и албанцами, не делиться пищей, не связываться родственными узами: «Только торгуйтесь с ними, как с евреями» (Книга посланий. 1968. С. 120–122).


Предположительно в 614/6 г. проперсид. силы принудили К. оставить предстоятельство в ГПЦ. По мнению Алексидзе, после вынужденного отъезда из Картли К. возглавил Фасисскую митрополию (г. Фасис, ныне Поты), а затем стал патриархом Александрийским.

Совр. груз. историография оценивает деятельность К. как ключевую в сложившейся в данном регионе исторической обстановке: считается, что длительное противостояние К. монофизитству в один из наиболее сложных для правосл. Церкви периодов обусловило сохранение религ. и национальной идентичности груз. паствы региона, не подвергшейся арменизации и не перешедшей в лоно ААЦ, как это произошло с паствой Церкви в Албании Кавказской в VII–VIII вв. Митр. Анания (Джапаридзе). <https://www.pravenc.ru/text/1840497.html>

მე-6 საუკუნიდან სპარსეთი აქტიურად უჭერდა მხარს მონოფიზიტურ (ანტიბიზანტიურ) სომხურ ეკლესიას და პირიქით, სასტიკად დევნიდა ქალკედონურ ქართულ და ალბანურ ეკლესიებს, ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა მე-7 საუკუნიდანაც, არაბობის დროს.

VI-VII სს.

№ 65





გუგარქში, ქართლის სამეფოს არსებობის დროს, აღესრულებოდა

ქართული ღვთისმსახურება მეოთხე საუკუნიდან ვიდრე მეექვსე საუკუნემდე, როცა სპარსეთის ნებით გუგარქსა და ასევე მეზობელ ალბანეთში

ღვთისმსახურებისათვის სომხური ენის დანერგვა დაიწყო იმუამად სომხური ეკლესიის მომხრე სპარსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით.

ამ პრაქტიკის წინააღმდეგ კირიონმა ისევ აღადგინა გუგარქის ეკლესიაში ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ამის შესახებ აცნობა სპარსეთის ხელისუფლებას, თავის მართელების მიზნით, კერძოდ, რომ მას არაუკრძალავს სომხურენოვანი ღვთისმსახურება.

აქედანაც ჩანს, რომ გუგარქში სომხურენოვანი ღვთისმსახურება დაინერგა სპარსეთის იმპერიის ნებით, რომელმაც მერ საუკუნეში გააუქმა ქართლის სახელმწიფოებრიობა, დევნიდა საქართველოს ქალკელონურ ეკლესიას და ამიტომ, საქართველოში, მათ შორის გუგარქში მხარს უჭერდა სომხურ მონოფიზიტურ აღმსარებლობას, შესაბამისად, ავიწროებდა ქართულენოვან ღვთისმსახურებას და მის ნაცვლად ნერგავდა სომხურენოვანს არამხოლოდ ქართლში, არამედ ალბანეთშიც.

ქართველი მეცნიერები კი საბჭოთა კლიშეებიდან ვერ თავისუფლდებიან და კვლავ ამტკიცებენ, რომ გუგარქი სომხურენოვანი იყო და კირიონმა მისი ე.წ. „გაქართველების“ მიზნით იქ ქართული წირვა-ლოცვა შემოიღო.

საბჭოთა მეცნიერები საერთოდ არც კი ახსენებენ, ანდა თავს არიდებენ სტრაბონის ღირსშესანიშნავ ცნობას, რომ ისეთი ვრცელი ოლქები, როგორც იყო ხორძენა, პარიადრე და გოგარენა იბერიას ეკუთვნოდა და მხოლოდ ქრისტეშობამდე დაახლოებით 170 წელს ისინი მიიტაცეს არმენიელმა მეფეებმა.

ამასთან დაკავშირებით ისმის კანონიერი კითხვა, თუკი იბერია ისეთი დიდი ქვეყანა იყო, რომ ის მოიცავდა ისეთ შორეულ ოლქებს, როგორც იყო პარიადრე, ხორძენა და გოგარენა, ნუთუ

არ მოიცავდა შემდგომდროინდელ კახეთს, მის ქალაქებს, ბოდბესა და თელავს, რომელთაც ალბანეთს აკუთვნებს ზოგიერთი მეცნიერი.

საბჭოთა გამრუდებულმა ისტორიულმა გეოგრაფიამ დრმა ჩიხში შეიყვანა ქართული ისტორიოგრაფია.

ამის შედეგად, როგორც **საინტერნეტო გვერდებიდან** ჩანს, ზოგიერთი მეზობელი დაინტერესებული პირი პრეტენზიას აცხადებს საქართველოს მიწა-წყალზე, ოსები შიდა ქართლზე, აფსუები მთელ დასავლეთ საქართველოზე, სხვები კახეთსა და ქვემო ქართლზე, ქვემო ქართლსა და ჯავახეთზე, ინტერნეტგვერდებიდან ჩანს პრეტენზიები მთიანეთზე.

ქართიზაციის თეორიით დაჰიპნოზებული ქართველი მეცნიერების პასუხი არის დუმილი ანდა ნაძალადევი, მეჩხერი, აქა-იქ გამოქვეყნებული სტატიები. ამიტომაც კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ წყაროებს.

„ქართლის ცხოვრებისა“ და „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები კახეთის, კუხეთის, ჰერეთისა და კამბეჩანის შესახებ

„სომხური გეოგრაფია“, წყარო, რომელიც იწერებოდა სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, მე-7 საუკუნეში, წერს, რომ კამბეჩანი მდებარეობდა მდ. მტკვარზე.

წყაროს ეს ცნობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც ამუამად არასწორად მიიჩნევა, რომ თითქოსდა კამბეჩანი მდებარეობდა ალაზან-იორ-მტკვრის შუამდინარეთში.

კამბეჩანი მდებარეობდა იქ, სადაც მიუთითებს წყარო, მტკვარზე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამუამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, და არა ქიზიყში. ანუ, კამბეჩანი მდებარეობდა თანამედროვე ქიზიყზე უფრო სამხრეთით.

იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამუამად ქიზიყს უწოდებენ, მოქცევაი ქართლისაის



ცნობით, კახეთი ანდა კხოეთი ეწოდებოდა და არა კამბეჩანი.

მაშასადამე, მე-7 საუკუნის სომხური გეოგრაფია კამბეჩანს ათავსებს მტკვრის სანაპიროებზე და არა ამჟამინდელი ქიზიყის ადგილას – „Согласно «Армянской географии» VII века, Камбечан область Кавказской Албании, расположенная на реке Кура“

<http://wiki-org.ru/wiki/Камбисена>.

საერთოდ, ამჟამინდელი, ქიზიყი, რომელიც ძველად კხოეთად ანდა კუხეთად იწოდებოდა, კახეთის ანუ ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო, ხოლო, რაც შეეხება კამბეჩანს, უცხოური წყაროებით ის სომხეთის ქვეყნის ნაწილი იყო, ზოგჯერ კი ალბანეთისა და ესაზღვრებოდა იბერიას, აქედანაც ჩანს, რომ ამჟამინდელი ქიზიყი არ იყო ის ქვეყანა, რომელსაც სომხურ წყაროებში კამბეჩანი ერქვა. **სტრაბონს კამბისენა არმენიის ქვეყნად მიაჩნდა, რომელიც შემდეგ ალბანელების ხელში მოექცა.**

ასე რომ, არაფრითაა საინტერესო ქიზიყის კამბეჩანად დანახვა, ასეთი მოსახზრება, როგორც ჩანს, რუსმა მოხელე კ. განმა დანერგა პირველად, შესაძლოა, ერთ-ერთი ხელნაწერის არშიაზე არსებული მინაწერის გავლენით (Ган К. Ф. Опыт объяснения кавказских географических названий).

– Типография канцелярии Наместника его Императорского Величества на Кавказе., 1909. - с. 70), როცა მან კამბისენეს სახელი ქართულ სიტყვა კამეჩს დაუკავშირა.

სხვათა შორის კამეჩებისათვის უწყლო ქიზიყზე გაცილებით უკეთესი წყლიანი საძოვრები და თხელი ჭაობები იყო მტკვრის ხეობაში, რომელიც, როგორც ვთქვით, მინგეჩაურის წყალსაცავით დაიფარა და რომელსაც ჩვენ მივიჩნევთ ისტორიულ კამბეჩანად, აღნიშნულ წყაროზე, მე-7 ს. სომხური გეოგრაფიის ცნობაზე დაყრდნობით.

В IX веке Камбечан входил в состав армянского княжества Смбабянов, вассалов Багратидской Армении. Население региона к этому периоду было в основном армянским и армяноязычным.

<https://amp.info-about.ru/4401629/1/kambisena.html>

მე-9 საუკუნეში კამბეჩანი შედიოდა არან-შაქარცახის მფლობელ სმბატიანების მფლობელობაში, მისი მოსახლეობა, ამ კვლევით იყვნენ სომხები ანდა სომხურენოვანები.

აქედანაც ჩანს, რომ ეს კამბეჩანი არაა ქიზიყი. არამედ, როგორც ითქვა, ქვეყანაა მტკვარზე, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული.

როგორც ითქვა, კამბისინე, სტრაბონისა და სხვა ავტორების ცნობებით, არმენიის ქვეყანა იყო, რომელიც შემდეგ ალბანეთის ხელში გადავიდა, იბერია მას მხოლოდ ესაზღვრებოდა, კამბეჩანი იხსენიება ასევე, მე-9 საუკუნის სომხურ ქრონიკებშიც, მაგრამ არა როგორც იბერიის ნაწილი, არამედ როგორც ოლქი არცახ-რან-შაქის სომეხი მმართველებისა.

მაგრამ, რაც შეეხება ქიზიყში მოღვაწე სტეფანე ხირსელის ცხოვრებას, ნათლად ჩანს, რომ ის არა უცხო ქვეყანაში, არამედ ქართლში მოღვაწეობდა. მისი მაგალითი ამ ფაქტს აჩვენებს.

ის ქართლში მოღვაწეობდა, ამიტომ მისი სამოღვაწეო ამჟამინდელი ქიზიყი, მის დროს ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო, ამიტომ ამ წყაროს ცნობით, ქიზიყი არ შეიძლება, რომ კამბისენად, კამბეჩანად მივიჩნიოთ.

ქიზიყი კამბეჩანად მიიჩნიეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ხელნაწერში ნახეს არშიაზე მინაწერი, რომ კამბეჩიანი არის ქიზიყი, მაგრამ სინამდვილეში, კამბეჩანი მდებარეობდა ქიზიყის მეზობლად, როგორც ითქვა იქ, სადაც ამჟამად არის მინგეჩაურის წყალსაცავი.

გარე კახეთი, სადაც დავითგარეჯას მონასტრებია, ჰერეთის ნაწილად მიიჩნევა, რაც შეცდომაა, რომლის გამოკვლევაც მოცემულია ქვემოთ, გარე კახეთი დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, აქაა უჯარმა, ხაშმის სამება, ნინოწმიდის ეკლესია, რაც მთავარია, დავითგარეჯას მონასტრები, ეს მიწა-წყალი იყო ისტორიული კუხეთი და კახეთი, როგორც, წყაროში, ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია – კუხეთსა და კახეთს ერთმანეთისაგან ყოფდა გომბორის ქედი (რომელსაც წყაროში „კახეთის მთა“



ეწოდება), შესაბამისად, კუხეთი მდებარეობდა გომბორის ქედსა და მტკვარს შორის, ხოლო კახეთი მდებარეობდა გომბორის ქედსა და კავკასიის ქედს შორის.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, კუხეთი მდებარეობდა გომბორის ქედსა და მტკვარს შუა, ხოლო კახეთი მოიცავდა მიწა-წყალს გომბორის ქედსა და კავკასიის ქედს შორის.

ჰერეთი კახეთ-კუხეთის სამხრეთით მდებარეობდა და სასაზღვრო ხაზი მათ შორის მდინარე გიშისწყალთან გადიოდა.

ჰერეთი, წყაროს ცნობით, იწყებოდა იორ-ალაზნის შესართავთან.

ჰერეთსა და კახეთს შუა გამდინარე გიშისწყალი, იქვე, ახლოს, კავკასიის ქედიდან, ტყეტბა-გულგულასთან გამოედინებოდა და ალაზნის უერთდებოდა.

ამჟამად, გიშისწყალს ეწოდება აგრინაი, ისაა ალაზნის უმთავრესი შენაკადი, რომელსაც იერთებს ალაზანი და ახლოს ერთვის მტკვარს, დიდ ვაკეზე, რომელსაც პლინიუსიც ახსენებს.

გიშისწყალი ალაზნთან შეერთების შემდეგ უნდა იყოს ის მდინარე ოკაზანი, რომელიც პლინიუსის ცნობით, კავკასიის ქედზე იღებდა სათავეს, ასევე, გიშისწყალიც შექთან ახლოს კავკასიის ქედზე იღებს სათავეს, ამჟამინდელი აზერბაიჯანის ოგუზის (ვართაშენის) რაიონის სოფელ ფილფილასთან და ხალხალთან ახლოს. ამ სათავესთან უნდა ვეძიოთ ლეონტის მიერ ნახსენები ტყეტბა-გულგულა, ჰერეთის სასაზღვრო წარტილი.

მაშასადამე, ჰერეთს ჰქონდა ორი სასაზღვრო წერტილი, იორ-ალაზნის შესართავი, და იქვე, ახლოს, დაახლოებით 60–70 კილომეტრში მდებარე ტყეტბა-გულგულა, ანუ თანამედროვე სოფელი ფილფილი (იქვე, ხალხალი).

ჰერეთის საზღვარს კახეთთან ამ ორი წერტილის შეერთებით მიღებული ხაზი ქმნიდა. მართლაც, შემდეგ საუკუნეებში, როგორც აღინიშნა, კახეთის სამეფოს საზღვარი მე-17 საუკუნემდე, სწორედ ამ ხაზზე გადიოდა, კერძოდ, იორ-ალაზნის შესართავიდან, აჯინოურის ტბის გავლით, ვიდრე ფილფილამდე.

სხვათა შორის, სოფელ ფილფილთან მდებარე ქედს იქაური მკვიდრები „გურჯი-დაღს“ უწოდებდნენ და საქართველოს ძველ საზღვრად თვლიდნენ, რაც უკვე აღინიშნა.

აღსანიშნავია, რომ გიშისწყალთან ახლოს მდებარე მეორე მდინარე ალიჯანჩაიც გიშისწყლის სათავესთან ახლოს გამოედინება კავკასიის მთიდან და იქვე, ახლოს მტკვარს ერთვის დიდ ვაკეზე, სწორედ ისევე, როგორც ამას აღწერს პლინიუსი, მდინარე ოკაზანის დახასიათებისას.

ეს მდინარეც (ალიჯანჩა) კავკასიის მთებში გამოედინებოდა და დაბლობში უერთდებოდა მტკვარს, ის იყო საზღვარი იბერიასა და ალაბანეთს შორის.

მაშასადამე, ორი ერთმანეთის მოსაზღვრე მდინარე გიშისწყალი და ალიჯანჩაი შეეესაბამება პლინიუსის ცნობას იბერია-ალბანეთის საზღვართან დაკავშირებით.

ალიჯანჩაი, საერთოდ, დიდხანს იყო საზღვარი კახეთის სამეფოსი. „Первое кахетинское царство. В состав королевства входили территории от Ксани (западная граница) до реки Алиджанчай (восточная граница)“

https://ru.wikipedia.org/wiki/Первое_кахетинское_царство

მაშასადამე, VIII-XI საუკუნეებში კახეთის „პირველი სამეფოს“ საზღვარი ჰერეთთან იყო მდინარე ალიჯანჩაი, ახლოს მდ. გიშისწყალთან, ხოლო ჰერეთი იყო იგივე შაქის რეგიონი, რომელიც შაქის სამეფოდ ჩამოყალიბდა. В 822 году армянский князь Шеки Сахл Смбабян установил свою власть над всей территорией Аррана.

На территории Аррана существовали города **Барда, Байлакан, Гянджа и Шамкир.**

Река Аракс являлась границей между Азербайджаном и Арраном.

С IX-X веков под Арраном источники понимали преимущественно степную зону **междуречья Куры и Аракса, то есть Мильскую степь.**

[https://ru.wikipedia.org/wiki/Арран_\(область_в_Закавказье\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Арран_(область_в_Закавказье))



**ქართველი დედოფლების როლი
ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ
ცხოვრებაში – დედოფალი მარიამი**

მაია ქუთათელაძე

ერთიანი საქართველოს დედოფლების ცხოვრება, მათი აქტიური თუ პასიური მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, არასდროს გამხდარა განსაკუთრებული კვლევის საგანი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული ნაშრომი. ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტს ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი I-ის (1014–1027 წწ.) თანამეცხედრის, ბაგრატ IV-ის (1027–1072 წწ.) დედის, დედოფალ მარიამის მოღვაწეობის წარმოჩენა წარმოადგენს. მარიამი სათავეში ედგა დიპლომატიურ მისიას კონსტანტინოპოლში, რომელსაც ბიზანტიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით მშვიდობის დამყარება, მეფე ბაგრატ IV-ისათვის კურაპალატის პატივის მოპოვება, ბაგრატსა და ბიზანტიის მმართველ ელიტას შორის დანათესავება ევალებოდა. ამ ელჩობის წარმატებით დასრულებას ერთხმად ადასტურებენ ქართული და ბიზანტიური წერილობითი წყაროები. დედოფალი აქტიურად იკვეთება საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის კიდევ ერთ ეპიზოდში. საქმე ეხება XI საუკუნის 40-იან წლებში ანისის სომხური სამეფოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ბიზანტიელების მხრიდან ანისის სამეფოს გაუქმებას, ანისის „ქალაქის უხუცესების“ მხრიდან ქალაქის მეფე ბაგრატ IV-ისა და მისი დედის მარიამისათვის გადაცემა მოჰყვა. დედოფალმა მარიამმა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია ათონის ივერთა ქართულ მონასტერს ბიზანტიაში. იმპერატორ კონსტანტინესთან შუამდგომლობის შედეგად, მონასტერს პრივილეგიები დაუგინეს და გადასახადებისგან გაათავისუფლეს. ამასთან, დედოფალმა საკუთარი თანხებიც შესწირა ამ უმნიშვნელოვანეს ქართულ საგანს.

საქართველოს დედოფლის მარიამის ეპოქა, როგორც მეფე გიორგი I-ის მეუღლის, ასევე ბაგრატის IV-ის დედის რან-

გში, ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირებითაა გამორჩეული. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებს შორის XI საუკუნე ყველაზე მძიმე და დრამატული აღმოჩნდა. X საუკუნის ბოლოს, ბიზანტიის მიერ დავით III კურაპალატისთვის დროებით, მის სიცოცხლეში მფლობელობისთვის გადაცემული ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“ მთელი მომდევნო საუკუნის განმავლობაში საქართველოსა და ბიზანტიის სახელმწიფოებს შორის მწვავე დაპირისპირების მიზეზად იქცა. დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ დაწყებული ეს უთანხმოება მეტ-ნაკლები სიმძაფრით ბაგრატ IV-ის მეფობის ხანაშიც გაგრძელდა. ბიზანტიასთან დაპირისპირება გამორჩეულად ტრაგიკული აღმოჩნდა ბაგრატის IV-ის მამის გიორგი I-ისათვის. საომარი მოქმედებები საქართველოს მეფე გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს შორის ზავით დასრულდა. გაფორმებული ზავის თანახმად, დამარცხებულმა ქართველმა მეფემ კეისარს გადასცა დავით კურაპალატის სამფლობელოები ტაოს, ბასიანს, კოლა-არტანსა და ჯავახეთს, ამასთანავე მცირეწლოვანი უფლისწული ბაგრატი 3 წლით ბიზანტიაში გააგზავნა (**საქართველოს ისტორია 2012: 328**).

მცირეწლოვანი ბაგრატის გამეფებისთანავე, ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ საქართველოსკენ მრავალრიცხოვანი ჯარი დაძრა, მოაოხრა სამხრეთ საქართველოს ის ტერიტორიები, რომელიც მანამდე ბასილ II-ს ჰქონდა დარბეული. თრიალეთში შეჭრილ ლაშქარს კლდეკარის ციხესთან კლდეკარის ერისთავმა რატი ბაღვაშია მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, შეაკავა და უკან დახევა აიძულა. ბიზანტიელთა მხარეს ტაო-კლარჯეთის დიდაზნაურთა ნაწილი გადავიდა, რითაც მომხდურებს საქმე გაუადვილდათ. სამაგიეროდ, იყვნენ ქვეყნისა გაერთიანება-გაძლიერების მომხრეებიც, ვინც წინ აღუდგნენ მოღალატეთა ძირგამომთხრელ საქმიანობას. ასეთები იყვნენ ტბეთის ეპისკოპოსი საბა მტბევალი და დიდაზნაური სტეფანე მტბევალი. მათი ძალისხმევით, ადგილობრივი მოსახ-



ღეობისგან შემდგარი ჯარითა და მეფის ერთგული აზნაურთა ლაშქრით შავშეთის ბერძენთა მიტაცებისგან დაცვა მოხერხდა. ქართველთა თავგანწირული წინააღმდეგობის გამო, მტერმა ქვეყნის სიღრმეში შეჭრა ვერ შეძლო. 1028 წელს გარდაიცვალა იმპერატორი კონსტანტინე და ქვეყანას მცირე ხნით ამოსუნთქვის საშუალება მიეცა.

XI–XII საუკუნეების ბიზანტიელი ავტორის გიორგი კედრენეს თანახმად, ქართველთა და ბიზანტიელთა შორის შეუწყვეტელი ომიანობის მოსახსობად, რაკი სხვა საშუალება არ მოიძებნებოდა, მეფე ბაგრატმა კონსტანტინოპოლში ელჩობის გაგზავნა და ბიზანტიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით მშვიდობის დამყარება განიზრახა. ამ მიზნით 1031 წელს ბაგრატმა ბიზანტიაში დიდი ელჩობა გაგზავნა, რომელსაც მისი დედა მარიამი ედგა სათავეში. ამ ამბების თანამედროვე ორი ქართველი ისტორიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მარიამის ელჩობას. XI საუკუნის ავტორი სუმბატ დავითის ძე თავის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ წერს: „დედოფალმან მარიამ შეიმოსა სიმხნე და ახოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა“ (სუმბატ დავითის ძე 1955: 386). ეს 1030–1031 წლებში უნდა მომხდარიყო.

ამავე ინფორმაციას იმეორებს მეორე ქართველი ისტორიკოსი, XI საუკუნის „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორი: დედოფალი მარიამი კეისართან წასული იყო საქართველოსთვის „ძებნად მშვიდობისა და კუალად ძებნად პატივისა კურაპალატობისასა ძისა თვისისა ბაგრატისათვის და მისთვისვე მოყვანებისა თვის ცოლისა“ (მატიანე 1955: 256).

როგორც წყაროდან ირკვევა, ქართველთა ელჩობის მიზეზად სამი საკითხია დასახელებული: საქართველოსა და ბიზანტიას შორის „მშვიდობისა და ერთობის“ მიღწევა, მეფე ბაგრატისათვის კურაპალატის პატივის მოპოვება, ბაგრატსა და ბიზანტიის მმართველ ელიტას შორის დანათესავება. ცნობილია, რომ მეფე ბაგრატი უკვე დიდი ხანია ფლობდა მაგისტროსის ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს. ბიზანტიელი მემატიანის გიორგი კედრენეს სიტყვებით, ეს პატივი ბაგრატს ჯერ კიდევ 1023 წელს ჰქონდა ნაწყალობევი, როდესაც იგი კონსტანტინოპოლში მძევლად ნამყოფი შინ გამოუშვეს (კედრენე 1963: 55). წყაროდან ჩანს, რომ ქართველ მეფეს მხოლოდ კურაპალატობა აკლდა.

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ თავისი მოციქულობა და განზრახვა მარიამ დედოფალს ბრწყინვალედ შეუსრულებია (ჯავახიშვილი 1983: 139). ქართული წყაროს თანახმად, ბიზანტიის კეისარმა დედოფალს „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით, მისცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვის დაუწერა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატის თვის ელენე დედოფალი (მატიანე ქართლისა 1955: 256-257). ბიზანტიელი უამთააღმწერელი გიორგი კედრენე ელენეს ბაგრატზე გათხოვების თარიღად 1029-1030 წლებს ასახელებს და ქართველი მემატიანის ცნობის რიგ დეტალებს ადასტურებს: „მეფემ (იმპერატორმა) მისი (დედოფლის) თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმისწული ელენე, თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი, აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ, ხოლო სასიძო ბაგრატი კურაპალატობის რანგში აღაზვეა“ (კედრენე 1963: 56-57). ამგვარად, დედამ თავის შვილს თანამეცხედრე მოჰგვარა და ქვეყანას მშვიდობა მოუტანა. დაწიოკებული და ხშირი ომებით მოქანცული ქვეყნისთვის კეისრის მოყვრობა და მეგობრობა ნამდვილი ხსნა იყო.

საქართველოს სამეფო კარის დღეგაცია ბიზანტიაში რამდენიმე თვე გაჩერდა. ნიშანდობლივია, რომ არც მატიანეს



ავტორი და არც სუმბატ დავითის ძე არ ასახელებენ ამ დიპლომატიური მისიის წევრებს. უდავოა, რომ საქართველოს დედოფალს მისი პატივისა და შესასრულებელი მისიის შესაფერისი ამაღლა უნდა ჰყოლოდა. ნ. ბერძენიშვილი დელეგაციის შემადგენლობაში მელქისედეკ კათალიკოსსაც ასახელებს (**ბერძენიშვილი 1967: 43-45**). ამის საბუთად მეცნიერს მიაჩნია „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისული ნუსხა, სადაც მატიანეს ამ ჩვენებას წინ დართული აქვს ჩანართი, რომელიც ამოღებულია მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილიდან“: „წარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კონსტანტინოპოლედ. შეიწყნარა მისცა შესამკობელი ეკლესიათანი, ხატნი და ჯვარნი, სამღვდელმთაფრო და სამღვდლო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსავე თვისსა“ (**მატიანე ქართლისა 1955: 294**). როგორც ჩანს, მცხეთის საბუთის ამ ცნობის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილი და „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორები მიიჩნევენ, რომ კონსტანტინოპოლში საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებებს ბაგრატ მეფის დედა მარიამ დედოფალი და მელქისედეკ კათალიკოსი აწარმოებდნენ (**ნარკვევები 1979: 183**). ამგვარი თვალსაზრისი ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერაა გაზიარებული.

საქართველოს დელეგაცია ბიზანტიიდან პირდაპირ ამიერტაოსაკენ გამოემართა, სადაც ბანას ტაძარში ბაგრატ IV-სა და ელენეს დიდი ქორწილი გადაუხადეს. როგორც უცნობი ქართველი მემკვიდრე წერს: გახარებულმა დედოფალმა მარიამმა თავის შვილს „აღუსრულა ქორწილი, უკურთხნეს გვირგვინნი“ ბანას დიდებულ ტაძარში (**მატიანე ქართლისა 1955: 257**). ბიზანტიიდან ჩამობრძანებულ ელენე დედოფალს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული კვალი არ დაუტოვებია. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მას დიდხანს არ უცოცხლია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტახტის მემკვიდრე არ დაუტოვებია.

დედოფალ ელენეს შესახებ ქართულ წყაროებში არსებულ მწირ ინფორმაციას

გარკვეულწილად ვახუშტი ბატონიშვილი ავსებს, ოღონდ უკვე XVIII საუკუნეში. ვახუშტი მოგვითხრობს: კეისარმა აღუსრულა სათხოველი, მისცა ელენე ასული თვისი ცოლად ბაგრატს, სამსჭუადი უფლისა და ხატი იქონისა და საუნჯე მრავალი ზითვად“ (**ვახუშტი 1973: 312**). საქართველოს სამეფო კარზე არსებული ტრადიციით, ელენე დედოფალთან ყოფილა დაკავშირებული იქონის სასწაულმოქმედი ხატის საქართველოში ჩამობრძანება. ჯ. სამუშიას თანახმად, მართალია, აღნიშნული ცნობა შედარებით მოგვიანო ხანას ეკუთვნის, მაგრამ ეს გადმოცემა საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის თვალსაზრისით (**სამუშია 2018: 48**). როგორც ირკვევა, ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III-ის ძმისწულს, ელენე ბასილის ასულს, საქართველოში მრავალრიცხოვანი მზითვი გამოატანეს. ამ ძვირფას ნივთებს შორის სახელდება ქრისტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიქვია – მარიამ ღვთისმშობლის სარტყელი. აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებში საქართველოს ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყნადაც მოიხსენიებდნენ. ამის შესახებ საინტერესო კვლევა ეკუთვნის ნ. ხაზარაძეს (**ხაზარაძე, მინდაძე 2008: 116-119; ხაზარაძე 2014: 104-110**).

საქართველოს დედოფალი მარიამი აქტიურად იკვეთება საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის კიდევ ერთ ეპიზოდში. საქმე ეხება XI საუკუნის 40-იან წლებში ანისის სომხური სამეფოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. 1045 წელს ბიზანტიელებმა ანისის სომხური სამეფო გააუქმეს და ბიზანტიას შეუერთეს. შემოთოტებულმა სომხებმა, კონკრეტულად, ანისის „ქალაქის უხუცესებმა“ ქალაქი ბაგრატ IV-ს გადასცეს (**მატიანე ქართლისა 1955: 299**). სომხეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროქართული ორიენტაცია ნაწილობრივ ბაგრატის დედის მარიამის სომხური წარმოშობით იყო განპირობებული. ცნობილია, რომ დედოფალი მარიამი სომეხთა სამეფო საგვარეულოების – არწრუნებისა და ბაგრატუნების შთამომავალი იყო. მისი მამა სენერექიმი



ვასპურაკანის ბოლო მეფე იყო. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, რომ ანისის დაცემამდე რამდენიმე ხნით ადრე ქალაქში უკვე იმყოფებოდნენ საქართველოს მეფის მიერ წარგზავნილი დიდებულები, რომლებიც, როგორც ცნობილია, თავად ანისელთა მიწვევით ჩავიდნენ. მემატინე დასძენს: „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედას, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი – სენაქერემ სომეხთა მეფის ასული იყო მარია დედოფალი, ბაგრატის დედა“. საქართველოს დედოფალი ანისში დიდი ამალის თანხლებით გაემგზავრა. კონსტანტინოპოლში წასული გაგიკ II-ის შემდეგ, მარიაში სომხეთის სამეფო ტახტზე ერთ-ერთი კანონიერი მემკვიდრე იყო. მარიამის დედა სომეხი ბაგრატუნების შთამომავალი, კონკრეტულად, გაგიკ I ბაგრატუნის შვილი იყო. აქედან გამომდინარე, მარიამსაც ჰქონდა უფლება ანისის ტახტზე პრეტენზია განეცხადებინა.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, მარიამს საქართველოში გადედოფლების შემდეგაც არ შეუწყვეტია სამშობლოსთან კავშირი, განსაკუთრებით კულტურის სფეროში. მან მონაწილეობა მიიღო ცნობილი სამონასტრო კომპლექსის მარმაშენის აღმშენებლობაში, რომელსაც არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი ქალაქ მარიამ ნეშინს (მარიამის რეზიდენციას) უწოდებს. მონასტერზე გაკეთებული წარწერა მარიამი თავის თავს „აფხაზთა და სომეხთა დედოფალს“ უწოდებს და ხაზს უსვამს გაგიკ I ბაგრატუნთან ნათესაურ კავშირს: „მე, მარიამმა, აფხაზთა და სომეხთა დედოფალმა, ასულმა დიდი სენერეკიმისა და შვილიშვილმა დიდი გაგიკისა, მოვეცი ტარუსი წმ. მარმაშენის ამობას...“ (სამუშაო 2018: 97).

ანისის „ქალაქის უხუცესების“ მხრიდან განხორციელებული ამ აქტის შედეგად, საქართველოს სამეფოს შირაქის სამეფოს ვრცელ მიწა-წყალზე მიუწვდებოდა ხელი. მეფე ბაგრატის მეციხოვნეები და მოხელეების ანისში დედოფალ მარიამთან ერთად შევიდნენ. ეს ფაქტი აღმოსავლეთში ბიზანტიური პოლიტიკის სერიოზული მარცხი იყო. თუმცა საქართ-

ველოს მეფე ბაგრატმა ვერ მოახერხა შეენარჩუნებინა ანისი ერთი ზაფხული მაინც. მეფესთან დაპირისპირებულმა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა, სავარაუდოდ ბიზანტიის საიმპერატორო კარის დაკვეთით, ლაღატით შეიპყრო ქალაქ ანისის მმართველად და დამცველად დატოვებული მეციხოვნეები. ამის შემდეგ სომხეთის კათალიკოსმა პეტროსმა ქალაქი ბიზანტიელებს გადასცა.

ქართული და ბიზანტიური წყაროების თანახმად, გიორგი მთაწმინდელის თხოვნით, ბიზანტიაში მყოფმა მარიამ დედოფალმა და მეფე ბაგრატ IV-მ სერიოზული ფინანსური პრობლემა მოუგვარეს ათონის ივერთა ქართულ მონასტერს. საქმე ეხება მონასტრისთვის შექმნილ რთულ ვითარებას, რომელიც იმპერატორ IX კონსტანტინე მონომახის ახალ საგადახადო პოლიტიკას მოჰყვა. კონსტანტინემ ცარიელი სამეფო ხაზინის შევსება გამკაცრებული ფისკალური კანონით განიზრახა, რაც ითვალისწინებდა ეკლესიამონასტრებისათვის შეუვალობის წართმევას იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წარმოადგენდნენ პრივილეგიის დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტს. კედრენეს თანახმად, მეფე „უმართებულო და გამოგონილ გადასახადებს ადებდა ხალხს. ჩააყენა უღვთო და უწმინდური გადასახადის ამკრეფები და მათი მეშვეობით აგროვებდა ფულს უსამართლო წყაროებიდან (კედრენე 1963: 65).

იბერიის თემისა და მათ შორის ათონის ქართული მონასტრის კუთვნილი მამულები დაბეგვრას დაექვემდებარა. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ავტორი გიორგი მცირე (ხუცეს მონაზონი) აღწერს ამ ეპიზოდს და აღნიშნავს, რომ თავად ეკლესიის მესვეურები შეეცადნენ პრობლემის იმპერატორთან მოგვარებას. 1052–1053 წლებში კონსტანტინოპოლში საქართველოს მეფე ბაგრატ და მისი დედა მარიამი იმყოფებოდნენ და გიორგი მთაწმინდელმაც თავისი ვიზიტი სწორედ ამ დროს დაამთხვია. სამეფო ოჯახმა მონასტრის წინამძღვარი პატივით მიიღო და იმპერატორის წინაშე ქართველი ბერე-



ბის დასახმარებლად იშუამდგომლა. მეფე ბაგრატმა და დედოფალმა მარიამმა მონასტრის ბიზანტიის იმპერატორისგან მონასტრისათვის დაკისრებული ფიქსირებული გადასახადი გამოეთხოვათ და მისთვის მიცემული ახალი პრივილეგიები საგანგებო ბრძანებით დაედასტურებინათ. ამას გარდა, იმპერატორმა კონსტანტინემ დედოფალ მარიამს განუწესა ყოველწლიური საბოძგარი, მარიამმა კი ეს თანხა მონასტერს შესწირა. გიორგი მცირის თხზულების გარდა, ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია დაცულია ივირონის მონასტრის სააღაპე წიგნში (**სამუშია 2018: 170–172**).

დედოფალმა მარიამმა ხანგრძლივი ცხოვრება განვლო. იგი თავისი ძის, 56 წლის მეფე ბაგრატ IV-ის სიკვდილსაც მოესწრო. „მატიანე ქართლისას“ ავტორის თანახმად, მომაკვდავმა მეფემ თავის უბედურ დედას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიდეს შინა და ეგრეთ-ღა შენ მოჰკვდებიო“ (**მატიანე ქართლისა 1955: 277**). ეს 1072 წელს მოხდა. ამის შემდეგ მარიამ დედოფლის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობები აღარ გვხვდება.

ამრიგად ირკვევა, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველი დედოფლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შორისაა ბაგრატ IV-ის დედა, მარიამი. იგი გამორჩეული დედოფალია ერთიანი საქართველოს ისტორიაში. მარიამის სახელთანაა დაკავშირებული მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, ზავის გაფორმება და ქვეყანაში სანუკვარი მშვიდობის დამყარება. მარიამის დროს განხორციელდა ანისის სომხური სამეფოს საქართველოსთან შემოერთება, რასაც წინ უძღოდა ანისის „ქალაქის უხუცესების“ მხრიდან ქალაქის მეფე ბაგრატისა და მისი დედისთვის – მარიამისათვის გადაცემა. მართალია, ეს საქართველოს ისტორიის ხანმოკლე ეპიზოდია, მაგრამ ამან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქვეყნის მზარდ პოლიტიკურ გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. დედოფალმა მარიამმა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია ათონის ივერთა ქართულ მონასტერს ბიზანტიაში, დაეხმარა პრივილეგიების მინიჭების ხარჯზე ახალი გადასახადებისგან გათავისუფლებაში და თავადაც შესწირა საკუთარი თანხები, რითაც აქ მოღვაწე ქართველ ბერებს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

რიამმა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია ათონის ივერთა ქართულ მონასტერს ბიზანტიაში, დაეხმარა პრივილეგიების მინიჭების ხარჯზე ახალი გადასახადებისგან გათავისუფლებაში და თავადაც შესწირა საკუთარი თანხები, რითაც აქ მოღვაწე ქართველ ბერებს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. **ბერძენიშვილი 1967:** მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967
2. **ვახუშტი 1973:** ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973
3. **კედრენე 1963:** კედრენე, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1963
4. **მატიანე ქართლისა 1955:** მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955
5. **სამუშია 2018:** ჯ. სამუშია, საქართველო მეფეები, ბაგრატ IV, თბ., 2018
6. **საქართველოს ისტორია 2012:** საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტ. II, თბ., 2012
7. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1979:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979
8. **სუმბატ დავითის ძე 1955:** სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955
9. **ხაზარაძე, მინდაძე 2008:** ნ. ხაზარაძე, ნ. მინდაძე, ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბ., 2008
10. **ხაზარაძე 2014:** ნ. ხაზარაძე, ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო



ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, N8, თბ., 2014

11. ჯავახიშვილი 1983: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983

THE ROLE OF THE BAGRATID QUEENS IN THE POLITICAL LIFE OF MEDIEVAL GEORGIA - QUEEN MARIAM

Maia Kutateladze

Throughout the centuries, the Georgian queens played an essential role in the political life of the Georgian states. This time, the subject of my inquiry is queen Mariam, the wife of king Giorgi I (r. 1014-1027) and queen-regent and mother of king Bagrat IV (1027-1072). Queen Mariam traveled to Constantinople during the minority of Bagrat IV. The purpose of her diplomatic mission to the imperial capital was to strike a peace deal with the empire, secure the high-ranking Byzantine court title of kouropalatēs for her son Bagrat and arrange inter-dynastic marriage between the Argyroi and the Bagratid families. The Georgian and Byzantine narrative accounts attest to the success of her diplomatic mission in Constantinople.

Queen Mariam also features as an essential political actor in the 1040s, when the Byzantine empire tried to annex the kingdom of Ani. The citizens of Ani appealed for help to the Bagratid royal court and decided to hand the city to Bagrat and his mother, Mariam.

During her visit to Constantinople, Queen Mariam donated a large sum of money to the Iviron monastery. Besides, she persuaded emperor Konstantinos IX Monomachos to renew old privileges granted to the monastery in the past and grant Iviron text exemption.

მიწისძვრიდან 30 წლის შემდეგ
ანუ კიდევ ერთხელ რაჭის 1991 წლის
მიწისძვრის შესახებ

*ნუგ ზარ (ზაზა) იაშვილი,
ქეთევან მახაშვილი*

საქართველოს საინჟინრო აკადემია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ოცდაათი წლის წინ, 1991 წლის 29 აპრილს, ჩვენს ქვეყანაში, რაჭა-იმერეთის რეგიონში მოხდა 6,9 ამპლიტუდის ძაღის მქონე მიწისძვრა. იგი გაგრძელდა შედარებით დიდ ხანს. მიწისძვრამ მოიცვა შვიდი ადმინისტრაციული ერთეული: ამბროლაურის, ონის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ჭიათურის და საჩხერის რაიონები. დაინგრა ათასობით საცხოვრებელი სახლი, საავადმყოფოები, სკოლები, მეწვერებმა მიწაში ჩაფლო სახლები. მიწისძვრა დაფიქსირდა 9 სთ-სა და 12 წუთზე გრინვიჩის დროით.

საქართველოში დაფიქსირებული მიწისძვრებიდან ყველაზე ძლიერად სწორედ ეს მიწისძვრა ითვლება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შორეულ წარსულში, 1283 წლის სამცხე-ჯავახეთის მიწისძვრაც კი, რომელმაც ვარძიის ათ იარუსზე მეტი ჩამოანგრია, თავისი მასშტაბით ამაზე ძლიერი არ უნდა ყოფილიყო.

რაჭის მიწისძვრის ე.წ. ჰიპოცენტრი იყო ღრმაკეროვანი - 17 კმ-ის სიღრმის. მისი ეფექტი დედამიწის ზედაპირზე 8-9 ბალით განისაზღვრა. მიწისძვრამ დაახინა 46 000 შენობა. მსხვერპლი 270 ადამიანი იყო.

მიწისძვრას მოჰყვა დიდი რაოდენობით აფთერშოკები. მათგან ზოგიერთი იყო საკმაოდ ძლიერი და დამატებითი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი ბიძგები რამდენიმე თვე მეორდებოდა, მათ შორის ყველაზე ძლიერი 1992 წლის 23 ოქტომბერს, ბარისახოში დაფიქსირდა, მაგნიტუდით 6,4



ძირითადი ნაწილი

როგორც სეისმოლოგები განმარტავენ საქართველოს ტერიტორია, როგორც კავკასიის სეისმური რეგიონის განუყოფელი ნაწილი, ალპურ-ჰიმალაურ სეისმოაქტიურ სარტყელს მიეკუთვნება. ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მოსალოდნელი მიწისძვრების სიძლიერით და უარყოფითი შედეგებით, ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია და 7-9 ბალიანი მიწისძვრების რისკის ზონაშია მოქცეული.

საქართველოში ცნობილია ჯერ კიდევ 1088 წელს, დავით აღმაშენებლის გამეფების პერიოდში ჯავახეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა, რომელიც თმოგვის მიწისძვრის სახელითაა ცნობილი. ასევე, ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ვარძია.

ვიციტ, რომ მიწისძვრას უმრავლეს შემთხვევაში თან სდევს მის მიერ პროცირებული სხვა სტიქიური მოვლენები: მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, ცუნამი, ხანძარი და სხვა. სხვანაირად რომ ვთქვათ მიწისძვრა არის ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის რხევა. მიწისძვრების უმრავლესობა სუსტია, ხშირად შეუმჩნეველია ადამიანებისათვის და არანაირ ზიანს არ იწვევს. ზოგი მათგანი კი იწვევს დიდ ნგრევას, რასაც ხშირად ახლავს მსხვერპლი. როგორც ვიციტ მიწისძვრის სიძლიერე რისტერის სკალით იზომება. მიწისძვრა ძირითადად, ტექტონიკური პროცესებით არის გამოწვეული. მიწისძვრის კერა დედამიწის წიაღის იმ უბანს წარმოადგენს, სადაც ქანებში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ენერჯის განტვირთვა ხდება. მიწისძვრის სიძლიერე მაგნიტუდით (ტალღების საერთო ენერჯით) და ბალეებით ფასდება. ბალის სიდიდე კერის სიღრმესა და მაგნიტუდაზეა დამოკიდებული.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური ზონები ნაჩვენებია ნახ.1-ზე.



ნახ.1. საქართველოს სეისმური ზონები



ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მოსალოდნელი მიწისძვრების სიძლიერით და თანამდები უარყოფითი შედეგებით, რთული რეგიონია. თუმცა, ჩვენთან არ არის მოსალოდნელი ისეთი მძლავრი მიწისძვრები, როგორც შეიძლება მოხდეს ცეცხლოვანი რკალის ზონაში.

სხვადასხვა წყაროებიდან საქართველოში მომხდარი ცნობილი მძლავრი მიწისძვრები მოტანილია ცხრილში

საქართველოში მომხდარი მიწისძვრები

წელი	მიწისძვრის ეპიცენტრი	მიწისძვრის ძალა	შენიშვნა
1089	სამხრეთ საქართველო	–	აღდგომა დღეს
1283	ქ. თბილისი	–	დამანგრეველი
1318	ქ. თბილისი	–	ძლიერი
1899	ქ. ახალციხე	8,0	–
1920	ქ. გორი	7,0	–
1930	სამეგრელო-ზემო სვანეთი	7,0	–
1940	სოფელი ტაბაწყური	–	–
1947	სოფელი ბარისახო	–	–
1951	მთა თუშეთი	–	–
1955	ზემო სამეგრელო	7,0	–
1957	ქ. მარტვილი	8,0	–
1958	სოფელი აჩიგვარა	7,0	–
1959	აჭარა-გურია	7,0	–
1963	სოფელი ჩხალთა	9,0	–
1978	ქ. დმანისი	–	–
1991	რაჭა-იმერეთი	9,0	
2002	ქ. თბილისი	7,0	
2017	ქ. სიღნაღი	5,1	
2018	საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი	5,7	



1920 წლის 20 თებერვალს დიდი მიწისძვრა მოხდა საქართველოში, რომლის ეპიცენტრიც ქალაქ გორში დაფიქსირდა. პირველი ბიძგი ღამით 02:55 საათზე აღინუსხა, ხოლო განმეორებით – 14:45 საათზე. რისტერის სკალით მიწისძვრის მაგნიტუდა 6,2 ერთეულს შეადგენდა, ხოლო მერკალის სკალის მიხედვით ინტენსივობა ეპიცენტრში 8–9 ბალს უტოლდებოდა. ყველაზე ძლიერი, 9 ბალიანი ბიძგები აღირიცხა გორიდან 3 კილომეტრში მდებარე სოფელ ხიდისთავში.

ღამის ბიძგს გორში დიდი ნგრევა არ მოჰყოლია, ხოლო განმეორებითმა მიწისძვრამ კი ქალაქი გორი, ფაქტობრივად, მთლიანად დაანგრია. ქალაქ გორში მიწისძვრის სიმძლავრე 8 ბალს შეადგენდა, ისევე, როგორც გორის მაზრის სხვას სოფლების უმრავლესობაში. ამავე დროს ბიძგები მთელი საქართველოს მასშტაბით იგრძნობოდა. თბილისში მისი სიმძლავრე 6 ბალს შეადგენდა, ხოლო ბათუმსა და ფოთში – 5 ბალს.

მთავრობის მიერ შედგენილი სტატისტიკური კომისიის მონაცემებით, ქალაქ გორში აღწერილი 1336 შენობიდან 756 შენობა-ნაგებობა კი ან სრულად დაინგრა, ან დასაშლელი გახდა. 405 შენობა კაპიტალურ, ხოლო 156 მცირე რემონტს მოითხოვდა. მიწისძვრის შედეგად ქალაქ გორში დაიღუპა 18 ადამიანი, სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო 267-მა მცხოვრებმა. სრულად განადგურდა მიწისძვრის ეპიცენტრში მდებარე სოფლები – ხიდისთავი და ოხერა, ასევე თითქმის მთლიანად დაინგრა სოფელი უფლისციხე, ატენი, გორიჯვარი, სკრა, ხოვლე, სასირეთი, დოესი და სხვა სოფლები. სტატისტიკური კომისიის მონაცემებით, სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო მაზრის 75-მა სოფელმა. მიწისძვრამ შეიწირა 200-მდე კაცის სიცოცხლე, დაშავდა 661.

ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მძლავრი 10 ბალიანი მიწისძვრა 1988 წლის 7 დეკემბერს სომხეთის ჩრდილო-დასავლეთში, ქალაქ სპიტაკში. მიწისძვრამ სომხეთის ტერიტორიის თითქმის 40% მოიცვა. მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა

ქალაქი სპიტაკი და 60-მდე სოფელი, ნაწილობრივ დაზიანდა სომხეთის დიდი ქალაქები – ლენინაკანი, სტეპანაკანი, კიროვაკანი და 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. დაიღუპა, დაახლოებით, 25 ათასი კაცი, უსახლკაროდ დარჩა 500 ათასზე მეტი ადამიანი. მოსალოდნელი ავარიის რისკის გამო შეჩერებული იქნა ატომური ელექტროსადგურის მუშაობა.

რაჭის მიწისძვრა 1900-ნი წლების შემდეგ საქართველოში აღრიცხულ მიწისძვრათა შორის ყველაზე ძლიერი და დამანგრეველი აღმოჩნდა. მაშინდელი ცნობებით, რყევები თბილისშიც მძაფრად იგრძნობოდა. რაჭის მიწისძვრას უკავშირდება პატარა ქართული სოფლის ტრაგედიაც. სოფელი ხახიეთი მდინარე ყვირილას მარჯვენა შენაკადის, ხახიეთისწყლის ხეობაში, თედელეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა.

ამის შესახებ ჟურნალისტი ე. ერაძე წერდა: „... ხახიეთი რაჭა-იმერეთის საზღვარზე, უღამაზეს მთებში მოქცეული სოფელი იყო. უეცრად, ზუსტად 12 საათსა და 15 წუთზე, გარემო საშინელმა გუგუნმა გააყრუა და მიწისძვრამ ხახიეთის მთები ერთმანეთს შეაჯახა. სოფლის ადგილზე უშველებელი ღრმული გაჩნდა, რომელიც როგორც ასეთ დროს ამბობენ თვალის დახამხამებაში წყლით აივსო და პატარა სოფლის ადგილზე წარმოიქმნა ტბა.

... დაახლოებით 15 წამის შემდეგ აღარც სოფელი არსებობდა, სოფლის ადგილზე უშველებელი ღრმული გაჩნდა, რომელიც თვალის დახამხამებაში წყლით ივსებოდა. ასე გაჩნდა სოფლის ადგილზე ტბა. იგი სოფლის პატარა მდინარე ხახიეთისწყალმა შექმნა. მისი სიღრმე – 300 მეტრია, სიგრძე კი 100 მეტრი. მისი წყალი ზამთარ-ზაფხულ ყინულივით ცივია, ხელსაც ვერ ჩაყოფ...“. სოფლიდან მხოლოდ ორი ადამიანი გადარჩა – ერთი მოზრდილი და ერთიც პატარა ბიჭი, რომლებიც იმ დღით სოფელში არ იყვნენ“. თვით სოფლის სახელიც „ხახიეთი“ დაღებულ ხახას ნიშნავს, რომელიც ყველაფერს შთანთქავს. მეცნიერების აზრით მიწისძვრებს სეისმურად აქტიური



ადგილები თითქმის ყოველთვის „მონიშნული“ აქვს და ხახიეთის ტერიტორიაც ალბათ ასეთი იყო. ალბათ, ამიტომაც უწოდეს სოფელს ეს სახელი.



სოფელ ხახიეთის ადგილას წარმოქმნილი ტბა

ხახიეთში ქართველები და ოსები ერთად ცხოვრობდნენ და ამ ტრაგედიამ ყველანი ერთ წუთში შთანთქა. შემდეგში ამ სოფლიდან ერთ ერთი გადარჩენილი იგონებდა „მეზობელ სოფელში ვიყავი და იქიდან ვბრუნდებოდი. სოფელს რომ მივუახლოვდი, უცაბედად უეცარმა ტალღამ დამარტყა და საშინელი გუგუნიც გაისმა. მერე დავინახე, რომ შავი მთა მოპირდაპირე კუდების მთას შეასკდა და ხეობაში, სადაც სოფელი იყო, ორივე ზათქით ჩაიშალა, მე კი მიწისძვრამ ჰაერში ამაგდო“.

2013 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში The 1991 Racha Earthquake, Caucasus: Multiple Source Model with Compensative Type of Motion ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიონის ისტორიაშიც ყველაზე ძლიერი და ინტენსიური მიწისძვრა იყო. ამ პროცესების ლოგიკური დასასრული, მიწისძვრის შემდგომი მთავარი ბიძგი 1991 წლის 15 ივნისს მოხდა. რყევების ეპიცენტრი ჯავაში დაფიქსირდა. არსებული ინფორმაციით აქ დაიღუპა 8 ადამიანი ხოლო დაშავდა 200.

კატასტროფის დროს, დედამიწის ორი ქანი დაყოვნებებით გადაადგილდებოდა. მთავარი დარტყმიდან რამდენიმე დღეში ქანებმა სწრაფად დაიწყეს მოძრაობა. ისინი დღეში 8 მეტრით ინაცვ-

ლებდნენ ერთი ადგილიდან მეორისკენ. ამ პროცესს სოფელი ჩორდი შეეწირა.

მიწისძვრის შემდეგ რამდენიმე კვირა ხალხი ეზოებსა და კარვებში ცხოვრობდა. მაშინდელმა პრესამ შემოინახა თვითმხილველის კიდევ ერთი მოგონებაც: „უეცრად გაისმა საშინელი ხმა ნგრევის, აფეთქების. შევხედე მთა მთლიანად წამოვიდა. მიწა თითქოს წყლად იქცა. წყლად კი არა, უზარმაზარ, შავ ტალღებად. წალეკა და ჩაიხვია სოფელი. ბავშვები, ქალები, სახლები, ბაღები, შინაური ცხოველი. ყველაფერი ერთმანეთში აირია და ქვემოთ ჩამოწვა. ერთბაშად, ერთი თვალის დახამხამებაში გაქრა ოცკომლიანი სოფელი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, მაისი, 1991წ).



ქ. საჩხერე. მიწისძვრის შედეგად დანგრეული წმინდა ნინოს ეკლესია.

დაღუპული ადამიანების პატივსაცემად ხახიეთიდან ორიოდ კილომეტრში, სოფელ სინაგურში, მემორიალი დადგეს. ამჟამად ეს ადგილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა და ფაქტობრივად, რუსული სამხედრო ბაზაა განთავსებული.

მიწისძვრის შემდეგ საჩხერის იმდროინდელი პრეფექტი იხსენებდა: „საოცრება იყო, მიწა ღმუღოდა. კი არ ინძრეოდა, ხტუნავდა. ხმა იყო ისეთი, თითქოს მთელი გარემო ერთბაშად აფეთქდაო. ოცი წამი გრძელდებოდა ეს ჯოჯოხეთი. ჩვენთვის მოიცალა ბედისწერამ. მთელი საჩხერე დანგრეულია. სახლების უმრავლესობა ან მთლიანად დაინგრა, ან საცხოვრებლად არის უვარგისი... სკოლა დაინგრა, ექვსი ბავშვია დაღუპული.



მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მიწისძვრის მომენტში სკოლაში დასვენება იყო. დაინგრა, „მოდინახე“ დაინგრა, სობორას ეკლესია, ჯრუჭის მონასტერი, რკინიგზის სადგური, დაღუპულია სამოცი ადამიანი.

დასკვნა

ექსპერტები თვლიან, რომ მიზეზი, რის გამოც 1991 წლის მიწისძვრას ათიათასობით ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ ის არის, რომ ის სპიტაკივით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში არ მოხდა. ერთ ერთი სპეციალისტი ამბობს რომ ამ მიწისძვრის თავისებურებას წარმოადგენდა ის რომ ზიანი და მსხვერპლი ეპიცენტრთან ახლოს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე შორსო. ამის მიზეზი ისაა, რომ ონში და ამბროლაურში შენობების უმეტესობა მდინარე რიონის ღამით იყო აშენებული, სანხერეში კი გამოიყენებოდა კვარცის ქვიშა, რომელიც უფრო მდგრადია.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ მიწისძვრა რჩება ერთ-ერთ ყველაზე არაპროგნოზირებად მოვლენად დედამიწაზე.

ლიტერატურა:

1. ა. თოთაძე. მიწისძვრები საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, 2002.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.7. თბილისი, 1984.
3. დ. სილაქაძე. გორის 1920 წ. მიწისძვრა. თბილისი, ჟურნალი „ისტორიანი“, 2012 წ. №5/17
4. ე. ერაძე. ჩაძირულები-პატარა სოფლის გაუჩინარების ამბავი. თბილისი გაზეთი „კვირის პალიტრა“ 2020 წ. 20 ივნისი.
5. ნ. კვაჭანტირაძე. მიწისძვრები საქართველოში. ინტერნეტის სოციალური ქსელები, 2018 წ. 6 ივნისი
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრი. 2012 წლის მონაცემები.
7. ე.სავარენსკი, დ. კირნოსი. სეისმოლოგიისა და სეისმომეტრიის ელემენტები. თბილისი, „განათლება“. 1965
8. რაჭა. 1991 წელი. მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები. თბილისი. 2008წ.

30 YEARS AFTER THE EARTHQUAKE THAT IS, ONCE AGAIN ABOUT THE RACHA EARTHQUAKE OF 1991

**Nugzar (Zaza) Iashvili
Ketevan Makhashvili**

The article focuses on the earthquake that occurred thirty years ago in 1991 in Racha-Imereti. The causes and consequences of the earthquake are discussed. Also provided is a table of other earthquakes that occurred in Georgia and a map of Georgia's seismic regions.